ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№184 (243) 21-28 აგვისტო 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

მეტი საქმე არა მაქვს, ჩემი აშენებული ქვეყანა თქვენ დაგითმოთ!..

სწორედ ამ მყრალი ფრაზით დაამახსოვრა თავი საზოგადოებას, კიდევ ერთხელ, სააკაშვილმა, რომელიც აჭარის მაღალმთიან სოფელ ბეშუმში შუამთობის დღესასწაულზე **“გადმოაფრქვია”!**

სააკაშვილისაგან უაზრო და კანონის ნორმებიდან ამოვარდნილი წამოროშებები ვის უკვირს, მაგრამ მისმა ამ უკანასკნელმა **“დეკლარაციამ”** ნამდვილად გააოგნა მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოება.

ალბათ **“ილორის”** მკითხველებს არ გაუკვირდებათ ჩვენს მიერ სააკაშვილის კიდევ ერთხელ მოხსენიება ეთნიკურ სომხად და არც არავინ ჩაგვითვლის ამას ქსენოფობიის გამოვლინებად. საქმე იმაშია, რომ სააკაშვილი გახლავთ რეაქციონერი სომეხი, რომელსაც თვით საქართველოსა თუ სომხეთში მცხოვრები პროგრესულად მოაზროვნე სომხური წარმომავლობის ადამიანებიც კი არ სცემენ პატივს, რადგან ნებისმიერი რეაქციონერი, ყოველ სადად მოაზროვნე ადამიანს, პროგრესისა და დემოკრატიული პროცესების განვითარების დაუძინებელ მტრებად მიაჩნია.

ამიტომ, თავს უფლებას მივცემთ, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ ზემოდთქმული ფრაზა: “**მეტი საქმე არა მაქვს, ჩემი აშენებული ქვეყანა თქვენ დაგითმოთ!..**”, ავხსნათ შემდეგი ტრანსკრიფციით: **“მეტი საქმე არა გვაქვს სომხებს, რომ ჩვენს მიერ ოკუპირებული საქართველო სულელ** (ეგენი ხომ ოდითგან **“გიჟ-ვრაცუებს” – “გიჟ-ქართველებს”** გვეძახიან) **ქართველებს დაგითმოთ”!**

ამრიგად, იმათ საყურადღებოდ გვინდა განვაცხადოთ, ვისაც მიაჩნია, რომ საქართველოს ტერიტორიების ნაწილი რუსების მიერ არის ოკუპირებული: **“არა, ბატონებო, არამც თუ საქართველოს ნაწილი, არამედ სრულიად საქართველო დღეს რეაქციონერ სომხებს აქვთ ოკუპირებული, სააკაშვილის ხელმძღვანელობით”!**

ამიტომ, მინდა მივმართო გზააბნეულ გაბაშვილებს, ცისკარიშვილებს, მერაბიშვილებს, ახალაიებს, კუბლაშვილებს: ნუთუ ვერ ხედავთ, თქვე უბედურ დღეზე გაჩენილებო, რომ ხელს უწყობთ სააკაშვილს საქართველოს დაშლა-განადგურების საქმეში, რომელიც მას ამერიკის სომხური რეაქციული წრეების მიერ აქვს დავალებული!

ამას წინათ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ერთი განცხადება გააკეთა 2008 წლის აგვისტოს ომის თაობაზე, რასაც ნიშნის მოგებითა და გამარჯვების ღრიანცელით შეხვდნენ სააკაშვილი და ნაციონალები – აქაოდა, ეს ომი ჩვენ კი არა, რუსებმა დაიწყეს, რადგან ისინი თურმე წლების განმავლობაში ემზადებოდნენ საქართველოსთან იარაღით დაპირისპირებისთვისო. მაშინ, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში იმის ეჭვიც კი გაჩნდა, რომ, როცა მიშას გაუჭირდება, სწორედ მაშინ გადმოუგდებენ ხოლმე რუსები მაშველ რგოლსო. სინამდვილეში კი პუტინმა ასეთი განცხადება გააკეთა: **“ვიცოდით რა, რომ საქართველოს ხელისუფლება აფხაზებთან და ოსებთან ომის რიტორიკით იყო დაკავებული, წინასწარ ვამზადებიდით ამ რეგიონის მოსახლეობას მოსალოდნელ საომარ საფრთხესთან შესახვედრადო”.** პუტინის ეს განცხადება სრულიადაც არ ხსნის საქართველოს ხელისუფლებას პასუხისმგებლობას, რადგან ქართული ჯარის მიერ ცხინვალის დაბომბვა და ჩვენი ჯარების იქ შეჭრა თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ სწორედ საქართველოს ხელისუფლებამ დაარღვია უხეშად სამშვიდობო ხელშეკრულების მოთხოვნები, რისთვისაც, მას, ადრე თუ გვიან, მაინც მოუწევს საერთაშორისო სასამართლოზე ბრალდებულის ამპლუაში წარდგომა!

თუმცა, არც ის გაგვიკვირდება, რომ რუსეთის გარკვეულ პოლიტიკურ ნაწილს სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენის დიდი სურვილი ჰქონდეთ, რადგან სწორედ ამ რეაქციონერი სომეხის მმართველობის ჟამს რუსებმა ყოველ საწადელს მიაღწიეს საქართველოსთან მიმართებაში. სწორედ სააკაშვილისგან მიიღეს რუსებმა **“ფეშქაშად”** აფხაზეთი (პლუს კოდორის ხეობა, რომელიც მხოლოდ გეოგრაფიულად ეკუთვნოდა აფხაზეთს, მენტალურად კი იგი ყოველთვის სვანეთი იყო) და სამაჩაბლო (პლუს ახალგორის რაიონი, რომელიც ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას გამოეყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს და ცალკე რაიონად ჩამოყალიბდა საქართველოს შემადგენლობაში). ამას დაუმატეთ ენგურჰესი, კაზრეთის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, წყალსადენი... თუნდაც **“თელასი”** აიღეთ, უკვე რუსული კომპანია, რომლის დირექტორატი დაშალეს და ახალ დირექტორად გორის გუბერნატორის ყოფილი მოადგილე ზურაბ არსოშვილი დანიშნეს. მან კი ყველა ძველი თანამშრომელი, რომელიც **“ქართული ოცნების”** მიტინგებს ესწრებოდა, სამსახურიდან გაანთავისუფლა და მათ ადგილებზე ნაციონალებისადმი ლოიალურად განწყობილი პირები დანიშნა. მალე, ალბათ, საქართველოს რკინიგზასაც რომელიმე რუსული კომპანია შეისყიდის და არც კი ვიცით, საქართველოს რაღა დარჩება.

ალბათ ის, ვულგარულად რომ ამბობენ ხოლმე: **“სამში...”.**

რაც შეეხება რუსების მიერ სააკაშვილისათვის მაშველი რგოლის გადაგდებას, მაშინ, როცა ამ უკანასკნელს პოლიტიკურად ძალზე უჭირს, შეიძლება ეს აზრი სრულიადაც არ იყოს ჭეშმარიტებას მოკლებული... გაიხსენეთ, თუ რა უთხრა დათა თუთაშხიამ პოლიციმეისტერ ნიკანდრო ქილიას: **“სულ არ მინდა, შენი მოკვლით შენი ცოლ-შვილი დავაობლო და არც ის მინდა, რომ ამ რაიონში შენზე ჭკვიანი პოლიციმეისტერი დანიშნონო.”** ზემოთთქმულიდან გამომდინარე, რატომ უნდა აძლევდეთ ხელს რუსებს საქართველოში სააკაშვილზე ჭკვიანი პრეზიდენტის არჩევა, როცა ამ ადამიანის წინდაუხედაობის წყალობით ყველაფერ სასურველს მიაღწიეს საქართველოსთან მიმართებაში?

სხვა ამბავია რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის სასწრაფოდ აღდგენა, რათა ჩვენი ძლიერი მეზობლის ძალისხმევა, როგორც ეს ისტორიულად ხდებოდა, მოვახმაროთ საქართველოს აღორძინებას და არა მის დაქცევა-გაუბედურებას. ჩვენ არაერთგზის ვწერდით, რომ ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის დანაშაულებრივი მონდომებით ჩაკვდა **“საქართველოს რუსეთი”,** რის სანაცვლოდაც აღორძინდა **“სომხეთის რუსეთი”,** რომელიც, ბუნებრივია, დიდად ეხმარება სომხებს საქართველოში სომხური საქმის აღსრულებაში. ამიტომაცაა საჭირო სააკაშვილის საქართველოს ხელისუფლებიდან ჩამოშორება, რადგან რუსები მასთან არასდროს არავითარ მოლაპარაკებაზე არ წავლენ. ახალმა ხელისუფლებამ კი სასწრაფოდ უნდა დაარეგულიროს ურთიერთობა რუსეთთან, ვიდრე სომხებს მათი დახმარებით სამცხე-ჯავახეთიც არ ჩამოუჭრიათ საქართველოსათვის!

ისედაც, ნამდვილი პოლიტიკურად სულელი და საქართველოს დაუძინებელი მტერი არამზადა უნდა იყო ადამიანი, რომ რუსეთი დაჰკარგო როგორც მეგობარი, დაჰკარგო რუსული ბაზარი და მტრის ხატად აქციო ის ქვეყანა, რომელმაც ისტორიულად უზარმაზარი როლი შეასრულა საქართველოს გაერთიანებისა და მისი განვითარება-გაძლიერების საქმეში.

ამას ხომ ქართველი ადამიანი არასოდეს გააკეთებდა!

ამის შემდეგ ვის მოუბრუნდება ენა იმის სათქმელად, რომ შევარდნაძე და სააკაშვილი ეთნიკურად და სულიერად ქართველები არიან, რელიგიურად კი – მართლმადიდებლები!

შეიძლება, სამწუხაროდ, ხშირად გვიწევს ხოლმე სომხების კრიტიკა, მაგრამ, ღმერთმა იცოდეს, რომ ეს ჩვენი ბრალი არ არის და თავად რეაქციონერი (და არა ჩვენი ქვეყნის გულშემატკივარი, ზოგიერთ ვაი-ქართველზე ბევრად წესიერი და გულახდილი) სომხები გვექაჩებიან ენაზე, საქართველოსადმი მუდმივად შეგებებული ვერაგობისა და ცბიერების გამო.

ამ უკანასკნელ დროს ინტერნეტსაიტებზე იმრავლა ინფორმაციებმა იმის თაობაზე, რომ ჩვენი ხელისუფლება აპირებს სამცხე-ჯავახეთში სირიიდან დევნილი სომხების კომპაქტურად ჩასახლებას. იმასაც ამბობენ, რომ ქალაქი **“ლაზიკა”** სწორედ ამ სომხების ფულით აშენდებაო.

როგორ ფიქრობთ: იქნება ეს ქართული ქალაქი?

პასუხი ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის მიგვინდია!

იქნებ ახლა მაინც აეხილოთ თვალი იმ ბრიყვ ქართველებს, რომელთაც ვერასგზით ვერ შეუგნიათ, თუ ვინ არის საქართველოს ჭეშმარიტი გულშემატკივარი: სამების ამშენებელი ქველმოქმედი ოპოზიციონერი, რომელმაც მილიარდები დაახარჯა საქართველოს განვითარებას, თუ ქვეყნის ეკონომიკურად და სულიერად გამანადგურებელი არაქართველი ხელისუფალი?

ღმერთო, აუხილე თვალი ქართველებს!

კიდევ ერთხელ მომიტევონ წესიერმა სომხებმა, მაგრამ იბადება კიდევ ერთი სერიოზული ეჭვი სააკაშვილის აშკარა სომხური ოინის თაობაზე, რომელშიც იმალება სომხების შავ ზღვაზე გაყვანის ვერაგული გეგმა, საქართველოს ხარჯზე. სხვა შემთხვევაში, რა საჭიროა გოდერძის უღელტეხილზე საავტომობილო მაგისტრალის გაყვანა, რომელსაც საქართველოსთვის დიდი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა არ გააჩნია? არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ აჭარა დღეს გადავსებულია სომხებითა და თურქებით. ჩვენი უბედურება სწორედ ის გახლავთ, რომ საქართველოსათვის ტერიტორიების წაგლეჯის დაუძლეველმა სურვილმა შეიძლება ისეთი ერთმანეთის დაუძინებელი მტრებიც კი დაამეგობროს და გააერთიანოს, როგორებიც არიან სომხეთი და თურქეთი.

რას ვუპირისპირებთ ჩვენ ამგვარ მცოცავ ანექსიას? ქართული საზოგადოების გახლეჩას პოლიტიკური ნიშნით, მათ დაპირისპირებას და არა გაერთიანებას საერთო მტრების წინააღმდეგ.

ვინ შეიძლება, ამ შემთხვევაში, გამოვიდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტად?

რა თქმა უნდა – რუსეთი, რომელსაც ბრესტის ზავის თანახმად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტორის როლი აკისრია და რომელსაც ჩვენი ხელისუფლება უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს!

ამასთან დაკავშირებით ერთი კახური ანეკდოტი მახსენდება: **“კაცი ტყეში მიდის ფიჩხის შესაგროვებლად და დაინახა, რომ მისი მეზობელი ხეზე შემოსკუპებული ხერხავს იმ ტოტს, რომელზეც თავად ზის.**

– რას შვრები, მიხო, ეგრე ხომ ჩამოვარდები ხიდან? – უთხრა მან მეზობელს.

– გაიარე, შენი საქმე ნახე... – დაუღრინა მას მეზობელმა.

კაცმა გზა განაგრძო, უკან დაბრუნებული კი ხედავს, რომ მეზობელი დაბლა აგდია და ძლივს სუნთქავს.

– ხომ გითხარი, კაცო, ჩამოვარდებიმეთქი, – თანაგრძნობით უთხრა მან მიწაზე გაშხლართულს.

– შენ რომ კაცს დათარსავ... – კვლავ დაუღრინა მეზობელმა.”

დაახლოებით ასეა ქართველების საქმე. უკვე მერამდენე წელია ვხერხავთ იმ ტოტს, რომელზეც არხეინად ვიყავით შემომსხდარი ორასი წლის განმავლობაში. ერთხელ უკვე ჩამოვვარდით და საკმაოდ სერიოზული ზიანიც მოგვადგა, მაგრამ ხერხვას მაინც ვაგრძელებთ.

ვაი თუ, ამჯერად ისე ჩამოვვარდეთ, რომ მიწამდე სული არ დაგვყვეს!

მხოლოდ საქართველოს მტრებს თუ გაახარებს ეს ამბავი...

ახლახან ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სააკაშვილს მექსიკის ერთ-ერთ ბანკში ცხრა მილიარდი დოლარი აქვს გადანახული **“შავი დღისთვისო”**! შავი დღე კი, სააკაშვილს, მალე დაუდგება, თუ ქართველი ხალხი, ოქტომბერში, დაფიქრებით გააკეთებს არჩევანს. შერჩება შემდეგ ამ პოლიტიკურ მეჯღანუაშვილს, დასათვლელად, თავისი მილიარდები, რადგან, მისი მამა-მასწავლებლის შევარდნაძის მსგავსად მასაც დიდი ფულის მეტი არაფერი აინტერესებს!

ახლა, რაც შეეხება სააკაშვილის მიერ გაკეთებულ ამაზრზენ განცხადებას: “**მეტი საქმე არა მაქვს, ჩემი აშენებული ქვეყანა თქვენ დაგითმოთო!..**” – ეს მართლაც რომ ოდიოზური განცხადება იყო, რომელიც არასოდეს გაუკეთებია თვით ყველაზე პირწავარდნილ დიქტატორსაც კი. ამიტომ არის აუცილებელი, რომ მისი ეს ნაყრანტალები მსოფლიოს ყველა იმ ქვეყნის ლიდერს ეცნობოს, რომელთაც სააკაშვილი და მისი გარემოცვა დემოკრატიის შუქურად მიაჩნიათ. მისი ეს საზიზღარი განცხადება უნდა ითარგმნოს მრავალ ენაზე და ყველგან უნდა გავრცელდეს. ყველამ უნდა გაიგოს, თუ როგორ აზროვნებს ეს ადამიანი, რომელიც დღეს ქვეყანას მართავს. რაც დღეს სააკაშვილს გამოსდის, ესაა მხოლოდ პირი და ამ სიყალბით მან შესძლო ვიღაცეების გაცურება და საკუთარ დემოკრატობაში დაჯერება.

მართლაც სასაცილოდ გამოიყურებოდა მისი განცხადება იმის თაობაზე, რომ, რაც მე ავაშენე, ივანიშვილი ყოველივეს დაანგრევსო, მაშინ, როცა სამებიდან ტაძრიდან დაწყებული, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით, სამხედრო ყაზარმებითა და პოლიციის აღჭურვით დამთავრებული, ყველაფერი სწორედ ივანიშვილის დაფინანსებულია. თანაც, იმადლება სააკაშვილი – ივანიშვილმა ყოველივეს რუსული ფულით მიაღწიაო. თუ ეს მართლაც რუსული ფულით არის გაკეთებული საქართველოში, მაშინ, რუსების მიმართ, მადლობის მეტი ნამდვილად არაფერი გვეთქმის!

ალბათ ოპოზიციაც უშვებს ნებსით თუ უნებლიე შეცდომას. ფაქტია, რომ დღეს სააკაშვილის წინააღმდეგ სააკაშვილზე ეფექტურად ვერავინ იბრძვის, რაც მისი უაზრო, დემაგოგიური განცხადებებით დასტურდება. ოპოზიცია კი, სამწუხაროდ, ამის ტირაჟირებას არ ახდენს, რათა მსოფლიომ დაანახოს ამ პირწავარდნილი მაგრამ უნიჭო დიქტატორის ჭეშმარიტი სახე.

რაც შეეხება საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებს, რომელსაც დღეს სააკაშვილი და ნაციონალები საერთოდ აღარ ახსენებენ, არაერთგზის გვითქვამს და ვიმეორებთ, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რუსეთის კეთილი ნების გარეშე წარმოუდგენელია. რუსებს კი არ სურთ სააკაშვილთან საუბარი და ღიად აცხადებენ, რომ მხოლოდ საქართველოს ახლადარჩეულ ხელისუფლებასთან ითანამშრომლებენ. ამიტომ დგას დღეს ქართველი ხალხის წინაშე დილემად ქცეული ამოცანა – ან სააკაშვილი და ნაციონალები, ან აფხაზეთი და სამაჩაბლო!

აი, რასა და რას შორის უნდა გააკეთოს არჩევანი ქართველმა ხალხმა, ვიდრე ჩვენს წინაშე არ წამოჭრილა ახალი დილემა – სააკაშვილი ან საქართველო!

ასე რომ, ყველაფერი ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული!

ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან

არსებობს ერთი სერიოზული დაავადება, რომელსაც მარტივად **“პირის სიმყრალე”** ეწოდება. ეს დაავადება ხასიათდება პაციენტის სუნთქვის იმყრალით, რაც საშინელ დისკომფორტს იწვევს გარშემომყოფთა შორის. მიუხედავად ათასნაირი სურნელოვანი საღეჭი რეზინების და აეროზოლების გამოყენებისა, ამ დაავდებას მაინც ვერაფერს შველიან, რადგან **“პირის სიმყრალის”** ნიადაგი მწიფდება არა პირის ღრუში, არამედ ადამიანის გულ-გვამში, რითაც ჯერ მთელი სხეული იწამლება, შემდეგ სასუნთქი გზები და, ბოლოდ, პირის ღრუ. ამდენად, ამ დაავადებას შიგნეულზე საკმაოდ ფუნდამენტური მკურნალობა სჭირდება და რა საღეჭი რეზინის ცოხნა, რაც სიმყრალეს დროებით გააქრობს, მაგრამ საბოლოოდ ვერ აალაგებს.

სწორედ ასეთი დაავადება სჭირთ დღეს საქართველოს სომხური ხელისუფლების ჯიბეში მოკალათებულ ტელეარხებსა და ინტერნეტპორტალებს. მაგალითად, ამას წინათ სწორედ ასეთი სიმყრალე გადმოაფრქვია ქართულმა, პირწმინდად (უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა: **“პირმყრალად”**) სახელისუფლებო რუპორმა **“პრესაge”-მ**, რომელმაც გამოაქვეყნა წერილები სათაურით: **“ანძვაბი გალელთა დასჯასა და მათ იძულებით გარუსება-გააფხაზებას გეგმავს”** და **“ანძვაბმა ტერორისტები თავისკენ მოიკითხა – მან „აფხაზური ჯამაათის“ არსებობა დაადასტურა”.**

ამ წერილთა ავტორები, ხელისუფლების მიერ ზომბირებული ვიღაც ფრიდონ დოჩია და თეა ინასარიძე **“პრინციპულად ამხელენ”** აფხაზებს და აფხაზეთის პრეზიდენტ ანქვაბს ქვეყნის გარუსების მცდელობაში, ქვეყანაში ტერორისტული ორგანიზაციების შექმნის პროცესების ხელშეწყობაში და, რაც მთავარია, ცრემლს ღვრიან იმის გამო, რომ თურმე აფხაზეთში პური ძვირდება!

წარმოგიდგენიათ? აფხაზეთში პური ძვირდებაო, და ეს მაშინ, როცა ჩვენთან კორუფციის სიბინძურეში ჩაფლული საქართველოს არაქართული ხელისუფლების მიერ მონოპოლიზირებულ საკვებ პროდუქტებზე სისტემატურად იზრდება ფასები!..

აი, ერთ-ერთი პასკვილი იმის თაობაზე, თუ როგორ **“იჩაგრებიან”** გალში მცხოვრები ადამიანები, რადგან აფხაზეთის ხელისუფლება თურმე მათ განათლებაზე ზრუნავენ:

“ე.წ. აფხაზეთის პრეზიდენტის, ალექსანდრე ანქვაბის ჟურნალისტებთან გაკეთებული განცხადებით, აფხაზეთში რუსული ენის განვითარებასთან დაკავშრებით არსანაირი პრობლემა არ დგას და არც იქნება, მაგრამ არსებობს პრობლემები აფხაზური ენის შესწავლასთან დაკავშირებით.

მთავარ სოხუმელ მარიონეტს მიაჩნია, რომ აფხაზურ ენასთან დაკავშირებით ნაკლები მსჯელობა და მეტი საქმის კეთებაა საჭირო. „ოჯახებში საჭიროა, აფხაზურ ენაზე საუბარი, ბავშვები პატარაობიდანვე უნდა ისმენდნენ მშობლიურ ენას“, – თქვა მან.

მარიონეტთა ე.წ. სახელმწიფო სააგენტო „აფსნიპრესის“ გადმოცემით, აფხაზური ენის შესწავლის საქმეში, ალექსანდრე ანქვაბი მნიშვნელოვან როლს ანიჭებს ასევე ტელევიზიას, საბავშვო ბაღებს, ლამაზ და ინფორმაციულ საბავშვო ლიტერატურას.

როგორც ამავე სააგენტოდან ვიგებთ, ალექსანდრე ანქვაბს უდიარებია, რომ არც ჩინოვნიკებმა იციან აფხაზური ენა. სხვათა შორის, თავად ალექსანდრე ანქვაბსაც წინა საპრეზიდენტო არჩევნების დროს აფხაზური ენის არცოდნის გამო კანდიდატად რეგისტრაციაზე უარი უთხრეს, რადგან მან აფხაზურ ენაში კომისიის წინაშე გამოცდა ვერ ჩააბარა. არც მაგის მერე შემატებია ანქვაბის აფხაზურ მარაგს რამე, მაგრამ ამჯერად სახელმწიფო კომისია გააუქმეს და ისიც ჯერ კანდიდატად დარეგისტრირდა, ხოლო შემდეგ კრემლის ხელდასმით „გაპრეზიდენტდა“ კიდეც.

„პრობლემა არსებობს, მაგრამ არ შეიძლება იგი რეპრესიული ღონისძიებებით გადაიჭრას და ენის უცოდინარი სპეციალისტები ამის გამო სამსახურში არ მივიღოთ. უნდა შეიქმნას პირობები, რომ მსურველებს შეეძლოთ აფხაზურის შესწავლა“, – თქვა მან.

მართალია, ალექსანდრ ზოლოტინსკოვიჩი ერთს ამბობს, მაგრამ მეორეს აკეთებს. როგორც საქმეში ჩახედულნი ირწმუნებიან, ანქვაბის აფხაზურ ენაზე „ზრუნვა“ გამოწვეულია ქართულენოვან გალის რაიონზე რეპრესიების მოწყობის მიზნით.

როგორც ცნობილია, გალის რაიონში აფხაზებს არასოდეს უცხოვრიათ და ცხადია აქ აფხაზური არავინ იცოდა და, მით უმეტეს, ოკუპაციის შემდეგ აფხაზური რაიონებიდან იქ ჩასულთა გარდა არც ახლა იცის ვინმემ. მართალია, სკოლებშიც იძულების წესით აფხაზურის სწავლება პროგრამებში შეტანილია, მაგრამ გალელები აფხაზურის შესწავლით მაინც და მაინც თავს არ იკლავენ. თუმცა, სურვილის შემთხვევაშიც არაფერი გამოუვიდოდათ, რადგან ის ჩასულმა აფხაზებმა, ვინც აფხაზურის მასწავლებლებად გაამწესეს, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, თავად არ იციან აფხაზური და სწავლების მეთოდიკის ცოდნაზე ხომ საუბარიც ზედმეტია.

ექსპერტთა მოსაზრებით, სავარაუდოდ, კრემლის მითითებით, ანქვაბს გადაწყვეტილი აქვს გალის რაინის იძულებითი აფხაზიზაცია და რუსიფიკაცია, რადგანაც იქ ქართული სკოლები ოფიციალურად აკრძალულია. რაც შეეხება ქართულ ენაზე ურთიერთობას, აფხაზების თანდასწრებიც ესეც კარგა ხანია ადგილობრივ მოსახლეობას აკრძალული აქვს და ქართული სიტყვის წარმოთქმის გამო მათ სასტიკად სჯიან. მოსახლეობას უნერგავენ, თქვენ ქართველები კი არა მეგრელები ხართ და მეგრულად რამდენიც გნებავთ ისაუბრეთ, ოღონდ ქართული არ გაგვაგონოთ, თორემ დაგსჯითო. თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა ამას არ ეგუება და ქართველი მასწავლებლები ცდილობენ ბავშვებს მშობლიურ ენაზე მიაღებინონ განათლება.

ახლა იმავე ექსპერტთა ცნობით, ანქვაბის განკარგულებით კონკრეტული პროგრამა მზადდება აფხაზური ენის შესწავლის მიზნით.

რაც ყველაზე საინტერესოა, ეს ყველაფერი გალელ ქართველთა დასასჯელად რომ კეთდება, ამაზე მიანიშნებს თუნდაც ის, რომ ანქვაბმა ისაუბრა კონკრეტულად გალის რაიონში რუსული და აფხაზური ენების შემსწავლელი ცენტრის გახსნის შესახებ. ასე რომ, მალე გალის რაიონში ამ კუთხით, ალბათ დამსჯელი ორგანოებიც ამოქმედდებიან”, – გულისტკივილით აღნიშნავს სტატიის ავტორი ფრიდონ დოჩია, ხოლო მეორე წერილის ავტორი თეა ინასარიძე იმას გვამცნობს **“საზეიმოდ”**, რომ თურმე, აფხაზებს აფხაზეთში ტერორისტული ორგანიზაცია აღმოუჩენიათ. და ეს მაშინ, როცა ნაციონალები და სააკაშვილი ღია ტერორს უცხადებენ საქართველოს მოსახლეობას!

რედაქციისაგან – ქართული სახელისუფლებო ინტერნეტპორტალების მიერ ინსინუაციების გავრცელება აფხაზების, ოსების და ოპოზიციური ძალების მიმართ რომ არავისთვის არ წარმოადგენს სიახლეს, ფაქტია.

სწორედ ამ ბინძური ინსინუაციების საპირწონედ გთავაზობთ გაზეთ “მარტვილის” მთავარი რედაქტორის **ფაუსტ ნადარაიას** *წერილს, სადაც კარგად ჩანს, თუ როგორ მიისწრაფვიან ერთმანეთისაკენ აფხაზები და ქართველები, და რომ არა სააკაშვილისა მისი ნაცების გამთიშველური პოლიტიკა, აფხაზები და ქართველები კარგა ხნის წინ იპოვნიდნენ ერთმანეთთან მისასვლელ გზებს. მაგრამ სიბოროტეს და ავკაცობას დიდი დრო არ უწერია და მალე, როცა არჩევნები ჩატარდება ნაცები და მათი ბელადი პოლიტიკურ სანაგვეზე აღმოჩნდებიან, ქართველები და აფხაზები აუცილებლად გადალახავენ ხელოვნურად შექმნილ ბარიერებს და მომავალშიც ძმებად დარჩებიან. ძნელად დასაჯერებელია, რომ ამ ორმა ბრძენმა ხალხმა – აფხაზებმა და ქართველებმა, – მშვიდობიანი თანაცხოვრების გზა ვერ გამონახონ. ისე, არც ის იქნებოდა ურიგო, რომ ქართველებსაც სცოდნოდათ აფხაზური ენა, რაც თავისთავად ამ ერის მიმართ გამოხატული პატივისცემა იქნებოდა. მაშინ, ალბათ, არც ომი ატყდებოდა ჩვენს შორის!*

ბატონ ნუგზარ ნადარაიას წერილის სათაურია:

„თქვა რეთ ჩქინი და დო ჯიმა...“

ამ დღეებში სრულად შემოხვევით ხელში ჩამივარდა აფხაზეთში გამომავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი **„გალი“**, რომელიც დღეს გალის რაიონში აფხაზურ, რუსულ და მეგრულ ენაზე გამოდის.

მკითხველს წინასწარ ვთხოვ სწორად გამიგოს, მე ამჟამად შეგნებულად არ ვაპირებ გაზეთ **„გალის“** პოლიტიკური შეხედულებების განხილვას, მაგრამ ამ გაზეთის რამდენიმე ნომრის გაცნობის შემდეგ სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ცამდე მართალია გაზეთ **„ილორის“** მთავარი რედაქტორი ბატონი როლანდ ჯალაღანია, რომელსაც მიაჩნია, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის ყველა ხიდი საბოლოოდ დამწვარი არ არის და თუ ისინი ასეთი გულისყურით ექცევიან მეგრულ ენას, გამორიცხულია, რომ სამეგრელოს მიმართ გარკვეული სიმპათიები არ გააჩნდეთ.

ახლა, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, ჩემს საწერ მაგიდაზე დევს გაზეთ **„გალის“** 2012 წლის მე-4 ნომერი, რომლის მე-5 გვერდზე 44 მივიწყებული მეგრული სიტყვაა გაცოცხლებული. დიდი მადლობა გაზეთ **„გალის“** რედაქტორს, ბატონ ნუგზარ სალაყაიას ამ საჭირო მასალის გამოქვეყნებისათვის.

წავიკითხე აგრეთვე ჟურნალისტ ნარგიზა ბასარიას მშვენიერი რეცენზია მამანტი და ცირა ძაძამიებისა და ვლადიმერ ვახანიას შვიდტომეულის **(„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“)** შესახებ. მერე რა, თუ ის მეგრულადაა დაწერილი.

მეგრული ენა ხომ უძველესი ქართველური ენაა. ამ ენაზე ლაპარაკობდა კოლხეთის მდიდარი და სახელგანთქმული მეფე აიეტი და მისი ქალიშვილი მედეა, რომელთა სახელები მთელმა მსოფლიომ იცის. კოლხური, იგივე მეგრული დამწერლობის შესახებ ღაღადებდნენ ძველი ბერძენი პოეტები: ჰომეროსი და აპოლონიოს როდოსელი, მსოფლიო ისტორიის მამა ჰეროდოტე და მრავალი სხვა.

და ეს ისტორიული ფაქტი არა მარტო ენგურს გაღმა და ენგურის გამოღმა მცხოვრებ მეგრელებს, არამედ საქართველოს ყველა კუთხის შვილებს უნდა ეამაყებოდეთ.

ახლა კი თავს უფლებას მივცემ ეს სახელდახელო ჩანაწერი დავამთავრო ჩემი ოთხსტრიქონიანი მეგრული ლექსით, რომელიც ეძღვნება გაზეთ **„გალის“** მთავარ რედაქტორს, ბატონ ნუგზარ სალაყაიას, ამავე გაზეთის კორესპოდენტს, ჟურნალისტს, ქალბატონ ნარგიზა ბასარიას და ყველას, ვინც იბრძვის დღეს აფხაზეთში მეგრული ენობრივი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის:

თქვან ნაჭარემს ვკითხულენქ დო
მოკო თქვან გურს ინოჯინა,
თქვა ვარეთუ შხვაშიანი,
თქვა რეთ ჩქინი და დო ჯიმა.
ვორწყეთ მუჭო ომინჯუთუ
ნანაშ ნინას მარგალურსუ,
მოჯგირეემს ახარენთ დო
ნტერემს უსოფუნთუ გურსუ.
ჩქინი ნერჩი ართი რე დო
ჩქი მიღუნა ართი ჯინჯი,
თქვა მელეშე, ჩქი მოლეშე
ოკო ქუგობდვათუ ხინჯი.
ჯვეშ აიაშ ხონარი რე
მარგალური ნინა სქვამი,
ღორონქ დღასუ ვამოლასას
ჯიმალობა ჩქინ დო თქვანი.

ფაუსტ ნადარაია
გაზეთ „მარტვილის“ რედაქტორი

აფხაზეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა მუსიკოსი სვიატოსლავ ბელზე “ახძ-აპშას” ორდენით დააჯილდოვა

ამას წინათ, აფხაზეთის პრეზიდენტმა, ბატონმა ალექსანდრე ანქვაბმა, მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკათმცოდნე, და საზოგადო მოღვაწე, რუსეთის სახალხო არტისტი სვიატოსლავ ბელზე **“ახძ-აპშას” (“სახელი და ღირსება”)** მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

ცნობილი ლიტერატორი, მუსიკათმცოდნე, კრიტიკოსი და ტელეწამყვანი ბელზე ამ მაღალი ჯილდოს მფლობელი გახდა **“აფხაზეთის ხელოვნებისა და მუსიკალური კულტურის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის და აფხაზ და რუს ხალხებს შორის კულტურული და შემოქმედებითი კავშირების განმტკიცებისათვის”.** ბატონმა ალექსანდრე ანქვაბმა სვიატოსლავ ბელზეს ასევე აჩუქა მონეტების კოლექცია, რომელზეც ასახულია აფხაზეთის შვიდი მართლმადიდებლური ტაძარი. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა რამდენიმე ათეული ქრისტიანული ეკლესიის შენარჩუნების აუცილებლობას, რომლებიც დღეს სასწრაფო რესტავრაციოას საჭიროებენ.

ბელზე სასიამოვნოდ გაოცებული დარჩა აფხაზეთის რაიონებში კულტურისა და ხელოვნების ობიექტების მშენებლობების ფართო სპექტრით და საამშენებლო ტემპებით, რაც აფხაზეთში ჩამოსულ ხელოვან სტუმრებს გასვლითი კონცერტების ჩატარების საშუალებას მისცემს. ამავე დროს, პრეზიდენტმა და ხელოვანმა ერთმანეთს აზრი გაუზიარეს აფხაზეთში საზაფხულო საკონცერტო დარბაზის მშენებლობის თაობაზე. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ აფხაზეთისა და რუსეთის სახალხო არტისტი, ქალბატონი ხიბლა გერზმავა და აფხაზეთის კულტურის მინისტრი ბადრა გუნბა.

სვიატოსლავ ბელზე 1942 წლის 26 აპრილს დაიბადა რუსეთის ქალაქ ჩელიაბინსკში, შემდეგ კი დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში და იყო **“ლიტერატურნაია გაზეტას”** მიმომხილველი.

1988-1996 წლებში ბელზე გახლდათ ოსტანკინოს ტელევიზიის გადაცემა **“მუსიკა ეთერში”** ავტორი და წამყვანი და, პარალელურად, ხელმძღვანელობდა **“ოსტანკინოს”** სტუდიის მუსიკალურ და გასართობ პროგრამებს. ამჟამად კი ტელეარხ **“კულტურაზე”** მიჰყავს გადაცემა **“მსოფლიო კულტურის შედევრები”.**

სვიატოსლავ ბელზე არაერთგზის იმყოფებოდა აფხაზეთში, ხშირად იღებდა მონაწილეობას კონცერტებში, რომელიც იმართებოდა დევიზით **“ხიბლა გერზმავა გეპატიჟებათ...”**

შემდეგ, ბელზემ, მოსკოვის სრეტენკის მონასტრის მომღერალთა ქოროს თანხლებით და ხიბლა გერზმავას მონაწილეობით გამართა კონცერტი, რომელმაც მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲭᲐᲚᲐᲮᲘ ᲘᲡᲠᲝᲚᲔᲡ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ

(უბადრუკი მცდელობა მეგრული ენის დასამცირებლად)

ადამიანი საკუთარი ნააზრევის გამოთქმაში თავისუფალია, ეს პატიოსანი წესია. მაგრამ ასევე არსებობს მეორე წესიც, პატიოსანი და მართალი ადამიანი საკუთარ ნაზრევს მუდამ აწერს ხელს და პასუხს აგებს გამონათქვამზე. მაგრამ როცა საგულდაგულოდ ინიღბება, სოროში ძვრება და შავი მანტიით იმოსება, ცხადია მან წინასწარ იცის, რომ სცოდავს უფლისა და საზოგადოების წინაშე და **„ქამელეონად“** იქცევა.

ქამელეონი ხვლიკისებრთა ოჯახს მიეკუთვნება და სხვებისგან იმით გამოირჩევა, რომ მუდმივად შეუძლია ფერი იცვალოს და ამით შეუმჩნეველი დარჩეს, თუმცა ეს მაინც არ შველის მასაც.

სწორედ ამგვარი **„ქამელეონი“** მგონია ის ავტორი, რომლის **„შედევრი“** დაიბეჭდა ჟურნალ **„სამეგრელოს“** მ\წ. №8-ში, გრძელი და შეფარული სათაურით **„როგორ იყენებდა რუსეთი მეგრულ-ლაზურ ენას ბრმა იარაღად, რათა საქართველოში ქართული ენის სტატუსი დაესუსტებინა“.**

ამ მეტად მგრძნობიარე და მაღალი პათოსით წარმოდგენილ სათაურს აქვს ქვესათაური – **„გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი“.**

ვრცელ წერილს, რომელიც სამ ფურცელზეა დაბეჭდილი და დასურათებული, ავტორი შეგნებულად არ ჰყავს. ინკოგნიტოდ რატომ იქცა, ამაში ქვემოთ მოგითხრობთ.

და რადგან ავტორი **„იმალება“** უფლებას ვაძლევ თავს, ის **„ბატონი“** ქამელეონად მოვიხსენიო.

თემა რომელსაც **„ქამელეონი“** ეხება, როგორც უკვე აღვნიშნე, მეტად აქტუალური იყო მე-19 საუკუნეში. რუსულმა იმპერიულმა მანქანამ მოიწადინა სამეგრელოში რუსული გავლენის გაძლიერება და ამით დედა-საქართველოსთან დაპირისპირება. ეცადა ადგილობრივ ენაზე რუსული ასოებით დამწერლობის შექმნა, (მათ შორის ლოცვებისა და ფსალმუნების თარგმნა). ეს იყო მხოლოდ უკეთური იდეა. რომელსაც განხორციელება არ ეწერა, რადგან საპროტესტო ხმა აღიმაღლეს, უპირველეს ყოვლისა სამეგრელოს მოწინავე ადამიანებმა და სამღვდელოებამ, რასაც მხარი აუბა სრულიად საქართველომ და მალევე ჩაიფუშა ეს უგუნური ინიციატივა. ამ საყოველთაო ბრძოლაში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, რასაკვირველია გვერდზე ვერ გადგებოდა.

როგორც მტრის მიერ ინსპირირებული ნებისმიერი ცდა – დაპირისპირებინა ერთმანეთისათვის სამეგრელო და სვანეთი დანარჩენ საქართველოსთვის, კრახით სრულდებოდა, ასე იყო და ასე იქნება მარადის. ეს საკითხი ფართო საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი. დღეს ვერ იპოვის მავანი ვერცერთ შემთხვევას, როცა სამეგრელო და სვანეთი გადაუდგა დედა საქართველოს, არ გაშალა ფართოდ ხელები და არ ჩაინბილა ღვიძლი შვილივით. ისევე მეგრულ და სვანურ ენას არ ჰქონია და არ აქვს პრეტენზია პირველობისა. თუმცა...

„ქამელეონმა“ შეფარვით, მაცდური განზრახვით, შეარჩია ჩარჩო და მასში ჩასვა გამრუდებულ იდეით გაფერადებული საკუთარი წარმოსახვის ნაყოფი, რომელიც სიტყვასიტყვით ასე ჩამოაყალიბა **„შეხედულება იმის შესახებ, რომ ქართველები ერთადერთ ენაზე ლაპარაკობენ, ხოლო მეგრელი, ლაზური და სვანური ჯგუფის კილოები ამ ენის ისეთივე დიალექტებია, როგორც ქართული, კახური, იმერული, გურული, ხევსურული, ფშავური და სხვანი, გავრცელებული იყო უძველესი დროიდან 20-ე საუკუნის 40 წლამდე, და ამ შეხედულებას იზიარებდნენ ცნობილი მოღვაწეები და მეცნიერები“.** ჩამოთვლილია არაერთი სახელოვანი ადამიანის გვარი, რომელთაც სავსებით საპირისპირო და მეტად მართებული შეხედულებები გააჩნდათ.

ბატონ **„ქამელეონს“,** არა მგონია, წაკითხული არ ჰქონდეს დიდი პოეტის აკ. წერეთლის გამონათქვამი, რომელიც უამრავჯერ დაბეჭდილა. **„მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქარული სიტყვისა, და მეგრულ ენაში კი შენახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები... ჩვენ ვურჩევთ ჩვენ მწერალ-მწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეავსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი.“**

ბატონი **„ქამელეონის“** მიზანი სრულებით არ გახლავთ თუ როგორ მიმდინარეობდა მე-19 საუკუნეში ქართული ენის დაცვა. ვინ, როგორ აქტიურობდა. მისი თილისმური მიზანია იპოვოს რაიმე გამონათქვამი, რომელიც მეგრული და სვანური ენების საზიანო იქნება. მოგეხსენებათ, იმ დროს რთული სიტუაციის გამო, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ერთიანობის დასაცავად ერის ღირსეულმა შვილებმა განაცხადეს, რომ სამეგრელოში დამწერლობის შემოღება აუცილებელი არ არისო, რადგან ჩვენ გვაქვს ქართული დედა ენა და მას მივაგებთ პატივსა. ვიმეორებ, ეს იყო იმ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელი. სამართლიანი და გარდაუვალი. დღეს იმ გამონათქვამების ხელზე არგუმენტად დახვევა და განცხადება, რომ მეგრული და სვანური ენები არ არსებობენ, მკრეხელობაზე მეტია. ეს არის მორიგი მცდელობა – ჩრდილი მიაყენონ, ღაფი ესროლონ ძირძველი კუთხეების ყველაზე ძვირფას განძს, რაც მათ საუკუნეებში გამოატარეს და დედის უბესავით ელოლიავებიან.

აი, ბატონი **„ქამელეონის“** კიდევ ერთი მოსაზრება: **„რომ ახალი ძალით მიეტანათ იერიში ქართველთა ერთიანობის წინააღმდეგ. ამ მიზნით გამოყენებული იქნა ის ფაქტი, რომ გერმანელ ლინგვინისტს გეორგ როზენს 1844-45 წლებში გამოთქმული ჰქონდა უარგუმენტო თვალსაზრისი, რომლის მიხედვით მეგრული, ლაზური და სვანური დამოუკიდებელი ენები ყოფილა და არა ქართული ენების დიალექტები“**

ბატონ **„ქამელეონს“** მიაჩნია, რომ მეგრულისა და სვანურის დამოუკიდებელ ენების აღიარება უარგუმენტო თვალსაზრისია.

მკითხველი რომ არ გადავტვირთო, მხოლოდ მოკლედ ექსკურსს გავაკეთებ. ცხადია, ძველი წელთ.აღრ.I-საუკუნეში უკვე ჩამოყალიბებული იყო ეგრისის სახელმწიფო, ქუჯის ხელმძღვანელობით. სწორედ მასთან ჰქონდა ურთიერთობა ფარნავაზს, რომელიც აყალიბებს ქართული ქვეყანას, როცა აღმოსავლეთში მთავარი ქალაქი მცხეთა იყო, დასავლეთში კი ციხე-გოჯი. მოყოლებული ქრისტეს შობიდან ვიდრე ჩვ. წ. აღრ. მე-7 საუკუნემდე არსებობდა ეგრისის სამეფო, ყველა სახელმწიფოებრივი ატრიბუტით. მას ურთიერთობა ჰქონდა მძლავრ ირანისა და ბიზანტიის იმპერიებთან, ქმნიდა პოლიტიკას და მედგრად ეწინააღმდეგებოდა მათ. ბოროტი და უმეცარის გარდა ეჭვი არავის დაებადება, რომ იმ ვრცელ ტერიტორიაზე რომელსაც ეგრისის სამეფო მოიცავდა: დღევანდელი დასავლეთ საქართველო, ჭოროხის აუზისა და კაბადოკიის ჩათვლით მცხოვრები ხალხები (მათ შორის ლაზები და ჭანები) მეგრულად არ საუბრობდნენო. როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს **„გურულები და იმერლები მეგრელ-ლაზების მიწა-წყლის შიგ შუაგულში არიან შეჭრილნი და მეგრელებსა და ლაზებს ერთმანეთისაგან აშორებენ, ამის მიუხედავად,– დასკვნა იმის შესახებ რომ თავდაპირველად ის მიწა-წყალი მეგრელებს ეკუთვნოდათ, მაინც შეურყვნელად რჩება“.**

უფრო მეტიც, ცნობილი გეოგრაფი სტრაბონი აცხადებს – **აფხაზებს თავი მოაქვთ იმით, რომ სხვა ხალხებზე მბრძანებლობენ** და ამაყობენ – ძველი კოლხების უშვალო მემკვიდრეები ვართო.

ბატონ **„ქამელეონს“** მინდა დაუსვა მარტივი შეკითხვა: რა ენაზე საუბრობდნენ კოლხები და შემდეგ ეგრისელები? ან რა ენაზე ჩატარდა 445 წელს სახალხო კრება ეგრისში მეფე გუბაზის მკვლელობასთან დაკავშირებით. რა ენაზე მიმართეს საზოგადოებას მჭერმეტყველებმა ფარტაზმა და აიეტმა ?

კოლხეთი როგორც ქვეყანა მოიხსენიება, **„ილიადა და ოდისეაში“**(ძვ. წ.აღ მე-4 ს.) ხოლო როდოსელის **„არგონავტიკაში“** კი კოლხური ენა და დამწერლობა რამდენიმეჯერაა ნახსენები. **“ფესტოსის დისკოს”** გაშიფრვამ ხომ დაასტურა, რომ მეგრელებს დამწერლობაც ჰქონიათ. დისკოზე ოქრო დამწერლობით ამოტვიფრულია მეგრული საგალობელი.

რა შორს წავიდეთ. წაიკითხეთ საქ. კათოლიკოს პატრიარქის ამბ. ხელაიას, მწერლისა და მეცნიერის თედო სახოკიას, პუბლიცისტის იპოლიტე ვართაგავას მოგონებები და თქვენ ცხადად ნახავთ – როცა ისინი მარტვილის სასულიერო სასწავლებელში მიიყვანეს, რა ენაზე საუბრობდნენ და სად და როდის ისწავლეს რუსული და ქართული?

რაღა საჭიროა იმის აპელირება, თუ რა გამონათქვამები იხმარეს მაშინდელმა მოღვაწეებმა, როცა რუსული აგრესიისაგან ერთიანი ქართული ღირებულებების დაცვა და ქართული ერის ერთიანობა იყო სასიცოცხლო და აუცილებელი?

სავსებით ვეთანხმები ბატონ ჭ. ქირიას როცა ის აცხადებს **„თუ მეგრული და სვანური ენები არ არის, მაშ რატომ უწევს მეგრელსა და სვანს ქართული ენის სწავლება და არ უწევთ ამის გაკეთება დანარჩენ დიალექტზე მეტყველთო?“**

საგაზეთო წერილი არ იძლევა იმის საშუალებას მოვიტანო ასობით მაგალითი, თუმცა ამ თემაზე იმდენი იწერება ქართულ პრესასა და გამოცემებში, შეუძლებელია ისინი წაკითხული არ ჰქონდეთ ბატონ ქამელეონს, ამიტომ კრთის, იქცა ხვლიკად და სოროში ძვრება. მაგრამ შხამი იმდენად აქვს მოჭარბებული, თავს აძლევენ უფლებას ვირეშმაკურად მოიქცეს.

როგორც ზემოთ ვთქვი, **„ქამელეონი“** თავგამოდებით ეძებს მასალებს და ცდილობს მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მაგალითზე ამტკიცოს, რომ ცდებოდნენ ის ადამიანები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მეგრული – ენაა. ამის საილუსტრაციოდ მოაქვს. აღ.ცაგარელის მიერ 1872 და შემდგომ 1880 წლებში გამოცემული ორტომეული და ამბობს **„მან მეგრულს, ლაზურსა და სვანურს ენები უწოდა. თუმცა იმავე აუტორს 1873 წელს მეგრული, ლაზური და სვანური იბერიული ფუძე ენების დიალექტად მიაჩნდა.“**

ეს აშკარა სიცრუეა. წარსულში ჩაუხედავი მკითხველის შეცდომაში შეყვანის კიდევ ერთი ბოროტი მცდელობა. მსოფლიო დონის მეცნიერი აღ. ცაგარელი იყო უნიჭიერესი, საკუთარ შეხედულებებში შეუვალი, ქართული კულტურისა და მეცნიერების თავგამოდებული ქომაგი. მან ნამდვილად გამოსცა 1872 წელს წიგნი, **„მეგრული ეტიუდები“** და რომ მას ჰგონებოდა, რომ მეცნიერული შეცდომა დაუშვა, როგორც ამას ბატონი **„ქამელეონი “** აცხადებს: ის რვა წლის შემდეგ გამოსცემდა მეორე წიგნს, სადაც იმავე აზრს აფიქსირებს? იგი ჰკადრებდა საკუთარ ღირსებას, ვიღაცის მართული ყოფილიყო, როგორც ოინბაზი, გველაძუა და შურიანი ადამიანები იქცევიან დღეს.?

დიდი ნიკო დადიანისა და სხვათა ბიოგრაფიებში დაცულია ცნობები, რომელიც გვამცნობს, რომ ზემოთ დასახელებული წიგნი იშვიათობას წარმოადგენდა საქართველოში, ამიტომ ბარათებს გზავნიდნენ, უკვეთავდნენ პეტროგრადში და აღფრთოვანებულები იყვნენ ცაგარელის მეცნიერული კვლევების სიღრმისეულობით. და როგორც ყოველთვის, სულბინძური მოშურნე მაშინაც ჰყავდა სამეგრელოს, რომლებიც მის მიმართ გამოთქვამდნენ უბადრუკ შენიშვნებს. მაგრამ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და სრულებით არ არის იმის დასტური, რომელსაც ბატონი **„ქამელეონი“** ხელზე არგუმენტად იხვევს... და უტიფრად აცხადებს: ალ. ცაგარელმა გაკრიტიკების შემდეგ სპეციალობა შეიცვალაო. სინამდვილეში მეცნიერმა მრავალწლიანი მოღვაწეობის შემდეგ ამოწურა საკუთარი შესაძლებლობები ერთ სფეროში და მოუნდა სხვა სფეროში მოღვაწეობა და ნაყოფიერად იმოღვაწევა კიდეც, ეს დასაძრახია?

რამდენიმე წინადადებით მივუბრუნდები გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლ დადიანის საპროტესტო წერილს, რომელშიც მართლაც ახსენა მან **„მეგრული ქართულ ენას აღიქვამს, როგორც თავის ძირეულ საკუთრებას“**-ო, რასაც მოჰყვება ბატონი **„ქამელეონის“** ვრცელი კომენტარი: **“დადიანი რაკი მიიჩნევდა მეგრული მხოლოდ კილოა და არა ენა ,შეუძლებელია ღვთაებრივ ჭეშმარიტებათა შემცველი საეკლესიო წიგნების გადაღება არასრულყოფილ, მცირესიტყვიან და წერილობით თხრობისათვის სრულიად გამოუსადეგარ მეტყველებაზე”**-ო.

მიაქციეთ ალბათ ყურადღება სიტყვებს: **„არასრულყოფილი, მცირესიტყვიანი“**... ღმერთო ჩემო! მეცნიერული კვლევებით დამტკიცებულია, რომ სვანურსა და მეგრულ ენებს აქვს ისეთი ლექსიკური მარაგი, ენისათვის დამახასიათებელი საჭირო ყველა (ფონეტიკური და სხვა) მახასიათებლები, რომლითაც მსოფლიოს ენებს შორის ყველაზე მდიდარია.

სინამდვილეში ძველ მასალებში ქექვა-ჩხრეკით რაც სურს ბატონ **„ქამელეონს“** ცხადია – ის არ მოუხმობს არცერთ დადებით მახასიათებელს, პირიქით, თავგამოდებითაა მოწადინებული დაარწმუნოს საზოგადოება საკუთარ შეთითხნილ მოსაზრებაში.

ყველაფერ ამას საფუძვლად უდევს სამარცხვინო შური. დღეს ქართველი მეცნიერები საოცარი ინტენსივობით იკვლევენ მასალებს, რომ ძველი კოლხეთი მოიცავდა ეგვიპტისა და შუამდინარეთის არეალს, რომ გამოჩნდა შესაბამისი მტკიცებულებებიც. სწორედ ეს აღიზიანებთ, სტანჯავთ და ვერ მოუნელებიათ, და ეს მაშინ როცა ძველი კოლხეთი, იგივე საქართველოა და ქართველური ტომების მიღწევები ერისთვის საამაყოა. მათ ერის ღირსება ცალ ფეხზე კიდიათ. ოღონდაც ახეირონ საკუთარი ქვეყნა გრძნობები.

ბატონმა **„ქამელეონმა“** დიად მიზანს ვერ მიაღწია, თუმცა გაინიძრახა **„მეგობრობა“** იმ ვაიმეცნიერ ფუტკარაძე-გვანცელაძესთან, რომელთა უკუღმართი **„თეორიით“** მეგრული ენა არ არსებობს, რაც, სამწუხაროდ მეცნიერულადაც გაუმართლებელია და იდეოლოგიურადაც საშიშია.

აკადემიკოსმა მამანტი ძაძამიამ ნათლად განაცხადა, რომ **„რადიკალური ქართული პატრიოტიზმი, ვიტყოდი, უფრო სახიფათოა ვიდრე სეპარატიზმის რაღაც გაფაჩუნება სამეგრელოში.... ისინი ჩასაფრებულნი იცდიან, ელოდებიან, რომ ვიღაცამ ხმა აიმაღლოს მეგრულ ან სვანურ ენაზე და მერე ქორებივით დააცხრნენ თავიანთი „პატრიოტული ქართული ოპოზიციიდან“.**

ახალი არ არის, რომ როგორც კი დაიწყება მეგრულ-სვანური თემის წამოწევა, მაშინათვე მავანნი მას **„მეგრულ“** სეპარატიზმს მიაწერენ. მეგრელ ადამიანს აწუხებს არა ავტონომიის არარსებობა, არამედ მისი მშობლიური ენისადმი უპატივცემულობა და მისი რეაქცია ბუნებრივია – გამოხატავდა და კვლავაც ექნება უკმარისობის გრძნობა, სანამ მის მიმართ ადგილი ექნება ბინძურ თავდასხმებს, უკეთური ხერხებით დაუწყებენ აკვნიდან შეზრდილი იავნანის გაუფასურებასა და შელახვას.

ერთს დავამატებ – ცხადზე უცხადესია, ბატონ **„ქამელეონს და მის „ძმათ“** სურთ, როგორმე ვაღიაროთ, რომ სვანური და მეგრული იბერიულის განშტოებებია. მეორენი ოდნავ არბილებენ მდგომარეობას და აყენებენ მოსაზრებას რამდენიმე ქართული ენის შესახებ, რომლის მიხედვით **„მეგრული და სვანური ქართული კულტურის ფორმირების ეპოქაში იყვნენ დიალექტები“.** როგორც სჩანს ყველაფრით სურთ სვანური და მეგრული ენა დაამცირონ, დააკნინონ, საკუთარი მცდარი იდეების მსხვერპლი გახადონ. და ამით ვითომ ერთგულება დაუმტკიცონ დედა ქართულს, რომელიც საკუთარი ღირსებებით, ცრუთა და უბადრუკთა დასაცავი სრულებით არ არის.

აღსანიშნავია, რომ არ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერებათა ინსტიტუტში, 2007 წელს გამოცემულ კრებულში დაბეჭდილი მასალებში და ფუტკარაძე-გვანცელაძის თანამოაზრეთა **„ღვაწლი“** შეფასებულია როგორც **„ ყოველგვარ ლინგვისტურ საფუძველს მოკლებული, პროვოკაციული და იდეურად საშიში თეორია“.**

ერთხელ, თურმე, ვაი პატრიოტებმა სთხოვეს არ, ჩიქობავას, რომ აფხაზური ენა გამოეცხადებინა ქართული ენის დიალექტად, მაშინ დიდმა მეცნიერმა უპასუხა. **„მე იმ აზრს ვემხრობი დღესაც რაც ოცი წლის წინათ განვაცხადეთ“.** მაგრამ ის დიდი და ღირსეული მეცნიერი იყო. **„ქამელეონი“** და მისი მსგავსი ადამიანები თავად მიხვდებიან ვინც არიან.

ჭეშმარიტი მეცნიერები თვლიან, რომ მიზანშწონილი არ არის საკითხის პოლიტიზირება, რასაც ამდენი შფოთი და აურზაური მოყვება. ქრისტეს შობიდან საქართველოს სალიტერატურო და სამწერლობო ენა ერთი იყო მეგრელებისთვის და სვანებისთვის. კულტურის, განათლებისა და სამღვდელოებისთვის. განა სვანები და მეგრელები იმიტომ არიან ქართველები, რომ მათი ენა ქართულის დიალექტია?... ჩვენი ქვეყნის ძლიერება ურყევ ფესვებზეა დამყარებული.

დღევანდელმა **„ქვასროლიებმა“** ძალიან კარგად იციან წარსული და მაინც აფრქვევენ შხამს. ელანდებათ, რომ არსებობს სეპარატიზმის საშიშროება და აგერ ვინმე გვარამიამ ერთერთ, დისკუსიაზე, ხმამაღლა განაცხადა ალ. ჭაჭია თურმე სეპარატისტულ მოქმედებას ეწევაო. ეს მორიგი გველაძუობაა და რასაკვირველია ინსპირირებული. როგორც უკვე გაზეთებში დაიწერა, გვარამია მართულია. ვინც ბატ. ალ. ჭაჭიას გამონათქვამებსა და ქმედებებში სეპარატიზმს ხედავს, ის ძვალს დახარბებული ცხოველია, რომელიც სხვების ნასუფრალით იკვებება.

ზოგიერთები საკუთარ **„ცრუ იდეას“** აშკარად წარმოაჩენენ. სამწუხაროდ, გამოჩნდნენ სოროში შემალული ხვლიკებიც, როგორიც **„ქამელეონია“.** მჯერა, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება, ბინძური ტალღა შეიძენს ენერგიას და ეცდებიან დაანგრიონ ყველაზე ლამაზი და საოცნებო, რაც ქართველ ერს საკუთარი ერთობის განმავლობაში უშენებია და შეუდუღაბებია.

მინდა ანტიეროვნულად მოაზროვნე და ფსევდო ინტელიგენციას მივმართო, რომ დღეს თქვენ უნდა იხარჯებოდეთ არა ღია კარის მტვრევითა და არსებულის არარსებულად გადაკეთებაში, არამედ ჩვენი დაქუცმაცებული ქვეყნის ერთობის შენარჩუნებისა და გაერთიანებისთვის. ყველასათვის ცხადია, რომ სვანურსა და მეგრულ ენაში არის ის ნათელი, ის ძლევამოსილება და სიდიადე, რომელიც ასხივოსნებს დედა ქართულს.

რაც შეეხება ჟურნალ **„სამეგრელოს“**, მე წავიკითხე რამდენიმე წერილი ამ გამოცემიდან და მომეწონა, მეგონა, რომ ის ემსახურებოდა ჩვენი კუთხის ღირსების წარმოჩენას. ახლა უკვე ეჭვი მეპარება. მსგავსი უავტორო, შეფარულად ლაფის შემცველი წერილების დაბეჭდვა არ მატებს ჟურნალს იმიჯს. როგორც გავიგე, ამ ჟურნალს მოთხოვნილზე ბევრად მეტი რაოდენობით აწვდიან რაიონულ ბიბლიოთეკებს, მის საფასურს კი ხელისუფლება იხდის. რატომ?

ამჯერად მეტს აღარ ვიტყვი.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ,
მწერალი, აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი,
მეცნიერებათა აკადემიების „აია“ და „ბიზნესი “-ს წევრი



ბერია

XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სეიბეი ხიმლიოვი
თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

მაგრამ ბრეჟნევის ეპოქაში ბერიას მიმართ არ თქმულა ერთი დადებითი სიტყვაც კი.

რატომ?

იმიტომ, რომ ბერია უცხო იყო **"ხრუშჩოველებისა"** და **"ბრეჟნეველებისათვის..."** სულიერების თვალსაზრისით ბრეჟნევთან ბევრად უფრო ახლოს იდგა ხრუშჩოვი, ვიდრე ლავრენტი ბერია! თვით მიხეილ გორბაჩოვი და **"გორბაჩოველებიც"** კი ბევრად ახლობლები იყვნენ ბრეჟნევისათვის. სწორედ მათ მიიღეს თავიანთ წრეში მიხეილ გორბაჩოვი, მისცეს მას საკუთარი ჯგუფის ჩამოყალიბების საშუალება. ლავრენტი ბერია კი მათ მოღვაწეობას რომ გასცნობოდა, უბრალოდ, დახვრეტდა ამ ჯგუფის წევრებს.

პირადად!

და არა იმიტომ, რომ მას სადისტური სიძულვილის მიდრეკილებები გამოუვლინდებოდა, არამედ საბჭოთა ხალხის სოციალური ინტერესების დაცვის უმაღლესი მიზნებიდან გამომდინარე.

რაც შეეხება მლეჩინისა და მისნაირების განცხადებას საბჭოთა კავშირში სოციალიზმის სრული უიმედობის შესახებ, კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში ომისშემდგომ სოციალურ აღმშენებლობას გრანდიოზული პერსპექტივები გააჩნდა. არა იოსებ სტალინის პოლიტიკური კეკლუცობის გამო – მას არასოდეს ახასიათებდა პოლიტიკური კეკლუცობა,– არამედ სწორედ იოსებ სტალინის სიბრძნეს მიაწერენ მის განცხადებას საბჭოთა კავშირში 6-საათიან (შესაძლებელია 5-საათიან) სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებით, ახალი რუსეთის მოსახლეობის ყოველმხრივი სრულყოფისათვის. და ამ ბაზაზე ხდებოდა რეალური საბჭოთა საზოგადოების ტრანსფორმაცია უფრო მეტი დემოკრატიზმისა და სამოქალაქო თავისუფლების მიმართულებით.

სისტემური თვალსაზრისით რეალურ სოციალიზმს, მისი შესაძლებლობების დამკვიდრებისათვის, აშკარად არ ჰყოფნიდა, ჯერ ერთი, საბჭოთა მთავრობასა და მასებს შორის უკუქცევითი განვითარებადი საქმიანი კავშირები, იმ საბჭოთა ხელმძღვანელობისაგან საზოგადოების ჩამოშორების პრინციპით, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ აღნიშნულ პრინციპს, ან საბოლოოდ ჰქონდათ დაკარგული საკუთარ ხალხთან ჯანსაღი კავშირების დამყარების შესაძლებლობები.

მეორეც – სოციალიზმის განვითარების კვალდაკვალ საბჭოთა საზოგადოების მართვის ავანგარდი უნდა გადაადგილებულიყო იქ, სადაც იგი უნდა მდგარიყო გონიერ საზოგადოებაში: ეკონომიკურ ან კულტურულ-საგანმანათლებლო სტრუქტურებში.

ბერია სწორედ ამგვარ მიდგომებს ქადაგებდა სამშობლოში ხალხის ცხოვრების სფეროების ორგანიზებისას – ტყუილად კი არ ხედავდა შინაგან საქმეთა სამინისტროში ანალიტიკურ ორგანიზაციას, მას ხომ ჩაფიქრებული ჰქონდა ახალი ორდენები კულტურის მოღვაწეებისათვის.

ამიტომ, საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელისუფლებაში ბერიასთან ერთად ფეხს მოიკიდებდა ყოველმხრივ განვითარებული საზოგადოების დემოკრატიზაცია, რომელსაც უხელმძღვანელებდნენ კომპეტენტური სპეციალისტები. ამასთან, ბერიას დაბერების ან მისი გარდაცვალების შემდეგ რუსეთს მიეცემოდა მკვეთრად გამორჩეული ლიდერის გარეშე არსებობის შესაძლებლობა, რადგან უკვე სახეზე იქნებოდა ორი-სამი ასეული მილიონი პიროვნებით დაკომპლექტებული მაღალგანვითარებული საზოგადოება, რომლებიც შექმნიდნენ თავისუფალი ინდივიდუუმების მძლავრ ასოციაციას.

ადამიანი ხომ ჭეშმარიტ თავისუფლებას აღწევს მხოლოდ მეგობართა და თანამოაზრეთა თავისუფალ კოლექტივში. და ასეთი კოლექტივი უძლეველია!

სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ მივიღეთ ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის არაკომპეტენტური მმართველობითი სისტემის ბაკქანალია, შემდეგ კი გორბაჩოვის, ელცინისა და მისი შემდგომი ელცინოიდების ტოტალური პოლიტიკანობის ბაკქანალია. სხვათა შორის, ჩვენი ისტორიის პოსტსტალინისეული ათწლეულების ფართო ანალიზი სცილდება ამ წიგნის ფარგლებს. მაგრამ თემასთან კავშირის თაობაზე მე, აი, რას ვიტყვი...

სტალინის ეპოქამ რუსეთში ჩადო თავისი პოტენციალით მანამდე არნახული ცივილიზაციური ბაზა. მისი კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური და სულიერი შედეგი ისეთი იყო, რომ დანერგილი განათლების წყალობით შეიძლებოდა რუსეთისა და მის შემადგენლობაში მყოფი ხალხების მანამდე არნახული განვითარება!

ქვეყანაში ჩამოყალიბდა მრავალმილიონიანი მძლავრი ადამიანური შრეები – შემოქმედებითი, პროფესიულად შესანიშნავად განათლებული, რომელშიც შენივთებული იყო ძველი თაობის შრომითი გამოცდილება და ახალგაზრდა განათლებული თაობის უშრეტი ენერგია, მეტწილად – ალტრუისტული, რომელიც მზად იყო ნებისმიერ გრანდიოზულ ამოცანებთან შესაჭიდებლად. საზოგადოების ამ შრეებს წინ მიუძღოდნენ მაღალინტელექტუალური საბჭოთა მეცნიერები და მოწინავე თავდაცვით სფეროებში დასაქმებული პროფესიონალი სპეციალისტები – მერაკეტეები, კოსმოსური კვლევის სფეროს წარმომადგენლები, ავიატორები, **"მეატომეები"**, ელექტრონიკის სფეროში დასაქმებული ფიზიკოსები, გემთმშენებლები...

მაგრამ, მათზე არანაკლები აღმშენებლობითი ჟინით იყვნენ შეპყრობილი მეტალურგები, არქიტექტორები, სელექციონერები, ჩარხმშენებლები, რკინიგზელები, ბიოლოგები, გეოლოგები, პედაგოგები, მხატვრები, სპორტსმენები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები...

მოკლედ, ყველგან ჩანდნენ გამარჯვებით წახალისებული **"ფიზიკოსები"** და **"ლირიკოსები"**! ქვეყანა სწორი კურსით მიდიოდა – პოლიტიკურად, ზნეობრივად, ეკონომიკურად.

წარმატების განმსაზღვრელი იყო ლიდერი!

ქვეყნის გამოკვეთილი ლიდერი კი ვერაგულად იქნა მოკლული, რომელიღაც ნახევრადბნელ სარდაფში, 1953 წლის ცხელი ივნისის ერთ დახუთულ ღამეს.

და თუ სტალინის ეპოქამ ქვეყანას მისცა განვითარების იმპულსი, ხრუშჩოვ-ბრეჟნევის პერიოდში ყველაფერი გაკეთდა ამ პოტენციალის გასაცამტვერებლად და ცხოვრების ყველა სფეროს დასანგრევად, მზარდი სახელმწიფოს და საბჭოთა ხალხის სწრაფი ტოტალური დეგრადაციისათვის.

მიხეილ გორბაჩოვმა (და არ მხოლოდ მან, არამედ სამშობლოს მოღალატე ელიტამაც) ქვეყანა დაუნანებლად აიყვანა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ეშაფოტზე.

ბორის ელცინმა (და არ მხოლოდ მან, არამედ სამშობლოს მოღალატე ელიტამაც) საბოლოოდ გახლიჩა ნაწილებად ერთ დროს მძლავრი სახელმწიფო.

ხოლო ერთისა და მეორის მემკვიდრეები დღეს მკვდარი წყლით ანოყიერებენ ამ სახელმწიფოს ნარჩენებს, მაგრამ ვერა და ვერ ბედავენ მის ფესვებს დაასხან ცოცხალი წყალი, მისი ახალი გაერთიანებისა და კოლექტივიზმის სულისკვეთების აღდგენისათვის.

იმიტომ, რომ მათ აღარ ჰყავთ ამხანაგი სტალინი.

ასევე – ამხანაგი ბერიაც!

თავი 32
ემი ნაიტის და მის მსგავსთა დანაური ხოტბები...

წიგნის ეს თავიც მოკლე იქნება, მაგრამ, ჩემის აზრით, იგი აუცილებელია...

1985 წლის გაზაფხულზე დაიწყო ის, რასაც მოგვიანებით ზუსტად და მოხდენილად ეწოდა **"კატასტროიკა"** (კატასტროფული **"პერესტროიკა"** – მთარგმნელი). მაშინ მთელი ქვეყანა დირექტივასავით მოიარა კინორეჟისორ თენგიზ აბულაძის მიერ გადაღებულმა მხატვრულმა ფილმმა **"მონანიება"**. მისი მთავარი ანტიგმირი აშკარად ლავრენტი ბერიაა და მისი მიზანში ამოღება იმ დისიდენტების მიერ, რომლებიც შემდეგ არჩეულ იქნენ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს **"სახალხო"** დეპუტატებად, თავისთავად მეტყველებს, რომ ლენინისა და სტალინის შემდეგ მათ ყველაზე მეტად სძულდათ ლავრენტი პავლეს ძე ბერია.

იმ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული კომპარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი დევი სტურუა გაზეთ **"კომსომოლსკაია პრავდაში"** გამოქვეყნებულ წერილში წერდა: **"თავად ის ფაქტი, რომ საკავშირო ეკრანებზე გამოვიდა ფილმი "მონანიება", მეტყველებს იმათ მართებულ განწყობაზე, ვინც ქვეყანაში ამკვიდრებს ზნეობრივ და პოლიტიკურ კლიმატს..."** შემდეგ დევი სტურუა თავაღერილი ტრაბახობდა იმით, რომ ქვეყანაში გამოვიდა მონოგრაფიები, რომლებიც ეძღვნებოდა **"კომუნისტური პარტიის ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ აბელ ენუქიძე, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, ლავრენტი ქართველიშვილი, ლევან ღოღობერიძე, მიხეილ კახიანი, სამსონ მამულია** (სტალინი წერდა, რომ **"მამულიას ბერიას მარცხენა ფეხის ფასიც კი არ ადევსო"** – ს.კ.), **ეფრემ ეშბა, ნესტორ ლაკობა..."**

მოგვიანებით კი გამოსცეს კოლექტიური **"მონოგრაფია"** ლავრენტი ბერიაზეც – რომლის ნაწყვეტების ციტირება მე არაერთგზის მოვახდინე საკავშირო **"პოლიტგამომცემლობის"** ჟურნალიდან, სახელწოდებით: **"ბერია: კარიერის დასასრული"**. აღნიშნული ოპუსი ასევე გაჟღენთილია ლავრენტი ბერიასადმი პათოლოგიური, ლამის პარანოიასთან მიახლოებული ბრმა სიძულვილით.

და მაშინვე გამოვლინდა ახალი პარადოქსი! მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ინფორმაციის (და არა შეფასებების) დაწვრილებითი ანალიზის შემდეგ რწმუნდები – ამ კრებულში გამოქვეყნებული უტყუარი დოკუმენტები იძლევა ამგვარი კომპეტენტური დასკვნის გაკეთების საშუალებას: მისი ანტიგმირი ლავრენტი ბერია დადებითი პიროვნება უფროა, ვიდრე – უარყოფითი! ამიტომაც, სწორედ **"პოლიტგამომცემლობის"** მიერ გამოცემულ მონოგრაფიაში მოყვანილ ციფრებსა და ფაქტებს იყენებდნენ ბერიას **"გათეთრების"** მსურველი პუბლიცისტები: იური მუხინი, ელენე პრუდნიკოვა, მათ შორის – მეც.

გარკვეული თვალსაზრისით, სენსაციად იქცა ერთი რამ – გორბაჩოვის ფონდის ჟურნალ **"თავისუფალი აზრის"** სამეცნიერო დირექტორის ოლეგ ხლევნიუკის მიერ გაჟღერებული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ 1991 წელს ჟურნალ **"სკკპ ცეკას იზვესტიაში"** გამოქვეყნებული პუბლიკაცია გახლავთ სკკპ ცეკას 1953 წლის ივლისის პლენუმის სტენოგრამა. ამასთან, თავისივე ჟურნალში გამოქვეყნებულ წერილში: **"ბერია: ისტორიული რეაბილიტაციის ზღვარზე"** (№2, 1995 წელი) ხლევნიუკი **"გამოტყდა"** საინტერესო რაღაცეებში:

"ტრიბუნაზე ასული *ორატორები მოღალატის დაღს ასვამდნენ ბერიას და, ამავდროულად, უნებლიედ აღიარებდნენ მის რეფორმატორობას* (ხაზგასმა ჩემია – ს.კ.), **რომელიც ცდილობდა, რომ სტალინის გარდაცვალების შემდგომი მცირეხნიანი თავისუფლების პერიოდში მოეხდინა სტალინისეული სოციალიზმის დემონტაჟი. თვით ბერიას მოწინააღმდეგეები, ნიკიტა ხრუშჩოვის ჩათვლით, პლენუმზე გამოიყურებოდნენ თავგამოდებულ სტალინისტებად, რომლებიც ცდილობდნენ კბილებით დაეცვათ თავიანთი დიდი ბელადი პოლიტიკური და ეკონომიკური მემკვიდრეობის თითოეული ნამცეცი".**

ხლევნიუკმა ეს სტრიქონები დაწერა 1995 წელს, მანამდე ორი წლით ადრე კი, 1993 წელს გამომცემლობა **"Princeton Universiti Press"**-მა გამოსცა ამერიკელი ისტორიკოსის ემი ნაიტის წიგნი, სათაურით: **"Beria: Stalin's First Leitenant"**. ნაშრომის დასკვნით ნაწილში ავტორი აღნიშნავს:

"ბერიას კიდევაც რომ მოეტყუებინა ხრუშჩოვი და მისი გვერდის ავლით მოეხერხებინა ქვეყანაში პირველი თანამდებობის ხელში ჩაგდება, იგი ბევრად უფრო ნაკლებ წარმატებებს მიაღწევდა ეფექტური და სიცოცხლისუნარიანი სისტემის შექმნის საქმეში, ვიდრე ხრუშჩოვი, რადგან ბერია ბოლომდე იყო გამსჭვალული სტალინური ტრადიციებით".

მაშ ასე, **"დემოკრატ"** ხლევნიუკის ვერსიით ყველაზე პირწავარდნილი სტალინისტი ხრუშჩოვია, ემი ნაიტის ვერსიით კი პირველი სტალინისტი ბერიაა. რომელია ამათ შორის მართალი?

სამწუხაროდ, არცერთი არაა მართალი, თუმცა ერთმანეთისაგან განსხვავებული მიზეზების გამო. ხლევნიუკი დაუფარავად მიანიშნებდა – სტალინური სოციალიზმი იმდენად საშინელი და არაადამიანური იყო, რომ თვით **"ჯალათი"** და **"სატრაპი"** ლავრენტი ბერიაც კი ცდილობდა მის დემოტაჟს. ემი ნაიტი კი აშკარად მიანიშნებდა, რომ სოციალიზმი ნებისმიერი სახითაა საშინელი და არაადამიანური წყობა და სწორედ ამიტომ იყო განწირული ლავრენტი ბერია კრახისათვის.

მიუხედავად ზემოდაღნიშნული კონსტატაციისა, ემი ნაიტი მაინც ავითარებს ასეთ აზრს:

"მაგრამ, ჩემის აზრით, ისტორიკოსებმა მაინც უნდა მისცენ ყოველივე ამას დაბალანსებული შეფასება, განარიდონ ბერია იმ ლეგენდას, რომ იგი იყო სტალინური ეპოქის ბოროტი დამნაშავე და მისი კარიერა შეაფასონ ფართო ისტორიულ ასპექტში..."

ნაიტმა საკმაოდ მოცული და მდიდარი ისტორიული მასალები დააგროვა ლავრენტი ბერიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც ვერაფერი შეიგნო ვერც სტალინის ეპოქასა და ვერც ბერიას ბედზე, რომლის სახელს მაინც რეპრესიებსა და მასობრივ დეპორტაციებს უკავშირებდა...

მაგრამ, მანაც კი, რომელიც ეცადა, რომ გარკვეულ ასპექტებში ყოფილიყო ობიექტური, გამოარკვია, რომ **"ჯალათი"** ბერიას პოლიტიკური სახე, საქმისადმი ამგვარი მიდგომის შემთხვევაში, საფუძვლიანად ინგრევა. და, იგივე ხლევნიუკის სიტყვებით რომ ვთქვათ: **"ემი ნაიტი იძულებული შეიქმნა ედიარებინა თავის გმირის რეფორმატორობა და პრაგმატულობა და წარმოეჩინა "ლიბერალად ქცეულ პოლიციელად", ზუსტად ისეთად, როგორიც იყო იური ანდროპოვი..."**

ბერია არასოდეს ყოფილა ლიბერალი, მაგრამ მისი პირწავარდნილ პოლიციელად წარმოჩენაც მცდარი ვარაუდია, მისი საგანგებო კომისიასა და მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში მუშაობის მიუხედავად. სასაცილოა მისი შედარება ანდროპოვთანაც. აი, იმ ღირსეული საქმეების გამგრძელებლად, რაც სტალინმა რუსეთს დაუტოვა, ბერია ნამდვილად ივარგებდა!

მიიღებდა რა სტალინისაგან რუსეთს ატომური ბომბით, რომლის შექმნაში ბერიას დიდი წვლილი იდო, ბერია შეძლებდა მემკვიდრეებისათვის დაეტოვებინა რუსეთი მყარად დამკვიდრებული სოციალისტური დემოკრატიით, განვითარებადი პროგრესული საზოგადოებით და კოლექტიურობის შეგნებით.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲐᲠᲜᲝ ᲮᲘᲓᲘᲠᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲕᲙᲘᲗᲮᲐᲕᲓᲘ...“

სააკაშვილის **„ნაცმოძრაობა“** – ივანიშვილის **„ქართული ოცნება“**: ვინ – ვის? აი, შეკითხვა, რომელიც დღეს საქართველოში უმთავრესია.

თუ სოციალურ ქსელ „Facebook“-ში და „IPN“-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგებს გავითვალისწინებთ, დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს ბიძინა ივანიშვილი, ხოლო „IRI“-სა და „NDI“-ს გამოკითხვებში მიხეილ სააკაშვილი ლიდერობს. თუმცა აქაც, თუ ივანიშვილის მომხრეთა ხმებს იმ გამოკითხულთა პროცენტულ რაოდენობას მივამატებთ, რომლებიც თავიანთ პოლიტიკურ არჩევანში **„ჯერ ვერ გარკვეულან“** (მათი უმრავლესობა – ეს ივანიშვილის პოტენციური ელექტორატია, რომელიც მოქმედი ხელისუფლების მხრიდან შესაძლო პრობლემების თავიდან ასარიდებლად პოზიციას წინასწარ არ აფიქსირებს), გამარჯვება აქაც **„ქართული ოცნების“** მხარესაა.

მეორე მხრივ, ადმინისტრაციული რესურსისა და PR-ხელოვნების თვალსაზრისით პრეზიდენტი სააკაშვილი მთელ **„ქართულ ოცნებას“ „ბეჭებზე დასცემს“**: ვისაც ივანიშვილის გუნდში პოლიტიკური გამოცდილება აქვს – ხალხში არც ისე პოპულარულია (სავარაუდო კანდიდატები პარტიული სიით), ხოლო ახალ სახეებს (**„ქართული ოცნების“** ინტელიგენტ მაჟორიტარებს) PR-კამპანიის წარმოების გამოცდილება არ გააჩნიათ.

აუცილებელია, აგრეთვე, აღინიშნოს, რომ ოქტომბერში **„ქართული ოცნების“ მრავალრიცხოვანი მომხრეები ხმას მისცემენ არა ბიძინა ივანიშვილს, არამედ საკუთარ უკეთეს მომავალს – ქართულ ოცნებას, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით!*** ამიტომ ივანიშვილის იმედი მხოლოდ **„ქართველი ხალხის სიბრძნეზე, რომელიც თვითონ გააკეთებს სწორ არჩევანს“**, ივანიშვილის მხრიდან უფრო აქტიური PR-დარტყმების მნიშვნელობის უგულებელყოფა გამოცდილ, ენერგიულ და ძალზედ ვერაგ მოწინააღმდეგეზე (თავდაცვის ტაქტიკიდან – თავდასხმაზე გადასვლა, ხელისუფლების უფრო პროფესიული კრიტიკა მასმედიაში, აქციებზე ბიძინას საჯარო გამოსვლები) ოპოზიციური კოალიციისთვის უკიდურესად სახიფათოა.

კონკრეტული მაგალითი: ვინ, თუ არა ბიზნესმენმა და ბანკირმა ივანიშვილმა იცის, რომ ნებისმიერი ხელშეკრულება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მთავრდება პუნქტით **„ფორსმაჟორი“**, ანუ ითვალისწინებს გაუთვალისწინებელ ფორსმაჟორულ გარემოებებს, რომლის დროსაც მხარეებს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს? ფორსმაჟორულ გარემოებებს განეკუთვნება ე.წ. დაუძლეველი ძალის მოვლენები (ანუ რომლებსაც ხელშეკრულების მხარეები წინ ვერ აღუდგებიან): სტიქიური უბედურებები და კატასტროფები, სამხედრო მოქმედებები და ტერაქტები, გაფიცვები, რევოლუციები, ნაციონალიზაცია და სხვა.

ივანიშვილის ადგილას პრეზიდენტ სააკაშვილს ყველას გასაგონად ვკითხავდი: ***ბატონო პრეზიდენტო! განა კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთში სტიქიური უბედურება არ მოხდა, ფორსმაჟორული სიტუაცია არ შეიქმნა?! მაშ რატომ გადაუვადეთ დაზარალებულებს საბანკო კრედიტების პროცენტებით გადახდა მხოლოდ ერთი წლით და საერთოდ არ გაუუქმეთ ისინი? განა მათ ბანკებთან დადებულ ხელშეკრულებებში არ იყო პუნქტი „ფორსმაჟორი“, არ იყო გათვალისწინებული დაუძლეველი ძალის მოვლენები?!***

რა თქმა უნდა, საბანკო სექტორი რომ არ დაზარალდეს, სახელმწიფოს შეუძლია, სარეზერვო ფონდიდან ბანკებს სესხის ძირითადი თანხა (უპროცენტოდ) გადაუხადოს, თუმცა ნებისმიერი ბანკი კრედიტის გაცემისას საკუთარ მომგებიან კერძო ბიზნესს აწარმოებდა, აქედან გამომდინარე –შეგნებულად მიდიოდა ფორსმაჟორულ რისკზე, ხოლო სადაც მოგებაა, იქ ზარალიცაა.

ივანიშვილის ადგილას სააკაშვილს ვკითხავდი: მიხეილ ნიკოლოზის ძე! რატომ არჩევნებამდე 2 თვით ადრე, მას შემდეგ, რაც ხმა გავრცელდა, რომ ივანიშვილს შპს **„თბილწყალის“** შეძენა სურს, შპს **„საქართველოს წყალმომარაგების გაერთიანებულმა კომპანიამ“** ახალი აქცია დაიწყო სახელწოდებით **„გადაიხადე მხოლოდ 50%“**, რომლის ფარგლებში 2010 წლიდან დღემდე დავალიანების მქონე აბონენტებს გადასახადი გაუნახევრდებათ? თუ გავითვალისწინებთ, რომ აქცია 18 ივლისს დაიწყო და 1 ოქტომბერს დასრულდება**, რა არის ეს, თუ არა წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩევლის პირდაპირი მოსყიდვის მიზნით ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება?!

ივანიშვილის ადგილას სააკაშვილს ვკითხავდი: მიშა, ძვირფასო! შენი ჩინოვნიკები მთავარი პროკურატურიდან და კონტროლის პალატიდან **„საშინლად განიცდიდნენ“** ჩემი ძმის კომპანია **„ელიტა-ბურჯის“** გამო, რომელმაც განსაკუთრებული მოგების გარეშე, მოსახლეობისათვის შეღავათიანი პირობებით (თვეში 5 ლარი) დადო ხელშეკრულებები სატელიტური ანტენების გამოყენებაზე. ახლა რატომღა არ განიცდიან ისინი სახელმწიფო კომპანიის – შპს **„საქართველოს წყალმომარაგების გაერთიანებული კომპანიის“** – გამო, რომელიც ზემოხსენებული აქციის შედეგად 5-მილიონიან ზარალს ნახავს?!

ივანიშვილის ადგილას სააკაშვილს ვკითხავდი: როგორ მიგაჩნიათ, საბიუჯეტო თანხების ხარჯვა:

– ორ პროგრამაზე – უმუშევართა აღრიცხვის და იძულებით გადაადგილებულ პირთა მოთხოვნილებების დადგენის, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 6 მილიონი ლარით ფინანსდება;

– სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამაზე, რომლის ფარგლებში 25 ათასი სტუდენტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 500-500 ლარს მიიღებს;

– პროექტზე „ლიდერი-2012“, რომლის ფარგლებში 80 ათასი სტუდენტი უფასოდ ჩაჰყავთ საკურორტო ქალაქ ანაკლიაში და იქ ტრენინგებს უტარებენ;

– 1000-ლარიანი ვაუჩერების დარიგებაზე სტუდენტებისთვის სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან მათი პროფესიული განათლებისთვის;

– პენსიების გასაზრდელად და სახელმწიფო დაზღვევის პროგრამის გასაფართოებლად გაწეულ ხარჯებს 2012 წლის სექტემბრიდან;

– „მეგენახეობა-მეღვინეობის განვითარების პროგრამის“ დაფინანსების უპრეცედენტო გაზრდაზე (309%-ით) მაისში მიღებული ბიუჯეტის ცვლილებების თანახმად;

და სხვა მსგავს ინიციატივებზე საპარლამენტო არჩევნებამდე ამომრჩევლის პირდაპირი მოსყიდვა ხომ არ არის?

ბიძინა ივანიშვილის ადგილას მიხეილ სააკაშვილს ყველაზე მთავარს ვკითხავდი: როგორც იცით, დღეს მსოფლიოში სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების ორი ძირითადი მოდელი არსებობს: კაპიტალისტური, თავისი ლიბერალურ-ბურჟუაზიული იდეოლოგიით; და სოციალისტური, პროლეტარულ-კომუნისტურით. მესამე მოდელი არ არსებობს.

კაპიტალისტური მოდელი (მეტ-ნაკლებად განვითარებული) რუსეთსა და საქართველოში უკვე იყო, მაგრამ, როგორც იქ მცხოვრები ხალხებისათვის მენტალურად უცხო, ოქტომბრის რევოლუციამდე მივიდა (ისევ ოქტომბერი...). ლიბერალურ დასავლეთში კაპიტალისტური მოდელი დღემდე შენარჩუნდა, მაგრამ იქაც კრახისკენ მიდის – პერმანენტული ომები, ეკონომიკური კრიზისი და კრიზისი საზოგადოების, რომელიც დაუოკებელ მომხმარებლობას (კონსუმერიზმს) მიეჩვია.

უკან დავბრუნდეთ: მაშინ რუსეთი და საქართველო ერთიანი სახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის, შემადგენლობაში განვითარების სოციალისტურ გზას დაადგნენ და დასახულ იქნა აბსოლუტურად მკაფიო მიზანი – კომუნიზმის აშენება.

ბატონო საქართველოს პრეზიდენტო! თუ სოციალიზმი და კომუნიზმი – ცუდია და ამაზე უარი უნდა ვთქვათ, რას აშენებთ დღეს თქვენ (მმართველი პარტიით დაკომპლექტებული ხელისუფლება)? კაპიტალიზმს?! მაგრამ ის საქართველოში უკვე იყო (გასული საუკუნის დასაწყისში, თუნდაც ჩანასახოვანი ფორმით). ესე იგი, ჩვენ უკან, წარსულში ვბრუნდებით?! მაშ, უთხარით ამის შესახებ ქართველ ხალხს – უკან ვბრუნდებით, გასულ საუკუნეში-თქო!

მაგრამ განა ჩვენი **„რევოლუციონერი და რეფორმატორი“** განა აღიარებს, რომ ქვეყანა უკან, წარსულისკენ მიჰყავს?! რა თქმა უნდა, არა! ეს ყოველთვის არაპოპულარულია, განსაკუთრებით – არჩევნების წინ. შედეგად ივანიშვილი, რომელმაც მოწინააღმდეგე ჩიხში მოამწყვდია, ქულებს დაიწერს.

ივანიშვილის ადგილას სააკაშვილს ვკითხავდი: მიპასუხეთ, გეთაყვა – იმ დროს, როცა თვით საქართველოს დასავლეთელი **„მეგობრები“** და **„სტრატეგიული პარტნიორები“** – აშშ და ევროკავშირი – ფარულად გადადიან განვითარების სოციალისტურ **„რელსებზე“** (თვითმართვადი ბაზრის სტიქიიდან – ეკონომიკის მართვის სახელმწიფო ცენტრალიზაციისკენ) და ლიბერალიზმის გაცვეთილ იდეებზე უარს ამბობენ, თქვენ რატომ უბიძგებთ საქართველოს ჯიუტად უფსკრულისკენ?! არ შთაგაგონებთ ჩინეთის მაგალითი – არნახული ტემპით განვითარებადი სუპერსახელმწიფოსი, რომელსაც არასოდეს გადაუხვევია სოციალისტური, კომუნიზმისკენ მიმავალი გზიდან?!

სააკაშვილი ვერც ამ კითხვაზე იპოვის პასუხს, ალბათ, მხოლოდ – პოპულისტურს...

მაგრამ სააკაშვილმა შესანიშნავად იცის ქართველი საზოგადოების ნაკლოვანებები და მათ საკუთარი მიზნებისთვის იყენებს: ყველაფერში დამნაშავეა ჩვენი სნობიზმი და ძველი სიყვარული სექონდ ჰენდის*** – უკვე გამოყენებული, მოხმარებაში ნამყოფი, მაგრამ – უცხოური ნივთებისადმი (შემთხვევით როდია საქართველოში ესოდენ პოპულარული სხვისი ძონძები და ნახმარი ავტომობილები)! აშშ და ევროპა კი **„მესამე ქვეყნებს“** განგებ სთავაზობენ ახლა უკვე იდეოლოგიურ სექონდ ჰენდს (იდეოლოგიას, რომელზეც თვითონ უარი თქვეს!), რათა მუდამ წინ იყვნენ და დანარჩენებზე იბატონონ.

მაგრამ სექონდ ჰენდის დასავლური იდეოლოგია არასოდეს დამთავრებულა ჰეფი ენდით****, ამას უკვე მიხვდნენ ვიეტნამსა და სერბეთში, ერაყსა და ავღანეთში, ეგვიპტესა და ლიბიაში, სირიასა და ირანში, ამას უკვე ხვდებიან საქართველოში...

P.S. ვიმედოვნებ, რომ საქინფორმის მთავარი რედაქტორის ნააზრევს ივანიშვილი არ შეაფასებს, როგორც **„მასტერ-კლასს“**, ხოლო სააკაშვილი – როგორც **„მტრისთვის ინტელექტუალურ მხარდაჭერას“**.

საქინფორმის მთავარი რედაქტორი
ᲐᲠᲜᲝ ᲮᲘᲓᲘᲠᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ

** ამით ივანიშვილი განსხვავდება განსვენებული პრეზიდენტ გამსახურდიასაგან, რომელმაც თავის დროზე ხმათა 90%-ზე მეტი მიიღო: მაშინ ხმას სწორედ რომ ზვიადს აძლევდნენ და მისი გულისათვის მზად იყვნენ,* ***„ქამრებიც კი შემოეჭირათ“.***

*** საქართველოში მორიგი საპარლამენტო არჩევნები 2012 წლის 1 ოქტომბერს გაიმართება.*

**** სექონდ ჰენდი (ინგლ.**"second hand"** – მეორე ხელი) –ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ნებისმიერ, პირად გამოყენებაში ნამყოფ, ნახმარ ქონებას, იქნება ეს ტანსაცმელი, ავტომობილი, ავეჯი, ჭურჭელი, ან თუნდაც ინფორმაცია, მიღებული არა პირველწყაროსაგან.*

***** ჰეფი ენდი (ინგლ.**happy ending**) – პიესის, ფილმის, რომანის და ა.შ. სიუჟეტის ბედნიერი დასასრული, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ყველა პერიპეტია კეთილად მთავრდება დადებითი, მაგრამ არა უარყოფითი გმირებისთვის. ზღაპრებში ჰეფი ენდი შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით:* ***„და ცხოვრობდნენ დიდხანს და ბედნიერად!“.***

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲑᲝᲡᲢᲜᲘᲡ “ᲓᲔᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘ” ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ

ენაკვიმატიანი ქუთაისლები არასოდეს უშვებენ ხელიდან ამა თუ იმ არაორდინალური მოვლენის გაკილვის ელემენტარულ საშუალებასაც კი. სიჭარმაგეში შესულ ადამიანებს ალბათ ახსოვთ ქუთაისის საფეხბურთო კლუბ **“ტორპედოს”** წარუმატებლობა მეოცე საუკუნის სამოციანი წლების საფეხბურთო სეზონში.

– არა უშავს რა, ბოშო, **“ტორპედო”** თუ უმაღლესი ლიგიდან გავარდება, სტადიონზე მწვანილი დავთესოთ და ხალხს მეტი სარგებელი ექნებაო.

ამის შემდეგ რამდენიმე ათეული წელი გავიდა და **“მწვანილის”** საკითხი კვლავ აქტუალური გახდა საქართველოს ამ ეკზოტიკურ ქალაქში.

ქუთაისში, მშენებარე პარლამენტის გვერდით, მთავრობის სახლისა და კონტროლის პალატის წინ, მუშების მიერ გაშენებული ბოსტანი ხელისუფლებას თვალში არ მოუვიდა და რამდენიმე თვის წინ დარგული პომიდორი და წიწაკა მუშებსვე ამოათხრევინეს. ამ ამბავს მუშების ნაწილი – უკმაყოფილებით, ნაწილი კი იუმორით შეხვდა. თუმცა, კითხვაზე – ვისი დავალებით ამოთხარეს დარგული მცენარეები – არ გვიპასუხეს.

“თავიდანვე ხუმრობა-ხუმრობით დავრგეთ, ვიცოდით, რომ არ მოეწონებოდათ, ან რა მოსაწონია, მთავრობის ფანჯრებიდან პომიდორი და წიწაკა რომ ჩანდეს? თუმცა მას შემდეგ, რაც ჟურნალისტებმა ეს თემა აიტაცეთ, მოვიდნენ და გვითხრეს, საღამოს ეს ბოსტანი აქ აღარ იყოსო და მოვთხარეთ კიდეც, მართლა ამ ბოსტანზე კი არ ვიყავით დამოკიდებული!” – ამბობენ მომღიმარი მუშები.

“რა მოხდებოდა, ეს ბოსტანი დროებით მაინც ყოფილიყო? ბიჭები მონდომებით ვუვლიდით და ცოტაც ეცლიათ, მოისხამდა და თვითონვე მოვთხრიდით. ნეტა მთავრობის სახლის გვერდით ბოსტნის გაშენებაზე ცუდი არაფერი კეთდებოდეს ქვეყანაში და ბოსტნის განადგურებას როგორმე ავიტანდით”, – განაცხადა ერთ-ერთმა მუშამ, რომელმაც გასაგები მიზეზის გამო ვინაობის საჯაროდ გამხელა არ ისურვა.

შევეცადეთ, ქუთაისის კეთილმოწყობის სამსახურის წარმომადგენლებისგან შეგვეტყო, ვისი დავალებით ამოთხარეს მცენარეები და ამის გამო რამე საჯარიმო სანქცია ხომ არ განხორციელებულა. ამისათვის კი ქუთაისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროს ლევან ჭანჭალეიშვილს დავუკავშირდით.

– ბატონო ლევან, რამდენიმე დღის წინ ჩვენთან საუბრისას აღნიშნეთ, რომ მთავრობის სახლის წინ ბოსტნის არსებობის შესახებ ინფორმაცია არ გქონდათ, თუმცა შემდეგ მუშებს მოსთხოვეს, რომ ბოსტნიდან მცენარეები ამოეძირკვათ. ეს თქვენი დავალება ხომ არ იყო?

– ვიმეორებ, მაგ ბოსტნის შესახებ ნამდვილად არაფერი ვიცი. ჩვენ არ გაგვიცია ბრძანება, რომ ბოსტანში მცენარეები ამოეთხარათ.

P.S. ***ქუთაისში, მთავრობის სახლის წინ ბოსტნის “დემონტაჟის” შედეგად გათავისუფლებულ მიწის ნაკვეთზე რამდენიმე დღეში მწვანე საფარი დაიგება.***

არ ვიცით, რა იქნება მომავალ პარლამენტში, მაგრამ ამ პარლამენტს რომ ერთი პატარა ბოსტნის მოსავალზე მეტი ღირებულების არაფერი შეუქმნია, ისიც ფაქტია!

კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-183

ესე იგი პელაზგ-კოლხებს-მეგრელებს-ლაზებს, ახლო ურთიერთობა ჰქონიათ **„შუმერებთან“,** ეს იქიდანაც ჩანს, რომ ჰქონდათ ქალაქ-სახელმწიფო **„ია“,** ჰყავდათ ერთი მეფე ჰიპერიონი და შემდეგ ჰელიოსი (**ამროსი კილასონია**. კოლხეთი სამი ათასი..., გვ. 71.) და ა. შ.

როგორც ამტკიცებენ, მეგრელი, იგივე შუმერია – თავდაპირველად **„შუმერეთში“** ლაზურ-მეგრულ ენაზე მოლაპარაკე ხალხები ცხოვრობდნენ. იქ უფრო გვიან მოვიდნენ **„შუმერები“.** კოლხეთის წარღვნამდელი ისტორიის დასტურია ის ფაქტი, რომ სახელწოდება **„ანტლანტიდა“** (ატლანტის ოკეანეში წარღვნამდე არსებული დიდი კუნძული თუ კონტინენტი) – ატლანტიკის ოკეანე – ჩაძირული ატლანტიდა – ატლანტი – კოლხეთის ლეგენდარული მეფის მამის ჰელიოსის მამის მამა, ე. ი. აიეტის ბაბუა იყო. ცივილიზებული სამყაროსათვის კარგადაა ცნობილი **„ნოეს კიდობანის“** კოლხური სახელწოდება **„ნიში“** (ნავი) – ნოეს ნიში – ნოეს ნავი – ეს კოლხეთის წარღვნამდელი ისტორიაა.

კოლხეთ-შუმერის ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით, ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ ბაბილონეთის სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთ საკითხს.

როგორც შუამდინარეთის სახელმწიფო ბაბილონეთი წარმოიშვა ძვ. წ. მესამე ათასწლეულში. მას ადრეც და შემდეგაც ეწოდებოდა **„შუმერი და აქადი“.**

ქ. ბაბილონი (ბერძნულად – ღმერთის კარიბჭე, ძველებრაულად სიტყვა **ბალალ**-ის მიხედვით – არევა, მითის მიხედვით – დაუმთავრებელი ქალაქი) დააარსეს შუმერებმა. ქალაქი ჯერ ემორჩილებოდა აქადის მეფეებს (ძვ. წ. XXIV-XXII სს.), ხოლო შემდეგ ურის III დინასტიის მეფეებს.

ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნემდე ბაბილონი იყო ძველი აღმოსავლეთის სამყაროს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. ძვ. წ. 539 წელს ის დაიკავა კიროს II-მ, ძვ. წ. 331 წელს ალექსანდრე მაკედონელმა, 321 წელს კი ქალაქს დაეუფლა სელევკ I, რომელმაც მოსახლეობის დიდი ნაწილი გაასახლა სელევკიაში (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, გვ. 121, იხ. პროფ. ზ. კიკნაძის სტატია **„ბაბილონურ-ასურული კულტურა“**).

ბაბილონი, ბაბილოვანი (ვენახის ტოტი) ძველი ქართული (კოლხური) ქალაქი იყო.

ინჟინერი ჯუმბერ აბრამია, 1980 წლის ნოემბრიდან 1985 წლის თებერვლამდე, იმყოფებოდა ერაყში საწარმოო მივლინებით – მდინარე ევფრატეზე ელექტროსადგურის მშენებლობაზე. მას საშუალება ჰქონდა დაეთვალიერებინა ერაყის ისტორიული მნიშვნელობის ადგილები – ბაბილონი, ბაბილონის ახლოს მდებარე ალ. მაკედონელის თეატრი, რომლის ნანგრევები ამჟამად ღია ცის ქვეშ არის და სხვა ისტორიული ადგილები.

ჯუმბერ აბრამია ამბობს: ბაბილონის გოდოლი მრგვალი წაჭრილი კონუსის ფორმის მონოლითური ნაგებობაა, ირგვლივ მარჯვნიდან მარცხნივ ხვეული კიბით, კიბეებს მარცხენა მხარეს კედელზე ჩაშენებული ლითონის მოაჯირი მიუყვება, მარჯვენა მხარე კი დაუცველია, ამიტომ დამთვალიერებლების უმრავლესობა პირველივე წრიდან ფერწასული ბრუნდება უკან. ვინც ბოლომდე ასვლას გაბედავს, ნახავს პატარა ოთახს, ერთი კარით, ერთი ფანჯრით და კედელზე მიშენებული ტახტით. გადმოცემით, უფლისწულს, წელიწადში ერთხელ სილამაზის კონკურსში გამარჯვებული ქალი აჰყავდა ცხენით, ვინაიდან ცხენის მოსაბრუნებელი ადგილი არ არის, ცხენს იქიდან გადმოაგდებდა, თვითონ კი იქ იყო, სანამ ქალი არ მობეზრდებოდა. გადმოცემით, გოდოლი წარღვნის მერმინდელი აშენებულია. იგი შედგება ქვის, აგურის და უცნობი დუღაბისაგან. ჟამთა სვლამ მას ნაკაწრიც კი ვერ დაამჩნია.

ალექსანდრე მაკედონელის თეატრი, – ასე ეძახიან იმ ადგილს, სადაც ერთ დროს თეატრი იყო. ნახევრადწრიული გორაკი ბუნებრივად იძლევა იარუსების აშენების საშუალებას. იარუსები მონოლითურადაა დადუღაბებული. ცენტრი ასევე წრიულად შემოვლებულია დაბალი და მასიური წრით. ეს არენაა. ერთი შეხედვით მისახვედრია, რომ აქ ოდესღაც დიდი მოცულობის სანახაობრივი სისტემა არსებობდა.

ქალაქი ბაბილონი ერთ დროს მხედველობის არედან გამქრალა, მაგრამ არქეოლოგებს მისი ძებნა არ შეუწყვეტიათ. ერთხელ ინგლისელმა არქეოლოგმა ნახა გლეხი, ხრიოკი სტეპიდან აგურებს ეზიდებოდა და თანაც ანტიკური ხანის წარწერით, რომელსაც ლურსმული დამწერლობის კვალი ჰქონდა. მან ჩარია მთავრობა და ტერიტორია დაცვის ქვეშ მოექცა, სამუშაოები დაფინანსდა და მთელი ქალაქი აღმოაჩინეს, რომელიც მიწით იყო დაფარული. მთლიანი ტერიტორია 10 კვ.კილომეტრის ფართისაა, რომელიც სამმაგი აგურის გალავნითაა შემოფარგლული. ქალაქში იყო ქუჩები, მოედნები, ბაღები, ბულვარები და რაც მთავარია, სემირამიდას ბაღები.

დღეისათვის აღმოჩენილია კარიბჭე და რამდენიმე შენობა-ნაგებობა, მათ შორის სამეფო სასახლე, რომელიც ოდესღაც 7 სართულიანი ყოფილა. დღეისათვის 3 სართული ჩანს.

ქვედა 3 სართული მიწაშია, ხოლო მეშვიდე სართულის აგურები გატანილია და სართული დაშლილია, რომელიც უფლისწულის რეზიდენციას წარმოადგენდა. ქალაქში ყოველწლიურად ტარდებოდა სილამაზის კონკურსი გოგონათა შორის. როგორც უკვე ვთქვით, გამარჯვებული მიყავდა უფლისწულს თავისთან, მთელი თვით. აქედან იღებს სათავეს გამოთქმა განცხრომა მეშვიდე ცაზე. თუ ბავშვი გაჩნდებოდა, იგი დედასთან ერთად სამეფო კარზე რჩებოდა ყოველგვარი უფლებებით. ნაგებობაზე ყოველი აგური დაფარულია ლურსმნული დამწერლობით. კარიბჭეს ორივე მხარეზე და ზევით ყრუ კედლებზე მრავლადაა ნახატები და სხვადასხვა ნიშნები.

ამაყად დგას ქალზე ამხედრებული ლომის ქანდაკება, და ვინ იცის, კიდევ რა. უამრავი რამ ინგლისელებს გაუტანიათ ლონდონში. მხოლოდ დიდი სკანდალის შემდეგ, ზოგი რამ, უკან დაუბრუნებიათ. რაც შეეხება ლომის ქანდაკებას, მისი ასლი ადგილზე ჩამოუსხიათ ერაყელებისათვის, რაც ჯუმბერ აბრამიას ერთგვარ პატიოსნებად მიაჩნია, რადგან სხვა მტაცებელ ქვეყნებს საქართველოდან რამდენი რამ გაუტანიათ და გაუტაციათ, მაგრამ უკან არაფერი დაუბრუნებიათ.

ჩანს ქალზე ამხედრებული ლომის ქანდაკება ძლიერების სიმბოლო იყო, რადგან მათი მემკვიდრე, უთუოდ ლომკაცი იქნებოდა.

აღსანიშნავია, რომ ბაბილონური მხატვრულ-ლიტერატურული შემოქმედება ძირითადად შემოინახა ასურეთის მეფეთა წიგნსაცავებმა (განსაკუთრებით ასურბანიფალის). ამ ლიტერატურიდან პირველ რიგში აღსანიშნავია მითები, შუამდინარელთა კოსმოგონიურ, კოსმოლოგიურ და თეოლოგიურ შეხედულებებზე.

ბაბილონის მთავარი ლომისა და **„ბაბილონის სასახლის კედლების“** სურათები მომცა ჯუმბერ აბრმიამ, ჯანო (რომეო) კი დიდი ხანია სიამოვნებით მაწვდის საჭირო მასალებს – სხვადასხვა ლიტერატურას, ახალ წიგნებს, მოსკოვის ტელევიზიის ზოგიერთ გადმოცემას (ჯანო აბრამიას იურიდიული განათლება მიღებული აქვს რუსეთში, დიდხანს მუშაობდა პროკურატურის ორგანოებში. დიდმა პატრიოტმა და მწიგნობარმა, ბატონმა ჯანო აბრამიამ კარგად იცის თავისი ქვეყნისა და ხალხის – საქართველოს ისტორია, ლიტერატურა და ენათმეცნიერებაც, რომელ საკითხზეც ჩვენ ხშირად ვკამათობთ, მაგრამ ჩვენი კამათი ყოველთვის კეთილად მთავრდება) და სხვა.

ძვ. წ. V-IV ათასწლეულში გაჩნდა სტილიზებული გამოსახულებით შემკული თიხის საკულტო ჭურჭელი, თიხის სტატუეტები, ხოლო, ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებში სამეთუნეო დაზგა, დაიწყო ტაძრების ინტენსიური მშენებლობა – აღნიშნავს პროფესორი ზურაბ კიკნაძე.

მეცნიერებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ **„III ათასწლეულის შუა ხანებიდან მეტალურგიაში უკვე ცნობილი იყო ჩამოსხმა, კვერვა**" (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, გვ. 120-123). სწორედ რკინისა და ფოლადის (მეტალურგიის) პირველი აღმომჩენები კოლხური ტომი ხალიბები იყო. კოლხეთში III ათასწლეულის შუა ხანებში მეტალურგიულ წარმოებას საფუძველი ჰქონია ჩაყრილი.

კოლხებმა რკინის გამოდნობა – მეტალურგიული წარმოება რომ დაიწყეს, როგორღაც, მაშინათვე გამოიგონეს ხერხი, რომლის საშუალებით ხომალდმშენებლობისათვის ამზადებდნენ მაკაგონის, მუხის და წაბლის ხისგან ფიცრებს და სხვა სამშენებლო მასალებს. ხომალდსაშენი მასალები საზღვარგარეთაც გაჰქონდათ.

ტერმინი **„ოლიმპიდა“,„ოლიმპიური“** ბერძნებს, უთუოდ აღებული აქვთ, მეგრული სიტყვა **„ოლაყაფე“,„სალაყაფო“,„მოლაყაფე“,** სათამაშო, მოთამაშე. ამ საკითხზე შესაფერისი მასალები და მტკიცებულებანი გააჩნიათ მკვლევარს ნუგზარ კვაშილავას და ჯანო აბრამიას.

* * *

უნდა აღინიშნოს, რომ წინახეთურ მოსახლეობას შეადგენენ ქასქები, იგივე მეგრულ-ჭანური ტომები (გ. გიორგაძე, გ. ჭელიძე, კ. თოფურია, კ. შელია).

აკადემიკოსი გრიგოლ გიორგაძე აღნიშნავს, რომ ძვ.წ. XV-XII საუკუნეების დროინდელ ხეთურ ტექსტებში დასახელებული ქასქური ტოპონიმიკის, ქასქური საკუთარი სახელების, ცალკეული სიტყვების ანალიზი მიუთითებს უფრო მეტად ქასქების სამხრეთ კოლხურ წარმომავლობაზე, ვიდრე აფხაზურ-ადიღეურ ან სხვა წარმომავლობაზე.

გ. გიორგაძე წერს: **„ქასქების“** ისტორიის არაერთი საკითხი კვლავ ბუნდოვანია. ეს განსაკუთრებით ითქმის ამ ტომთა ეთნიკურ წარმომავლობაზე და აგრძელებს: **„სიტყვა ქასქა“**-ს ეტიმოლოგია უცნობია, იგი თავისი ფორმით ახლოსაა ხეთურ სიტყვასთან **„ქაშქუ“**, რაც ნიშნავს **„მთვარეს“**.

ხეთურ ტექსტში **„ქასქა“** ტერმინისაგან ნაწარმოებია **„ქასქას ტომი“ („ქასქა-ტომი“ ან „ქასქას ტომები“,** ქასქას ქვეყანა (ან ქვეყნები), **„ქასქელი“** (კაცი თუ ქალი), **„ქასქელები“,„ქასქელი მეომრები“** ან **„ქასქის ქვეყნის მეომრები“,„ქასქა-მტერი“,„ქასქა-ღვთაებები“** და ა.შ.

ჩვენი აზრით, აქ გაუგებარი, ბუნდოვანი არაფერი უნდა იყოს. მით უმეტეს, აკად. გიორგაძე ქასქების (ქაშქების) ენაში უამრავ მეგრულ სიტყვებს ჩამოთვლის. გ. გიორგაძე ამბობს, რომ ქასქების გენეტიკური კავშირის არსებობა აფხაზურ-ადიღეურ ტომებთან მიმაჩნია არადამაჯერებლად (გვ. 15).

აფხაზი მეცნიერები 1991 წელს სოხუმში რუსულ ენაზე გამოცემულ **„აფხაზეთის ისტორიაში“** ამბობენ, რომ ქაშქები არიან ადიღეელები. ისიც უნდა ითქვას, რომ მეცნიერებაში ხშირად ერთმანეთთან აიგივებენ ქასქებს **„აბეშლა“ „აფსილ“** აბეშლაელებთან, რაც – აკად. გ. გიორგაძეს უსწოროდ მიაჩნია (გვ. 20). აი რას მბობს ამის შესახებ:

„ხეთურ ტექსტებში მრავალჯერ მოხსენებული ქასქების მდიდარი ტოპონიმიკის, საკუთარ სახელთა და ცალკეულ სიტყვათა შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ქასქების ტომები განსახილველნი არიან როგორც დასავლურ-ქართველური, მეგრულ-ჭანური ანუ, როგორც ჩვენ ვუწოდებთ, სამხრეთ კოლხური წარმოშობის ტომები. ასეთ შემთხვევაში მივიღებთ სრულიად ახლებურ დასკვნას:თუკი ხეთური წყაროების ქასქები განსახილველი იქნებიან როგორც სამხრეთ კოლხური წარმოშობის ტომები, მაშინ ასეთსავე ტომებად უნდა ჩავთვალოთ ასურული ტექსტების ქაშქებიც („ქაშქაია“) და, მაშასადამე, აბეშლაელებიც, თუკი ასურული წყაროების „ქაშქა“ და „აბეშლა“ მართლაც სინონიმებია. ყოველივე ეს იმას მიუთითებს, რომ ხეთური და ასურული წყაროების ქასქები (ქაშქები) და ასურული წარმოშობის აბეშლაელები (საერთო ჯამში, აფსილებიც – აბეშლა და „აფსილი“ ტერმინთა გაიგივების შემთხვევაში) ერთი და იმავე წარმომავლობის – სამხრეთ კოლხური წარმოშობის ტომებია.“ (**გრიგოლ გიორგაძე,** ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლელების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახალციხე, 2000, გვ. 11, 63 წიგნი გამოსულია სამ ენაზე – ქართულ, რუსულ და გერმანულზე).

გ. გიორგაძე ადასტურებს, რომ არა თუ **„ქაშქა“** არის აფხაზურ-ადიღეური წარმოშობის ტომები, არამედ აბეშლაელები, აფსილები მიგვაჩნია სამხრეთ კოლხური წარმომავლობის ტომებადო.

გ. გიორგაძეს **„აბეშლა“** სახელწოდების გაიგივება **„აფსილთან“** გამორიცხულად მიაჩნია. აბეშლაელები ჩნდებიან ასურულ წყაროებში ძვ.წ. XII საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისში. ამ დროისათვის ხეთების იმპერია უკვე აღარ არსებობდა (განსაკუთრებით XI საუკუნის დასაწყისისათვის).

ამ პერიოდში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიან სხვა ტომებიც, მათ შორის ქართველური წარმოშობის მუშქები (მესხები). რომლებმაც მიიტაცეს ასურეთის ქვეშევრდომი ქვეყნები ჩრდილოეთ მესოპოტამიაში – ალიზი, ფურულუმზი, შემდეგ ქათმუხი და 50 წელი ბატონობდნენ მათზე.

სამეცნიერო ლიტერატურით დასტურდება, რომ ქაშქები, აბეშლაელები და მუშქები ერთ დიდი რეგიონში მცხოვრები ეთნოსები უნდა ყოფილიყვნენ და როგორც ჩანს ურთიერთმონათესავე ტომები იყვნენ. ასე, რომ აბეშლაელთა სახით საქმე გვაქვს კოლხური წარმოშობის ტომებთან. ეს იკითხება ტიგლათფილეს I-ის წარწერებში.

მიუთითებენ აბეშლაელები იგივე აფსუა ტომებიაო, მაგრამ ასეთი იდენტიფიკაცია სწორი არ უნდა იყოს, რადგან იგი ეყრდნობა სულ სხვადასხვა ეპოქის და რეგიონის მხოლოდ და მხოლოდ ორი ტერმინის **„აბეშლა“** და **„აფსილის“** ფონეტიკურ მსგავსებას.

აკად. გ. გიორგაძე აღნიშნავს, რომ **„თუკი მაინც დაუშვებთ, რომ „აბეშლა“ და „აფსილი“ სინონიმებია (ე.ი. ერთი და იგივე ტომებია), მაშინ აფსილებიც კოლხური (მეგრულ-ჭანური) წარმომავლობის ტომად უნდა ჩავთვალოთ**" (გვ. 71).

ქაშქების ტომებს ჰქონდათ საკმაოდ ვრცელი ქვეყანა მთელი პონტოს ტერიტორიაზე, როგორც ამტკიცებენ დაახლოებით იმ ადგილებში, სადაც გვიან ცხოვრობდნენ ქართველური კოლხური ტომები, – ხალიბები, მოსინიკები, სანები და სხვ.

გ. გიორგაძის თვალსაზრისი, რომ ქაშქები არიან არა აფხაზურ-ადიღეური მოდგმის, არამედ ქართველური, კოლხური (მეგრულ-ჭანურ-სვანური) წარმოშობის ტომები, უპირისპირდება და უსაფუძვლოს ხდის ზოგ მეცნიერთაგან გავრცელებულ **„თეორიას“.**

გრიგოლ გიორგაძის მტკიცება ქაშქების კოლხურ სამყაროსთან ეთნოკულტურული კავშირის შესახებ, ძირითადად ენობრივ და ონომასტიკურ მასალაზეა დაფუძნებული.

პროფესორი ნათელა ქუთელია წერს: ვინც ონომასტიკურ მასალას გაეცნობა, პირველი, რაც თვალში ეცემა, ეს არის ფონემათა განაწილების იდენტურობა ქასქურსა და კოლხურს (ლაზურ-მეგრულს) შორის, განსაკუთრებით აფიქსთა იდენტურობა.

კლიმენტი შელია,
პროფესორი,
მეცნიერების დამსახურებული
მოღვაწე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

SIT VENIA VERBO

საქართველოში **“ორიგინალურად”** მოაზროვნეებს რა გამოლევს. ზოგი ილია ჭავჭავაძეს აქილიკებს და მწერალთა კავშირს **“ფაშისტურ”** ორგანიზაციას ეძახის; ზოგი ზვიად გამსახურდიას **“დიქტატურობის”** მხილებით სახელს იხვეჭს; ზოგი ლაპარაკობს ქართველი ერის **“ფეოდალისტურ ფსიქიკაზე”,“მონურ ცნობიერებაზე”** და, აქედან გამომდინარე, ეროვნული მოძრაობის **“ფუნდამენტალისტურ”** ხასიათზე; ზოგიერთი ფიქრობს, რომ ქართველი ერის გამრავლებისათვის აუცილებელია დრომოჭმულ ქალწულობის ინსტიტუტზე უარის თქმა და გვთავაზობს ქორწინებამდე თავისუფალ სექსს, ანუ ბოზობას, რაც ხელს შეუწყობს ერის გამრავლებას; ზოგი ლაპარაკობს ეროვნული მოძრაობის ნეკროფილურ ხასიათზე, ქართველი ერის ინფანტილიზმზე, ქართველი ქალის ტრაგედიაზე, რომლის მიზეზი თურმე სექსუალური თავდაჭერილობა ყოფილა, რომ დაუკმაყოფილებელმა ვნებამ განაპირობა ქართველი ქალის აქტიურობა ეროვნულ მოძრაობაში; ზოგიერთისათვის ქართული სუფრა პედერასტების ლხინია და ქართველები **“არშემდგარი მამაკაცები”** არიან; ზოგი გვიმტკიცებს, რომ ქართველს ერს ახასიათებს გონებრივი სისუსტე, დებილობის სუსტი ფორმა, მოკლებულია სოციალურ აზროვნებასა და პასუხისმგებლობის გრძნობას; ზოგი ღრმად არის დარწმუნებული, რომ **“მუქთა სმა-ჭამის პერსპექტივამ”** ქართველ ერს გონება დაუბნელა, უმადური გახადა და დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა; ზოგიერთს ჰგონია, რომ რუსეთთან ომში ჩვენ გავიმარჯვეთ, რადგან მსოფლიოს ვაჩვენეთ თუ როგორი აგრესორები არიან რუსები; ზოგი საჯაროდ გაჰყვირის მეგრული სეპარატიზმის არსებობის შესახებ; ზოგი მოგვიწოდებს ვადიაროთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და მაშინ შევძლებთ ძირძველი ქართული მიწების დაბრუნებას და ა.შ. და ა.შ.

როცა ვხედავთ, **“ორიგინალურობის”** გამოვლენის ძალზე ფართო სპექტრი არსებობს, მაგრამ მათ ავადმყოფურ ბოდვებს ერთი საერთო მიზანი აქვთ: წარმოაჩინონ ქართველი ერი არასრულფასოვან ერად, მიაწერონ მას ყველა მანკიერება, დაწყებული უსაქმურობიდან დამთავრებული მამათმავლობით.

ეს **“ორიგინალურად მოაზროვნენი”** ძირითადად ყოფილი პუტჩისტები, სოროსის ძუძუნაწოვი თვითმარქვია პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები, კონფლიქტოლოგები, სოციოლოგები და ექსპერტები არიან.

ცნობილი ფსიქიატრი ჩეზარე ლომბროზო ამგვარ ადამიანებს გრაფომან მატიოდებს უწოდებს. **“Интелектуальные матиоды (...) неудержимые болтуны (...) находясь под влиянием какого-то лихорадочного умственного возбуждения, они говорят** (და წერენ კიდეც – **თ.კ.**) **без логической связи и нередко приходят к выводам, совершенно противоположным тому, что они хотели доказать”** – წერს ლომბროზო და აღნიშნავს, რომ ეს მატიოდები **“ორიგინალური აზროვნებით”** კეკლუცობენ, ძალიან ხშირად გვევლინებიან პოლიტიკოსებად, ახალი სექტების და ფრაქციების დამაარსებლად (**Ломброзо. Гениальность и помешательство. М. 2004. стр. 137**).

საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისა და მისი ლიდერის ზვიად გამსახურდიას დამცირების კიდევ ერთი პასქვილი წავიკითხე გაზეთის **“დღეს, ხვალ”** (№8, 12-18 აპრილი, 2012) ფურცლებზე, სათაურით **“დაუსჯელი ბოროტება და გულში ჩაბუდებული ბოღმა”**, რომელსაც წამძღვარებული აქვს ლათინური გამოთქმა **SIME IRA STUDIO** (გარეშედ რისხვისა და მიკერძოებისა), რომელიც გამოირჩევა არალოგიკური კავშირებით და, აქედან გამომდინარე, არალოგიკური დასკვნებით.

ავტორი, ბატონი გიორგი წიქარიშვილი, ცდილობს დაგვისაბუთოს ის, რომ ქართული საზოგადოება (გულისხმობს ქართველ ერს) დაკომპლექსებულია და რომ 9 აპრილის მოვლენამ **“შეურაცხყოფის მწველმა შეგრძნებამ კიდევ უფრო გააღრმავა და გააძლიერა ეს კომპლექსები”.**

რა ქვეცნობიერი კომპლექსები აწუხებს ქართველ ერს, ამის შესახებ ავტორი არაფერს ამბობს. მკითხველი თავად უნდა მიხვდეს, რომ ჩვენ რაღაც უსაშველო უბედურება გვჭირს და ეს უბედურება კიდევ უფრო გააძლიერა 9 აპრილის მოვლენის **“გამანადგურებელმა”,“დამანგრეველმა”** ზემოქმედებამ ეროვნულ ცნობიერებაზე.

წერილის ავტორის აზრით ქართველი ერის ეთნოფსიქოლოგიაზე **“9 აპრილმა გაცილებით დიდი როლი შეასრულა, ვიდრე, ვთქვათ, ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ 1907 წელს, საქართველოს გასაბჭოებამ 1921 წელს, ან 1937 წლის რეპრესიებმა”.**

ამგვარი დასკვნის გაკეთების შემდეგ ავტორი არხეინად აცხადებს: **“9 აპრილის შემდეგ საქართველოში, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა”!**

9 აპრილმა ქართული ეროვნული ცნობიერება საფუძვლამდე დაანგრია, თითქმის სრულიად გაანადგურა, აგრეთვე **“დაანგრია ფასეულობათა მწყობრი სისტემა, ბოროტისა და კეთილის ცნებათა მიმართება, მათი აღქმა, რისი არსებობაც სასიცოცხლოდ აუცილებელია ყოველი ერის, ყოველი საზოგადოებისა და თითოეული ადამიანისათვის”.**

ამგვარი, ჭეშმარიტად აპოკალიფსური სურათის დახატვის შემდეგ, ფეხზე ფეხშემოდებული ბატონი წიქარიშვილი გულარხეინად გვმოძღვრავს: **“9 აპრილის შემდეგ საქართველოში, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა”.**

მართლაც და, რკინისებური ლოგიკაა!

ბატონი წიქარიშვილი ცდილობს დაამტკიცოს ის, რომ 9 აპრილის შემდეგ არაფერი შეცვლილა. დავუშვათ, – წერს ბატონი გიორგი, – 9 აპრილის შემდეგ აგორებულიყო პროტესტისა და წინააღმდეგობის მძლავრი ტალღა, დამოუკიდებლობა მოეპოვა საქართველოს, დამხობილიყო იმპერია... ამ შემთხვევაში **“9 აპრილის მოვლენა ვეღარ მოახდენდა გამანადგურებელ ზემოქმედებას ეროვნულ ცნობიერებაზე, პირიქით, შეარბილებდა კიდეც არასრულფასოვნების შეგრძნებას, ვინაიდან ის იქნებოდა დასჯილი ბოროტება”.**

რადგან ეს არ მოხდა, მაშასადამე საქართველოში ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა. რისი დამტკიცებაც სურდა.

ბატონ წიქარიშვილს ნუთუ მართლა ჰგონია, რომ ყოველი ჩვენთაგანი არასრულფასოვნების კომპლექსით ვიტანჯებით და თანაც მეხსიერების სისუსტე გვჭირს?

სწორედ 9 აპრილის შემდეგ ქართველი ერი ერთ მუშტად შეიკრა, აბორდა პროტესტისა და წინააღმდეგობის მძლავრი ტალღა, ქართულმა ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ ბატონ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით თავის მიზანს მიაღწია: დაინიშნა მრავალპარტიული არჩევნები, გაიმარჯვა ქართველმა ერმა, ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა... სულ მალე დაიშალა საბჭოთა იმპერია!

სხვა რაღა უნდა მომხდარიყო? მაინც და მაინც მტკვარს დინების მიმართულება უნდა შეეცვალა და შავ ზღვაში დანთქმულიყო?

ყოველივე ეს რეალურად მოხდა, მაშინ წიქარიშვილის თეორიის მიხედვით, 9 აპრილის მოვლენა ვეღარ მოახდენდა გამანადგურებელ ზემოქმედებას ეროვნულ ცნობიერებაზე! პირიქით!

ბატონი წიქარიშვილი კი ძველი სოფისტივით ამტკიცებს: ეროვნული ცნობიერება დაინგრა და თან არაფერიც შეცვლილა!

ბატონი წიქარიშვილი 9 აპრილის მოვლენის უარყოფით შედეგად იმასაც მიიჩნევს, რომ მან **“გამოიწვია ხელისუფლების სრული დამბლა საქართველოში (...). ამასთანავე, 9 აპრილმა საქართველო იმ ტალღაზე შეაგდო, რომელიც** (ჯორჯ ბუშ უფროსის თქმით) **მსოფლიო პროცესთა საერთო დინებას ეწინააღმდეგებოდა”.**

ღმერთო, რა მეშველება? მეც ამეკვიატა ეს ფანტომი: **“9 აპრილის შემდეგ საქართველოში, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა”!**

დასავლეთელი **ბუშები** საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას არ უკიჟინებენ დინების წინააღმდეგ მოძრაობთო, რადგან **უკვე მკვდარი თევზებივით გაგვიტაცა ამ დინებამ და წყალწაღებულებს ხელში შეგვრჩა “დემოკრატიის” ისეთი მიღწევები, როგორებიცაა გეიპარადები, ფლეთჩერები, ლესბოსელები, მასობრივი კულტურა... ერთი სიტყვით, ამერიკანიზაცია!**

გიორგი წიქარიშვილი ეროვნულ მოძრაობას იმაშიც ამტყუნებს, რომ მათი ერთადერთი ლოზუნგი **“ძირს რუსეთის დამპალი იმპერია”** ყოფილა.

ეს **“ლოზუნგი საქართველოსთვის ძალზე წამგებიანი აღმოჩნდა საერთაშორისო თვალსაზრისით”,** რადგან ამერიკელები და ევროპელები **“თავს დაჰკანკალებდნენ მიხეილ გორბაჩოვსა და მის “პერესტროიკას”.** ამიტომ, ქართველი ერის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის **“გულუბრყვილო”** და დიპლომატიაში **“გამოუცდელ”** დასავლეთის ქვეყნების ხელისუფალთ **“ბუნტი”** და **“პროვოკაცია”** ეგონათ.

ქართველი ერის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის რატომ უნდა აღქმულიყო ბუნტად და პროვოკაციად? განა ამერიკელებსა და ევროპელებს არა სურდათ საბჭოთა კავშირის დაშლა? განა ამერიკელები არ ეახდნენ საბჭოთა კავშირს **“ბოროტების იმპერიას”**? განა მასონ გორბაჩოვის **“პერესტროიკის”** მიზანი არ იყო საბჭოთა კავშირის დაშლა?

რამ აიძულა აშშ და ევროპის ქვეყნები **“ბუნტოვშჩიკების”** და **“პროვოკატორების”** მიერ მოპოვებული დამოუკიდებლობა ოფიციალურად ეღიარებინათ?

არ თქვას ვინმემ, **“ბუნტოვშჩიკი”** ქართველების შეეშინდათ და იმიტომ აღიარესო!

ბატონ წიქარიშვილს ქვეცნობიერად სურს, რომ 9 აპრილი **“ბუნტი”** და **“პროვოკაცია”** იყოს. დააკვირდით მის სიტყვებს: **“ასე აღითქვეს დასავლეთში 9 აპრილი და ამიტომ უწოდა მომხდარს ყველაზე სოლიდურმა და დემოკრატიულმა ფრანგულმა გაზეთმა “მონდმა” “ბუნტი და პროვოკაცია”.**

ქვეცნობიერი ბატონ წიქარიშვილს აიძულებს ასე იფიქროს: **“ყველაზე სოლიდური და დემოკრატიული გაზეთი 9 აპრილს თუ ასე აფასებს, წყალი არ გაუვა, ეს მართლაც ასეა! ხელთ ისეთი არგუმენტი მაქვს, რომ ჩემს საჭოჭმანო შეფასებას აქსიომად აქცევს!”**

არ გეგონოთ, რომ 9 აპრილს ერთი დადებითი შედეგი მაინც არ ჰქონდა. **“ერთი დადებითი შედეგი მას მაინც ჰქონდა: ამ მოვლენის მეშვეობით საქართველომ შესძლო გამიჯვნოდა კომუნისტურ წარსულს (...) დაეფიქსირებინა, რომ თავად არის მსხვერპლი”.**

მადლობა ღმერთს, ერთი დადებითი შედეგი მაინც ჰქონია!

ამგვარად, ბატონმა გიორგი წიქარიშვილმა მისხალ-მისხალ აწონა ერთი დადებითი და მრავალი უარყოფითი შედეგი, გაითვალისწინა (რაც მთავარია) რას ფიქრობს **“ყველაზე დემოკრატიული”** გაზეთი **“მონდი”** (და არა ქართველი ერი) და აკეთებს რეზიუმეს: **“მაშასადამე, 9 აპრილის უარყოფითი შედეგი განუზომლად უფრო “წონადია”, უფრო მეტად განმსაზღვრელია. ამიტომაც, მთლიანობაში, ამ მოვლენას და მის ორგანიზატორებს ისტორიის მსჯავრი არ ასცდებათ”.**

9 აპრილის ტრაგედიას ისტორიამ მსჯავრი უკვე გამოუტანა. იგი დარჩა თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერის გმირული სულის სიმბოლოდ!

ორიგინალურად მოაზროვნე ინტელექტუალ გრაფომან მატიოდებს ისტორია მსჯავრს არ გამოუტანს. ეს ფსიქიატრის პრეროგატივაა.

თენგიზ კუბლაშვილი

P.S. წერილი დავამთავრე. ვიფიქრე, მეშველა-მეთქი, მაგრამ ვაი, რომ კვლავ ხმები მესმის... ზარივით რეკავს... ცხადად, გამოკვეთილად გავიგონე სიტყვები: “9 აპრილის შემდეგ საქართველოში, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა!”

ეს რა დამმართე, შე უღმერთო, ჩემი ცოდვით სავსე გიორგი წიქარიშვილო!

თ.კ.

პოეზიის კუთხე

სამარგალო ქგიგალე

სამარგალო ქგიგალე
ჩქიმი ხე დო კუჩხითია,
მუთუნ ბორჯის გემორჩი და
მონოფრთედა ხუნკითია.
ჟუნ ღორონთის დოუჭყუდას
ჩქიმი ლუკმა, ჩქიმი თიაქ,
დიხა ვაბჭარაფუდასი
ქოფცუმუდას ბუტუტია.
საყოროფო ელი-მოლსი
უსხაპუნქ დო უბირქია,
დამიჯერი, მარგალ კოჩი
უსქანეთი ვებრგუქია.
ირიათო ქოყოფედა
სამარგალო, ჩქიმი გური,
სქანი გამო დობდური და
თენა მაი ოცქვაფური.
ტერი გეშაბჭყვიდიკონი
თოფი ხესი მიკებუდუ,
სქანი ყოროფაში გამო,
ღურა მურდენ ვამიჩქუდუ.
ამდღა ხოლო თასი ვორექ
ოდო შური მაქანცენი,
ჩქიმი სქვამი დიხა-წყარი
მარგალობას იძახუნი.
სქანი ყოროფათი მიღუ,
სქანი სქუას ჯგირ დო ფური,
თენას გურით ვაფთქუანდა,
დობჭუდასი ჩქიმი შური.

შიო ტორონჯ

შიო ტორონჯ, ქოფურინი,
გინილ ინგირი დო ღალი
გალერებსი ქიგნაძახი:
ვორექ, ოჩამჩირეში მალი.
ქიგიჯინი ჩქიმი ყუდეს,
ქოძირ, ქიგედგნდო ვარი,
ჭვილი რენდა, დომიფული,
ვაგენგმობა დუდა წყარი.
ჭყოლი გურსუ ქუა გემძუ,
ლოდი, ჩილამურით რჩხილი,
ვარე გინოდგუდგილირე,
ჩქიმი კილეშ ნახანდილი.
ჩქიმ ტორომჯი, ქუმოფურინ,
ქოთქვი, ქოთქვი, მუ ძირინი.
მიჩქ, ოლააფე ვარე
სი მუსუთ გინაჯინი.
მენდი ოკო ვადინუე,
თოლსი მომთხოზ ჩილამური,
ჩქინ ტერეფიშ გაძიცალო,
ვედიბჩიჩუათი გური.

ავერიკო თორია

საპარლამენტო არჩევნებზე ბიძინობას დაამთხვია!

ხელისუფლებამ საზოგადოებას საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თარიღი გააცნო. მან განაცხადა, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილებით არჩევნები 1 ოქტომბერს ჩატარდება.

ანუ, საპარლამენტო არჩევნებამდე 2 თვეა დარჩენილი. პირველად საქართველოს ისტორიაში ქვეყნის პრეზიდენტმა საპარლამენტო არჩევნები ორშაბათს დანიშნა. რამდენად მისაღებია 1 ოქტომბერი პოლიტიკური პარტიებისთვის?

მალე სოციალურ ქსელებში გავრცელდა ცნობა, რომ მიხეილ სააკაშვილმა არჩევნები ბიძინობის დღესასწაულზე დანიშნა.

ჩვენ გადავამოწმეთ ეს ინფორმაცია და აღმოჩნდა რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესია ყოველ წელიწადს, ახალი სტილით 1 ოქტომბერს, ქართველი წმინდანის – ბიძინა ჩოლოყაშვილის, ხსენების დღეს აღნიშნავს.

ასე რომ, პირველ ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნები ბიძინობაზე გაიმართება.

საინტერესოა, სააკაშვილმა ეს შეგნებით გააკეთა თუ შეუგნებლად. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მას საქართველოს ისტორიაზე, მის გმირებსა და შემოქმედებზე საკმაოდ ზედაპირული წარმოდგენა გააჩნია...

სად იყვნენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები 08.08.08 ომის დროს?

სად იყვნენ სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები 2008 წლის აგვისტოს ომის დროს?

1. გიგი წერეთელი – პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველო დატოვა 7 აგვისტოს 04:30 საათზე, დაბრუნდა 9 აგვისტოს;

2. დავით ბეჟუაშვილი – პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი – საქართველო დატოვა 7 აგვისტოს, დაბრუნდა 11 აგვისტოს, კვლავ დატოვა 15 აგვისტოს;

3. კანდიდ კვიციანი – პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი – საქართველო დატოვა 7 აგვისტოს, დაბრუნდა 11 აგვისტოს;

4. კობა ნაყოფია – პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი, პროდიუსერი რენი ჰარლინის ფილმისა **„აგვისტოს 5 დღე“** – საქართველო დატოვა 7 აგვისტოს და აგვისტოში არ დაბრუნებულა;

5. გოჩა მამაცაშვილი – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე – საქართველო დატოვა 8 აგვისტოს, 05:00 საათზე, დაბრუნდა 12 აგვისტოს;

6. ალექსანდრე ხეთაგური – საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი, საქართველო დატოვა 8 აგვისტოს;

7. დიმიტრი გვინდაძე – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე (2011 წ. – ფინანსთა მინისტრი)– საქართველო დატოვა 8 აგვისტოს, დაბრუნდა 10 აგვისტოს;

8. ლევან მჭედლიშვილი – საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე (დედოფლისწყაროს საკრებულოს წევრი) – საქართველო დატოვა 8 აგვისტოს, დაბრუნდა 10 აგვისტოს;

9. რომან მარსაგიშვილი – პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი – საქართველო დატოვა 8 აგვისტოს;

10. გიგა ბოკერია – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე – საქართველო დატოვა 9 აგვისტოს;

11. ურუზმაგ ქარქუსოვი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის წევრი – საქართველო დატოვა 9 აგვისტოს;

12. ბაკურ კვეზერელი – საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი – საქართველო დატოვა 9 აგვისტოს;

13. გიორგი მელაძე – პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი – საქართველო დატოვა 9 აგვისტოს, 16:00 საათზე;

14. ნინო კალანდაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე – საქართველო დატოვა 10 აგვისტოს, 12:30 საათზე, აზერბაიჯანში გადავიდა წითელი ხიდიდან;

15. ნიკა რურუა – პარლამენტის წევრი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველო დატოვა 10 აგვისტოს, აზერბაიჯანში გადავიდა წითელი ხიდიდან;

16. კობა სუბელიანი – პარლამენტის წევრი (2008 წლის ნოემბრიდან ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი) – საქართველო დატოვა 10 აგვისტოს;

17. გიორგი თარგამაძე – პარლამენტის წევრი, **„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“** ლიდერი – საქართველო დატოვა 10 აგვისტოს;

18. გიორგი ღვინიაშვილი – პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, 11 აგვისტოს ვალედან გადავიდა თურქეთში;

19. გოგი ლიპარტელიანი – პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი – საქართველო დატოვა 11 აგვისტოს, დაბრუნდა 12 აგვისტოს, 15 აგვისტოს სადახლოდან გადავიდა სომხეთში;

20. ნინო ენუქიძე – საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე – საქართველო დატოვა 11 აგვისტოს, დაბრუნდა 14 აგვისტოს;

21. მერაბ სამადაშვილი – პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი – საქართველო დატოვა 12 აგვისტოს, 00.02 საათზე ავტომანქანით სომხეთში გადავიდა; დაბრუნდა 12 აგვისტოს შუადღისას;

22. პაატა ლეჟავა – პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი, საქართველო დატოვა 12 აგვისტოს;

23. თამარ კოვზირიძე – საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე, საქართველოში დაბრუნდა 14 აგვისტოს;

24. ჰოვანესიანი ჰარუთიუნ – პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი, 11 აგვისტოს სარფის საზღვარი გადმოკვეთა თურქეთიდან;

25. გოდერძი ბუკია – პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი, 11 აგვისტოს გადმოვიდა წითელი ხიდიდან.

საქინფორმი

List of Georgian Officials which left the country during August 2008 Russian-Georgian war

#	Name	Position	Left Georgia	Returned
1	Gigi Tsereteli	Deputy Chair of Parliament	Aug 7, 04:30	Aug 9, morning
2	David Bezhuashvili	MP	Aug 7, early morning; Left again on Aug 15	Aug 11
3	Kandid Kvitsiani	MP	Aug 7	Aug 11
4	Koba Nakophia	MP. Producer of Rene Harlin's movie – "5 Days in August"	Aug 7	Not returned in August
5	Gocha Mamatsashvili	First Deputy Minister of Environment Protection	Aug 8, 05:00	Aug 12
6	Alexander Khetaguri	Minister of Energetics	Aug 8	
7	Dimitri Gvindadze	Deputy Minister of Finances (since 2011 – minister of Finances)	Aug 8	Aug 10
8	Levan Mchedlishvili	MP	Aug 8	Aug 10
9	Roman Marsagishvili	MP	Aug 8	
10	Giga Bokeria	Deputy Foreign Minister	Aug 9	
11	Urumag Karkusov	Deputy Minister of Economics, Member of South Ossetian Administration	Aug 9	
12	Bakur Kvezereli	Minister of Agriculture	Aug 9	
13	Giorgi Meladze	MP	Aug 9, 16:00	
14	Nino Kalandadze	Deputy Foreign Minister	Aug 10, 12:30, from Red Bridge (to Azerbaijan)	
15	Nika Rurua	Minister of Culture (that time – MP, head of Defense Committee at Parliament	Aug 10, from Red Bridge (to Azerbaijan)	
16	Koba Subeliani	Minister of Refugees and IDPs	Aug 10	
17	Giorgi Targamadze	MP, Head of CDP Party	Aug 10	
18	Giorgi Gviniashvili	MP	Aug 11 from Vale (to Turkey)	
19	Gogi Liparteliani	MP	Aug 11; Aug 15 from Sadakhlo (to Armenia)	Aug 12
20	Nino Enukidze	Deputy-Minister of Energetics	Aug 11	Aug 14
21	Merab Samadashvili	MP	Left Aug 12, 00:02, by car to Armenia	Aug 12, at noon
22	Paata Lezhava	MP	Aug 12	
23	Tamar Kovziridze	Deputy Minister of Economics		Aug 14
24	Hovanes Harutunyan	MP		Aug 11 by Sarpi (from Turkey)
25	Goderdzi Bukia	MP		Aug 11 from red bridge

ბიძინა ივანიშვილი – მიხეილ სააკაშვილი მოწოდებულია, რომ ხალხი ერთმანეთს დააპირისპიროს

მიხეილ სააკაშვილი და მისი იდეოლოგია მოწოდებულია, რომ გახლიჩოს საქართველო და დააპირისპიროს ქართველი ხალხი ერთმანეთს, – ამის შესახებ **“ქართული ოცნების”** ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ბეშუმში მომხდარი ინცინდენტის კომენტირებისას განაცხადა.

ივანიშვილის თქმით, მათ ხალხთან შეხვედრა სურდათ, თუმცა სააკაშვილის მომხრეებმა გადაადგილების შესაძლებლობა არ მისცეს.

“არ გვაძლევდნენ საშუალებას, მიგვეღო მონაწილეობა დღესასწაულში. დღესასწაული არც არის, ეს არის სააკაშვილის დღესასწაული. ამ ტიპის დღესასწაულები მოსწონს სააკაშვილს”, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისი თქმით, **“ქართულმა ოცნებამ”** დაპირისპირებას თავი აარიდა.

“ჩვენ რა თქმა უნდა, გვეყო სიბრძნე იმისთვის, რომ არ დავუპირისპირდით ჩვენს ძმებს, შემოვბრუნდით, წამოვედით. საქართველო საუკუნეების განმავლობაში ახერხებდა გაერთიანებას. ეს კაცი მოვიდა და დაიწყო დაშლა და დანაწევრება ქვეყნის. მე ვპირდები საქართველოს მოსახლეობას, რომ ეს მალე დამთავრდება. როდესაც მითხრეს, რომ სააკაშვილი მოდისო, არ დავიჯერე, რადგან მშიშარა კაცია და სადაც მე ვარ, იქ სააკაშვილი ვერ მოვა. ვერც მოდიოდა და ამიტომ გადაწყვიტეს ეს ძალადობა”, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა, რომლის კომენტარსაც ქართული ტელეკომპანიები ავრცელებენ.

ზემო აჭარაში, ბეშუმობის დღესასწაულზე, **“ნაციონალური მოძრაობისა”** და **“ქართული ოცნების”** აქტივისტებს შორის შეხლა-შემოხლა მოხდა. ბეშუმში ჯერ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმყოფებოდა. მოგვიანებით, ბეშუმში ბიძინა ივანიშვილიც ჩავიდა. **“ქართული ოცნების”** წევრების ინფორმაციით, მმართველი პარტიის აქტივისტებმა, რომელთაგან ზოგი შეიარაღებული იყო, ივანიშვილს გზა გადაუკეტეს და ადგილობრივებთან შეხვედრის საშუალება არ მისცეს. ამას შეხლა-შემოხლა მოჰყვა. ხელისუფლების ვერსიით კი, ინციდენტი იმან გამოიწვია, რომ ივანიშვილი **“ნაციონალების”** აქციაზე მისვლას ცდილობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ინციდენტის შემდე ნაციონალთა რამდენიმე აქტივისტმა დემოსტრაციულად ჩაიცვა **“ქართული ოცნების”** მაისური და ჯანსაღ ძალას შეუერთდა.

შავ ზღვას კალიუმის ციანიდით დაბინძურების საფრთხე ემუქრება

ხელისუფლების სურვილია, მიმდინარე წლის ბოლომდე აჭარას 2 მილიონი ტურისტი ეწვიოს. ამის შესახებ პრეზიდენტი და ხელისუფლების დანარჩენი წარმომადგენლები ძალიან ხშირად საუბრობენ, თუმცა, იმას არავინ ახსენებს, რომ გეგმის შესრულებას სუფთა ზღვა და ეკოლოგიური ნორმების დაცვა სჭირდება. დამსვენებლები ამბობენ, რომ ამ მხრივ წელს ყველაზე საგანგაშო მდგომარეობაა, შავი ზღვის წყალი და სანაპირო წლეულს უფრო მეტადაც არის დაბინძურებული, ვიდრე წინა წლებში.

“თქვენ ტურიზმის განვითარება თუ გინდათ, ფილტრები უნდა დააყენოთ, რომ ზღვის წყალი გასუფთავდეს. “კანალიზაციის ტურიზმი” არც ერთ ქვეყანაში არ განვითარებულა... მასპინძელმა მირჩია, სუფთა წყალი თუ გინდა, საბანაოდ “პიშვეიკზე” წადიო. არადა, აქ იმიტომ დავიქირავე ნომერი, რომ სანაპიროსთან ახლოს ვყოფილიყავი დ სუფთა წყლის საძებნელად დროის დაკარგვა ნამდვილად არ მინდა”, – ამბობს ლატვიელი ტურისტი ანია სიმონენკო ერთ-ერთ სოციალურ ქსელში და ბათუმში მიღებულ შთაბეჭდილებებზე საუბრობს. მის უკმაყოფილებას უამრავი ქართველი თუ უცხოელი დამსვენებელი იზიარებს, თუმცა წლიდან წლამდე ზღვის დაბინძურების პრობლემა მაინც არ გვარდება.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ბათუმში ტურისტების მკვეთრ ზრდაზე საუბრობს. წელს ბათუმში რეკორდულ რაოდენობას ელოდებიან. როგორც დეპარტამენტის წარმომადგენელი განმარტავს, ყველაზე ხშირად აჭარას აზერბაიჯანელები, სომხები, თურქები, ირანელები და რუსები სტუმრობენ.

ზღვისპირა კურორტებზე მნიშვნელოვანია ზღვა, პლაჟი და მათი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა და ამ მხრივ სახარბიელო ვითარება რომ არ გვაქვს, ცხადია.

ხელისუფლების უგულისყურობას დამსვენებელთა დაუდევრობაც ემატება, შედეგად კი ვიღებთ დანაგვიანებულ სანაპიროს, საიდანაც საჭმლის ნარჩენები ტალღების საშუალებით ზღვაში ხვდება...

“ეკოლოგიური სამართლის ცენტრის” ინფორმაციით, ბათუმისა და ადლიის სანაპიროებზე ბანაობა ჯანმრთელობისთვის საშიშია. არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ზღვის წყლის ხარისხის შესწავლის მიზნით ბათუმი-ადლიის აკვატორიაში, 14 წერტილში ზღვის წყლის სინჯები აიღეს და გაირკვა, რომ ზღვაში ამიაკის, ნიტრატისა და ამონიუმის ნორმა დასაშვებზე მეტი იყო. მისივე თქმით, ამ ნივთიერებებმა შესაძლოა ვირუსული **“a ჰეპატიტი”** და სხვა ინფექციური დაავადებები გამოიწვიოს.

არჩილ გუჩმანიძე, ასოციაცია **“ფლორა და ფაუნის”** გამგეობის თავმჯდომარე:

– 2007 წელს დაწყებული შავი ზღვის წყლის გამწმენდი ნაგებობის – **“ადლიის”** მშენებლობა 2011 წელს უნდა დასრულებულიყო, თუმცა კანალიზაცია შავ ზღვაში ისევ ჩაედინება და ზღვა, შეიძლება ითქვას, უფრო მეტადაც არის დაბინძურებული, ვიდრე წინა წლებში.

დადგენილია, რომ ადამიანი ბანაობისას 200 მილიგრამ წყალს ყლაპავს და მსგავსი ნივთიერებების ორგანიზმში მოხვედრა ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის. თუმცა გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ინფორმაციით, ეს საფრთხე არ არსებობს, რადგან ზღვაზე მონიტორინგი აპრილის თვიდან დაიწყო და არც ერთი ნივთიერება ნორმას არ აღემატება. მათივე მტკიცებით, ბათუმისა და ადლიის სანაპიროებზე ბანაობა ჯანმრთელობისთვის საშიში არ არის.

გიორგი გაჩეჩილაძე, “მწვანეთა პარტიის” ლიდერი:

– დიდი სპეციალისტობა არ სჭირდება იმას, რომ შავი ზღვა ცუდ დღეშია. წყალს კანალიზაციის სუნი ასდის, მაგრამ მთავარია, ხელისუფლებას სეზონი არ ჩაუვარდეს და გარემოს დაცვის სამინისტრო ყველაფერს წაუყრუებს. უფრო უარესი ის არის, რომ შავ ზღვას კალიუმის ციანიდით დაბინძურების საფრთხე ემუქრება. ქუთაისსა და ზესტაფონს შორის მდებარე მექანიკურ ქარხანაში ასობით კილოგრამი კალიუმის ციანიდი ინახებოდა, მოგვიანებით შენობა თოვლმა ჩაანგრია და იქ მოთავსებული საშიში ფხვნილიც შენობის ნანგრევებში აღმოჩნდა. თუ ციანიდის ნივთიერება ბუნებაში მოხვდა, მოსახლეობას შეიძლება სერიოზული საფრთხე დაემუქროს, ვინაიდან ერთ გრამზე ნაკლები კალიუმის ციანიდიც კი ადამიანისთვის სასიკვდილოა. თუ გარემოს დაცვის სამინისტრომ რეაგირება დროულად არ მოახდინა, ნივთიერება ჯერ მდინარე ყვირილაში და შემდეგ შავ ზღვაში მოხვდება. სავსებით შესაძლებელია, ნივთიერება აორთქლდეს კიდეც და წვიმის სახით მოვიდეს, რაც ასევე სერიოზული საფრთხის შემცველია.

ლ. პაპასკირი

საქართველოში 763 000 უმუშევარი აღირიცხა

საქართველოში ამ ეტაპზე 763 000 უმუშევარი და სამუშაოს მაძიებელი პირია აღრიცხული. ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსმა რამაზ სულამანიძემ განაცხადა, რომელმაც **„სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამის“** მიმდინარეობის პრეზენტაცია წარმოადგინა. სულამანიძის განმარტებით, ამის შემდეგ მათ დასახმარებლად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა დაიწყება.

„დღეისათვის არსებული მონაცემების სრულყოფის მიზნით, აგვისტოს მეორე ნახევრიდან დაიწყება ბაზაში შეყვანილი პირების სატელეფონო გადამოწმება, ხოლო ოქტომბრის ბოლოს დასრულდება უმუშევართა და სამუშაოს მაძიებელთა გამოკითხვა“, – განაცხადა მან და დასძინა, რომ დასაქმების პოლიტიკის განსაზღვრისთვის სრულყოფილი ბაზა დასაქმების სახელმწიფო მინისტრის აპარატს გადაეცემა.

ძნელი დასაჯერებელია, რომ დასაქმების სამინისტრომ შესძლოს ამ ადამიანებისათვის სამსახურის მოძებნა იმ ქვეყანაში, რომელსაც პრაქტიკულად არ გააჩნია სახელმწიფო-პოლიტიკური წნეხისაგან თავისუფალი ბიზნესი და სადაც უცხოელი ინვესტორები დიდად არ ესწრაფვიან ინვესტიციების განხორციელებას.

სწორედ სააკაშვილის და ნაციონალების დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგია ის, რომ საქართველოს 2003 წელთან შედარებით 150 ათას უმუშევარზე მეტი ჰყავს. სააკაშვილი კი ყინჩად აცხადებს, რომ საქართველოს ისტორია **“ვარდების რევოლუციის”** დღიდან იწყებაო!

იწყება, ნამდვილად იწყება, მაგრამ არა აღმშენებლობა, არამედ უმუშევრობის კატასტროფული ზრდა, მიწებისა და სტრატეგიული ობიექტების უცხოელებზე გასხვისება, კერძო ქონების ხელყოფა და მრავალი ის უბედურება, რომელიც მხოლოდ აფერხებს ქვეყნის შემდგომ განვითარებას!

გვახსოვდეს – ნაზი შამანაური!

ნაზი შამანაურის დაბადების
დღის აღსანიშნავად.

1982 წლის 14 აგვისტოს ჩარგალში ტრადიციულად ვაჟაობა აღინიშნებოდა. ჟურნალისტმა ნაზი შამანაურმა სიტყვა ითხოვა, მაგრამ ნება არ მისცეს. მაშინ მან საზოგადოებას მიმართა, მომეცით საშუალება, გადმოგცეთ, რა უჭირს ან რა ულხინს ვაჟას სამშობლო კუთხეს, მთიელ ხალხს: გუდამაყრის, მთიულეთის, ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობას. ვაჟასადმი პატივისცემა მარტო ვაჟაობაზე შეკრებით, გულზე მჯიღის ცემითა და პატრიოტული ლექსებით ხომ არ გამოიხატებაო. ამის თქმა იყო და რაიკომის მდივნის მითითებით ნაზიც და დედამისიც სარა ინაშვილი მილიციამ დააპატიმრა. ნაზის ჩამოართვეს 77-გვერდიანი ნარკვევი, რომელიც ფაქტობრივად იყო ჟურნალისტური გამოძიება დუშეთის რაიონში მომხდარ ბოროტმოქმედებათა, რომელთა უკან ამ რაიონის მესვეურები იდგნენ. ნარკვევს საფუძვლიანად გაეცნენ რაიკომის მდივანიცა და ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელებიც და დედა-შვილს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში **“მკურნალობა”** მიუსაჯეს. შამანაურმა პროტესტის ნიშნად 70 დღე იშიმშილა. მედპერსონალი მისი შიმშილობის შეწყვეტას იმით ცდილობდა, რომ **“ლანცეტს სასამდე აჭერდნენ, კოვზს ბურღივით უტრიალებდნენ ხახაში ზეწრებით შეკოჭილს”** (ამას ნაზის დღიურებში ვკითხულობთ). ბოლოს სასიკვდილოდ სცემეს და თავის ქალის მძიმე ტრავმით 1983 წლის 6 იანვარს მე-9 საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ერთ კვირაში გარდაიცვალა.

ნაზის მეგობარი, ბელა წვერაძე, იგონებს: **“ის ებრძოდა ყოველივეს, რაც უსამართლოდ მიაჩნდა. იცავდა ჩაგრულს, ღარიბს, უპატრონოს, მოხუცს. მან საზოგადოება დაჰყო ორ ნაწილად: მომხვეჭელები, ქურდები, ავაზაკები და პატიოსანი ჩაგრულები. ნაზიკომ უკან დახევა არ იცოდა, მაგრამ სიმართლის დამტკიცება იმ დროს თითქმის შეუძლებელი იყო”.**

ცნობილია, რომ ნაზი შამანაური დისიდენტი არ ყოფილა. ის სოციალისტურ ხელისუფლებას კი არ ებრძოდა, არამედ ამ ხელისუფლების თითქმის ყველა რგოლში მოკალათებულ პირებს, ათასგვარი ბოროტებისა და უმსგავსობის ჩამდენთ.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ნაზი შამანაური დღიურებს წერდა. საბედნიეროდ ამ დღიურებმა დღის სინათლე იხილა. ეს ერთი პატარა ნაწყვეტიც მისი ჩანაწერებიდან ნათელყოფს ნაზის პიროვნულ სიმაღლეს: **“რას მთხოვენ? – უარვყო ჩემი პიროვნება? ეს არ მოხდება. ამქვეყნად არსებობს დიდი ზნეობრივი ფასეულობანი – ეს არის ხალხისა და ჩემი სამშობლოს სიყვარული, რასაც არც ერთ შემთხვევაში არ ეღალატების. სულიერად დაავადებულები არა ვართ... რისთვის გვთხოვენ ხელწერილს, თუ გიყვები ვართ? მე მთავრობას არ ვუჩივი. მე ვუჩივი უსამართლობას, უკანონობას... მე ვთქვი სამშობლოს ზრდისა და ამაღლების საჭირო სიტყვა, რომელიც დღეს საზოგადოებას აღელვებს”.**

ვერავინ დარჩება გულგრილი ამ დღიურების მიმართ. გაუგონარი სადიზმი, ცინიზმი მედპერსონალისა და თან ყოვლის დამთრგუნავი გულახდილობაც, რომლითაც ლამობენ დედა-შვილს გული გაუხეთქონ: **“ჩვენ არაფერ შუაში ვართ. ასეთია ზევიდან ბრძანება. თქვენ საშიშ პიროვნებებად ხართ მიჩნეულნი და თქვენ არავინ გაგათავისუფლებთ. თქვენისთანები აქ წლობით არიან”.**

ნაზი შამანაურმა ჯერ უცხო ენათა ინსტიტუტში (ფრანგული ენის განხრით), შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა. მუშაობდა გაზეთ **“სამშობლოში”**. მისი სტატიები და თარგმანები თითქმის ყველა გაზეთში იბეჭდებოდა. მისი ნარკვევების გმირები იყვნენ მერაბ ბერძენიშვილი, რევაზ ლადიძე, მცხეთელი მინდია – მამულაშვილი, ოთარ მელვინეთუხუცესი, უწმინდესი და უნეტარესი ეფრემ II, მრავალშვილიანი დედა თუ საჭრეთლის ოსტატი. მე მაშინ **“ნორჩი ლენინელის”** რედაქციაში ვმუშაობდი. ჩვენიც ხშირი სტუმარი გახლდათ. ისეთი მოკრძალებული იყო, გაგიჭირდებოდა, დაგეჯერებინა, რომ ბრძოლა შეეძლო. მისმა ერთმა სტატიამ **“ჭირმა თავი მალა, მაგრამ”**, რომელიც გაზეთ **“სოფლის ცხოვრებაში”** გამოქვეყნდა, ისიც შემოკლებით, შეცვალა დამოკიდებულება რედაქტორებისა ნაზის მიმართ.

1991 წელს შოთა ჭინჭარაულმა გამოსცა წიგნი ნაზი შამანაურზე სათაურით **“ჩემი სიმართლე ჩემი მტერია”**. მასში რამდენიმე პირადი წერილია დაბეჭდილი. მათ შორის ჩვენი რედაქტორისთვისაც დატოვებული, რომელიც ასე მთავრდება: **“ყველას და ყველას. როგორ მიხარია, თქვენკენ რომ მოვიჩქარი. თქვენ სხვანაირი სითბო გაქვთ ჩემთვის გადანახული. მენატრებით. სულ მუდამ ბედნიერება, ზღვა სიხარული დაგეკვეთოთ”**. ამავე წერილში რედაქციის ყველა მუშაკს მის მიერ შერქმეული სახელით გვიხსენებს: **“ნათელა – ფაქიზო სამყაროვ, მზია – თეთრო ნისლო, მედეა – ფიფქო, მარიკა (მე) – ლამაზო კრუხო! შვილებო, მოდით, ასე; დაიხსომეთ ცხოვრებაში ათასი მზაკვარია”**. სწორედ მზაკვრებმა შეიწირეს ეს უმშვენიერესი სულის ნიჭიერი ჟურნალისტი, ჩვენ ვერაფერი ვუშველეთ. საზოგადოების ძალისხმევას მხოლოდ ის მოჰყვა, რომ ნაზის დედა, რომელიც შვილის დასატირებლადაც კი არ გამოუშვეს, გაათავისუფლეს **“ექიმ-ჯალათებისგან”** (როგორც ზვიად გამსახურდიამ უწოდა მაშინ ფსიქიატრიული სააავადმყოფოს მედპერსონალს).

ნაზი შამანაურმა მოახერხა და ვრცელი წერილი გაუგზავნა საავადმყოფოდან პოეტებს – ირაკლი აბაშიძესა და ჯანსუღ ჩარკვიანს, რომელშიც სულისშემძვრელად არის აღწერილი მისი მწარე თავგადასავალი. იგი ამგვარად მთავრდება: **“სულერთია, რაც არ უნდა ფარონ მავან და მავანმა პირებმა, სატკივარი არ დაიფარება. რადგან ასეთი სატკივარი “გვაურჟოლებს და ტანში გვზარავს... საჭიროა ერთიანი ძალა საქართველოს და ქართველი ხალხის გადასარჩენად. ამას მოითხოვს საქართველოს ერთიანი, მღვიძარე სული... სიცოცხლის არსი და დანიშნულება თანამდებობაში როდია! ხალხი პატარაა, მაგრამ ქვეყანას თვალწარმტაცი სიმწვანით მოსავს. მაშ, რაშია ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულება, თუ არა სამშობლოს სამსახურში!..”**

ეს სიტყვები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ქვეყანას მუდამ სჭირდება და, რაკი სჭირდება, ებადებიან კიდეც ნაზი შამანაურის მსგავსი ადამიანები.

გაზეთ “ილორის” რედაქციისაგან: სამწუხაროა, რომ საქართველოს ხელისუფლებად წოდებული ანგაჟირებულ ადამიანთა ჯგუფი ივიწყებს გმირებს, რომელთაც ყველაზე სანუკვარი – სიცოცხლე გაიღეს სამშობლოს საკეთილდღეოდ. მაგრამ უფრო მეტად სამწუხაროა ის, რომ ამ გმირებს საზოგადოება ივიწყებს.

დღეს, სამწუხაროდ, შამანაურის ხსოვნისა და მისი საფლავის მეპატრონედ მხოლოდ ცნობილი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ბატონი თამაზ ბიბილური უნდა მივიჩნიოთ. აი წერილი, რომელიც ბატონმა თამაზმა მისწერა მიხეილ სააკაშვილს ნაზი შამანაურის სახლმუზეუმთან დაკავშირებით:

“სიმართლისათვის წამებული ჟურნალისტის ნაზი შამანაურის ცხოვრება და მოღვაწეობა სიმბოლოა ბრძოლისა მართალი პრინციპებისათვის, მაგალითია ყველა პატრიოტი ადამიანისათვის. ჩვენი, თქვენთან ერთად, წმიდათაწმიდა მოვალეობაა ვუერთგულოთ მისი ცხოვრების მაგალითზე სიმართლესა და დემოკრატიას.

დუშეთის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება (53; 16.08.1991 წ.) დუშეთში ნაზი შამანაურის სახლ-მუზეუმის დაარსების თაობაზე. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე შენობის (ამჟამად, შამანაურის ქ. 12) მეორე სართულზე დაკავებული ოთახიდან საექსკურსიო ბიურო გადატანილ იქნა სხვა შენობაში და მუზეუმმა გამოთავისუფლებულ ფართში დაიწყო ფუნქციონირება.

სამწუხაროდ, სახლ-მუზეუმის საქმიანობას ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი ახლდა თან, მათ შორის ე.წ. „ავტომატიანი ბოევიკების“ თავგასულობა და არაერთი შეჭრა შენობაში მუზეუმისთვის გადაცემული ფართის მითვისების მიზნით. ამ პერიოდში მუზეუმის ერთადერთი ქომაგი იყო ნაზის დედა ქ-ნი სარა, რომელიც „ბოევიკებთან“ დაპირისპირებისას, ანუ მუზეუმის დარბაზიდან მათი გაყვანის მოთხოვნის, ხვეწნა-მუდარისა და ნერვიულობის შედეგად 1996 წელს გარდაიცვალა. იმავე დღეს, ჯერ მიცვალებული გამოსვენებული არ იყო, რომ ხსენებულ ფართში შეიჭრა დუშეთში მცხოვრები ვინმე თ. დათოშვილი, რომელიც ყოველგვარი საბუთის გარეშე, დღესაც იქ იმყოფება და მიუხედავად ჩვენი არაერთი მოთხოვნისა, არ გამოდის მუზეუმისთვის განკუთვნილი ფართიდან.

2010 წელს, წერილი შევიტანეთ დუშეთის საკრებულოში ნაზი შამანაურის მუზეუმის ფუნქციონირების აღდგენის თაობაზე. საკრებულოს თავმჯდომარემ ბ-ნმა ზ. წყარუაშვილმა მოინდომა ამ საკითხის გადაწყვეტა და საქმის დაჩქარების მიზნით, გვთხოვა საქმიანი წინადადებების წარმოდგენა. შესაბამისად, ჩვენს მიერ წარდგენილი იქნა გადაუდებლად მოსაგვარებელ საკითხთა ნუსხა. ბ-ნი ზ. წყარუაშვილი დაგვპირდა, მუზეუმის ხარჯების მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებას. შევთანხმდით მუზეუმის დირექტორის სავარაუდო კანდიდატურაზეც.

2011 წლის ივლისში მივაკითხეთ საკრებულოს, მაგრამ ჩვენს მიერ დატოვებული წერილის პასუხს ვერ მივაკვლიეთ. აღმოჩნდა, რომ საკრებულოს თავმჯდომარე ბ-ნი ზ. წყარუაშვილი იქ აღარ მუშაობდა, მის ადგილზე კი დაგვხვდა ქ-ნი ცარო საძაგლიშვილი, რომელმაც ბრძანა: „ძველ წერილს თავი გავანებოთ, ახალი შემოიტანეთ და ამ საკითხს საკრებულოს სხდომაზე მე თავად გავიტანო“. მართლაც 2011 წლის 12 ივლისს, დუშეთის საკრებულოში შევიტანეთ წერილი (646. 12.07.11 წ.) და რადგან კანონით გათვალისწინებულ ვადაში პასუხი ვერ მივიღეთ, გასული წლის აგვისტოში ორჯერ მივაკითხეთ. ქმა ცარომ არ მიგვიღო, ხოლო მისმა თანამშრომლებმა ქ-ნ ცაროს კაბინეტიდან ორივეჯერ ერთნაირი პასუხი გამოიტანეს: „ამ დოკუმენტზე ვმუშაობთო“ ისიც აღნიშნეს: „ვარკვევთ ფართი ვის მფლობელობაშიაო“.

კიდევ ერთი წლის შემდეგ 2012 წლის 5 ივლისს, კვლავ მივაკითხეთ დუშეთის საკრებულოს. ამჯერადაც თანამშრომლებმა ჩვენს წერილს ვერ მიაგნეს, ხოლო თავმჯდომარე ადგილზე არ გახლდათ. რადგან მიღების დღე ყოფილა ორშაბათი, ამიტომ ა.წ. 9 ივლისს ისევ ჩავედით დუშეთში და შევხვდით ც. საძაგლიშვილს. მისი დავალებით საკრებულოს თანამშრომლები კვლავ ეძებდნენ ჩვენს წერილს, მაგრამ უშედეგოდ. როგორც გაირკვა, არ არის დაფიქსირებული თუ ვინ მუშაობდა ამ წერილზე და როდის ჩამოიწერა. როცა შევახსენეთ, რომ საკრებულოს თავმჯდომარე საჯარო მოხელეა და ვალდებული იყო წერილობითი პასუხი თავის დროზე გაეცა, განრისხდა და განაცხადა ეგ ჩემი საქმე არ არისო. კურიოზია, თურმე, დუშეთში ნაზი შამანაურის მუზეუმის ფუნქციონირების საკითხი საკრებულოს თავმჯდომარეს არ ეხება. იძულებული გავხდით დაკარგული წერილის ჩვენეული ქსერო-ასლი ხელახლა გადაგვეცა მათთვის. ჩვენი ადგილზე ყოფნისას ც. საძაგლიშვილი ტელეფონით დაუკავშირდა ვინმე მირიან ფხალაძეს და დაავალა შესაბამისი დოკუმენტის მომზადება.

2012 წლის 25 ივლისს, კვლავ ჩავედით დუშეთში და, როგორც იქნა, მივიღეთ პასუხი. ერთადერთი, რაც ამ წერილიდან გავიგეთ, იყო ის, რომ მუზეუმის ფართი არ ყოფილა დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. ამის დადგენა ერთი წლის წინ, ერთ დღეში შეიძლებოდა. სხვათაშორის პირველი შეხვედრისას (2011 წლის ივლისი) შევთანხმდით, რომ თუ ეს ფართი არ იქნებოდა მუნიციპალიტეტის კუთვნილებაში, საკრებულო მიმართავდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს შუამდგომლობით, მისი გადმოცემის თაობაზე.

ყოველი წლის 5 ივლისს, ქართველი ჟურნალისტები აღვნიშნავთ თავისუფალი აზრის დღეს, ხოლო ბევრი მათგანი მოვალეობად თვლის ესტუმროს დუშეთს, დაათვალიეროს ნაზი შამანაურის მუზეუმის ექსპოზიცია, პატივი მიაგოს ქ-ნი ნაზის ხსოვნას. წელსაც ვესტუმრეთ დუშეთს, მაგრამ ნაზი შამანაურის სახლ-მუზეუმი გამოკეტილი დაგვხვდა. ისღა დაგვრჩენოდა მოგვენახულებინა მისი მოუვლელი საფლავი, გაგვეწმინდა, სანთლები დაგვენთო და ყვავილებით შეგვემკო. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: ნაზის საფლავზე ეკალბარდები იყო მუხლს ზემოთ და ერთ-ერთი (ნაზის ბებიის) მემორიალური ფილა დაგვხვდა ჩატეხილი; სამწუხაროა ისიც, რომ წელს ქ-ნი ნაზის საფლავის გვერდით ისე შემოღობეს, რომ მისვლა შეუძლებელი გახდა (მესერს უნდა გადაახტეთ). სახეზეა მცდელობა ნაზის საფლავის გაუქმებისა.

ბატონო პრეზიდენტო,

მიგვაჩნია, რომ დუშეთის საკრებულოში არის განუკითხაობა, უპასუხისმგებლობისა და დაუსჯელობის თარეში. საკრებულოს თავმჯდომარე ქ-ნი ც. საძაგლიშვილი არის უგერგილო, მატყუარა და ქურდობაში ეჭვმიტანილი (შესაძლებელია ქურდების ხელშემწყობი ან მფარველი). მოკლედ რომ ვთქვათ, თანამდებობისათვის შეუფერებელი (თუნდაც იმისათვის, რომ არ იცის დოკუმენტებზე მუშაობა). აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ დაკავებული თანამდებობიდან მისი, როგორც არაკომპეტენტური მუშაკის, გათავისუფლებას.

გთხოვთ დაავალოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აღძრას სისხლის სამართლის საქმე, დუშეთის საკრებულოში ჩვენი წერილის ქურდობასთან დაკავშირებით.

სამინისტრომ დაადგინოს აგრეთვე, თუ ვინ არის ბ-ნი მირიან ფხალაძე.

გთხოვთ დაავალოთ კულტურის სამინისტროს გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი ნაზი შამანაურის მემორიალური მუზეუმის ფუნქციონირების აღდგენისათვის.

გთხოვთ დაავალოთ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს აღნიშნული სახლის (დუშეთი, ნ. შამანაურის ქ. 12) მეორე სართულის მთლიანი ფართი გადასცეს ქ-ნი ნაზი შამანაურის მემორიალური მუზეუმის ფუნქციონირებისათვის, რაც გამორიცხავს მცდელობას ქ-ნი ნაზის ნათესავებისა თუ სხვათა მხრიდან აღნიშნული ფართის მიტაცების პერსპექტივას (თუნდაც პრივატიზებისა).

გთხოვთ ეს წერილი აყვანილ იქნეს პირად კონტროლზე და მოგვცეთ წერილობითი პასუხი.

პატივისცემით,

„9 აპრილის“ საზოგადოების
თავმჯდომარე თამაზ ბიბილური”

სამწუხაროდ, ამ წერილს არც მიხეილ სააკაშვილი გამოხმაურებია და არც საქართველოს პრეზიდენტის აპარატის რომელიმე თანამშრომელი. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, გასაკვირი ამაში არაფერია: ნაზი შამანაური რომ გახსოვდეს, იგი უნდა გტკიოდეს, მაგრამ რომელი ქართული სატკივარი აწუხებთ ნაციონალებსა და მათ ნეტარღიმილიან ბელადს, საქართველოს ბედნიერებას შეწირული უმანკო ადამიანის უბედურება რომ სტკიოდეთ?

ამიტომაც ვერ აღწევს მიზანს ნაზი შამანაურის მემორიალური სახლ-მუზეუმის გახსნისა თუ მისი უპატრონოდ მიტოვებული საფლავის განახლების მოთხოვნით საქართველოს ხელისუფლებაში თუ დუშეთის საკრებულოში არაერთგზის გაგზავნილი წერილობითი მოთხოვნა.

ყველაზე საინტერესო და ამაზრზენი ისაა, რომ დუშეთის საკრებულომ შამანაურის სახლ-მუზეუმთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხის გაცემა დაავალა ვიღაც ადვოკატ **მირიან ფხალაძეს**, რომელიც ის მოსამართლე აღმოჩნდა, რომელმაც შამანაურს სასწრაფოდ მიუსაჯა ფსიქიატრიულში მკურნალობა. ამის შემდეგ სრულიადაც არ არის გასაკვირი ის ხმები, რომ დუშეთის საკრებულო საპრივატიზაციოდ ამზადებს ნაზი შამანაურის საცხოვრებელ ბინას, სადაც ამჟამად მისი სახელობის მუზეუმია განთავსებული.

ამრიგად, შექსპირისეული ყოფნა-არყოფნის დილემას პასუხი მიცვალებულებმა კი არა, ჩვენ, ცოცხლებმა უნდა გავცეთ, თუ ცოცხლად-მკვდრები არ ვართ!

გაზეთ “ილორის” რედაქცია
დიდ მადლობას უხდის ბატონ
თამაზ ბიბილურს
მამხილებელი დოკუმენტების
მოწოდებისათვის!

ძაღლის კუდი არ გასწორდება, ამიტომაც აჭრიან მას ძირში!

შემთხვევით არ უთქვამთ, ჩვენს ძველებს, ძაღლის კუდი არ გასწორდებაო!

– ამიტომაც ჭრიან მას ძირში ბატონო როლანდ!

გოჩა გვარამია და მისი საძმოც, საქართველოს აძაღლებული ხელისუფლების კუდები არიან და მათთან კამათი და დიალოგი არაფერს მოიტანს – ისინი ძირშივე უნდა მოიჭრან!

ეს დროც მოდის, მაგრამ აქ არ ივარგებს თქმა – თუ ასეა დაველოდოთ, ან ღმერთი გადაუხდისო სამაგიეროს, ქვეყნის დამაქცევართ და გამყიდველთ!

არაფერსაც არ გადაუხდის მათ ღმერთი, პირიქით, უფალი ჩვენ დაგვსჯის, იმის გამო, რომ მათ – **სამშობლოს, მამულის, ენის და სარწმუნოების ნგრევა და წაწყმედა ვაცალეთ!**

ყველამ უნდა ვთქვათ ჩვენი სათქმელი და ვაკეთოთ ჩვენი წილი საკეთებელი საქმე, რომ **„დარჩენილ დროში“** ქვეყნის დამაქცევრებმა ვერ მოახერხონ, რაც დაუნგრეველი და გაუყიდავი დარჩათ, მისი იავარქმნა და გასხვისება!

იოლად ნუ წარმოვიდგენთ მათთვის ხელის შეშლას, რადგან, წინასწარ ვიცი, ქვეყნის დამაქცევართა ადვოკატები დადარაჯებული არიან, ჩვენი, ე.წ. **„ანტიდემოკრატიული ქმედებების“** გამოსავლენად!..

თუ დასჭირდათ, ქრისტიანობასაც დაგვიწუნებენ, სახარებას და ბიბლიასაც იშიშვლებენ ჩვენს წინააღმდეგ, სხვა დროს დასანახად რომ ეზარებათ!

არც აქ, უცხოეთში გვაკლია, სამწუხაროდ, ქვეყნის დამაქცევართა მომხრეები, მაგრამ მიუხედავად მათი უტიფარი **“თავდადებისა”** მიშა და მის მომხრეთა მიმართ, ისინი აბსოლუტურ უმცირესობაში არიან და დიდ საშიშროებას არ წარმოადგენენ. მაგრამ, ამას ემატება, ე.წ. ევრო-ამერიკული პროექტის მხარდამჭერთა წამქეზებლური პოლიტიკა, საქართველოს უკეთესი მომავლის მსურველთა წინააღმდეგ და იქმნება ბუტაფორიული სიტუაცია, რომელიც დღევანდელი საქართველოს რეალურ სახეს მახინჯი ფორმით წარმოაჩენს. სადაც, უცხოს შენიშვნა თუ მიეცი და შენი წესი და ტრადიციისთვის მიუღებელზე უარი უთხარი, **“არადემოკრატი”** ხარ! მეზობლემა რომ ეკლესია-მონასტრებიდან გამოგაბრძანა და **“ახალგამომცხვარი”** წიგნებითაც გიდასტურებს, რომ ბაბუაშენი, ბაბუაშენი კი არა – ბაბუაჩემი იყო და მისი აშენებულია ყველაფერიო, პასუხი რომ გასცე, ისევ ქართველი შეგეკამათება – **ამ გასაჭირის ჟამს კიდევ მტერი გვინდაო?!.**

საქმე იქამდე მიდის, ჩემო საყვარლებო – ქორწინების სურათები უნდა გადავმალოთ, თორემ ეს ოჯახქორები მოგვადგებიან და იმის მტკიცებას დაგვიწყებენ – ამ ქალთან რომ დგახარ 50 წლის წინ გადაღებულ სურათზე, ეს შენ კი არა ხარ, ეს მე ვარო და შეიძლება მოსაკლავი გაგვიხდეს მავანი, ერთი ქართული ფილმის და – **“ვინცხა იმისი არ იყოს!”**

ორი კვირის წინ, დიუსელდორფში, ქართულ მრევლთან შეხვედრა აღმოჩნდა ზემოთთქმულის ნათელი მაგალითი, სადაც უაღრესად მშვიდ და ქართულ გარემოში, ერთი ქართული წიგნის “**ჭეშმარიტება და სომხური სიმართლე**” ხსენებისას, სტუდენტი გოგონა, რომელიც საინტერესოდ და ხანდისხან ზედმეტად ემოციურადაც კი ერთვებოდა კამათში, მოულოდნელად განგვირისხდა და მკაცრად შენიშნა, რომ – **წიგნები ასეთი სათაურით კეთილისმსურველ მეზობლებს ხომ არ გაგვიღიზიანებენო!**

ჩემო ანნა, თითქმის 4 საათიანი საუბრის მიწურულს, მსმენელი შემეცოდა, შენს მკაცრ შენიშვნაზე პასუხი გამეცა და შემოგთავაზე, ელექტრონულ ფოსტაზე გამოგეგზავნა ჩემთვის შენიშვნები, რომლებიც ზემოთხსენებული წიგნის წაკითხვის შემდეგ გაგიჩნდებოდა. აქედან გამომდინარე, ამ წიგნის, რომელიც მე ქართული სათვისტომოს ბიბლიოთეკას გადავეცი საჩუქრად, პირველწაკითხვის უფლებაც შენ მოგეცა.

სამწუხაროდ, შენ ჩემთვის, დღემდე არ მოგიმართავს, რასაც მე ორნაირად ვხსნი – ან დაგაფიქრა წიგნმა და უკმაყოფილების გრძნობა დაგიტოვა, რომ ბოლომდე მაინც არ უთქვამთ სიმართლე ავტორებს, რომ იტყვიან – **ნამუსი შეუნახეს, ნამუსზე ხელაღებულ მეზობლებს და ქრისტიანებად დარჩნენ!**

ან კიდევ – **საბოლოოდ გამინაწყენდი და ამიტომ არ მცემ პასუხს!**

თუ ბოლო ვარიანტია მართალი, მაშინ, მეც მართებულად მიმაჩნია ბოლომდე ვთქვა ის, რაც, საიდუმლოდ დაიტოვეს “**ჭეშმარიტება და სომხური სიმართლე**” წიგნის ავტორებმა!

დავიწყოთ იქიდან, რომ, როცა ამ ათიოდე წლის წინ, ბატონმა როლანდ ჯალაღანიამ, ცნობილი რუსი პუბლიცისტის ვასილ ველიჩკოს **„კავკასია“** თარგმნა ქართულად და დიდი გაჭირვებით გამოსცა იგი (სულ რამდენიმე ასეული ცალი), **„ქართველ“** მკითხველთა გარკვეულმა ნაწილმა – **სომეხ დიდვაჭარ გულბეკიანის “საგმირო საქმე” დაინახა მხოლოდ და ის გაიკვირვა!**

არც კი უკითხავთ, რამ ჩაადენინა დიდ ვაჭარ გულბეკიანს **„საგმირო საქმე“**, წიგნის ქართულად გამომცემელმა რედაქტორმა, შესავალშივე რომ გამოიტანა!

იცი, ჩემო ანნა, რატომ?

იმიტომ, რომ, მან, რედაქტორის შესავალი სიტყვა წაიკითხა მხოლოდ, ან – **სომხების მტერია იგი!.,** რასაც, არც ბატონი როლანდი და არც ამ წერილის ავტორი, არავის ვაპატიებთ!

ცხადია, სანამ ველიჩკოს **„კავკასიას“** წაიკითხავდე (ეს წიგნიც დავტოვე მე სათვისტომოს ბიბლიოთეკაში), შევეცდები მოკლედ განვმარტო – **ასეთი რა ჩაიდინა დიდვაჭარმა გულბეკიანმა!**

ამისათვის, ორიოდე სიტყვით, ვასილ ველიჩკოც უნდა ვახსენოთ, რომლის წიგნი **“კავკასია”**-ს მთელი ტირაჟი, დღემდე გაუგონარ ფასად გაიყიდა 1904 წელს, ოღონდ, არა წასაკითხად, არამედ გასანადგურებლად!

მე-19-ე საუკუნის ბოლოს, რუსეთის იმპერიის სამსახურში, პეტერბურგიდან კავკასიაში (თბილისში) გამოგზავნილ იქნა, უაღრესად ნიჭიერი და განსწავლული პიროვნება ვასილ ველიჩკო და ჩვენებურად რომ ვთქვათ – იმპერიის **“პრესცენტრის”** ხელმძღვანელად დაინიშნა. იმპერიის უერთგულესი და უგანათლებულესი მოხელე, ცხადია, მხოლოდ ძალადობაში არ ხედავდა იმდროინდელი კავკასიის დამორჩილების და დაწყნარების გზებს, მისი წინამორბედების მსგავსად, არამედ, მეცნიერულად, ყოველი წვრილმანის შესწავლით და გათვალისწინებით ეძებდა გამოსავალს – **“რაც შეიძლება ნაკლები სისხლის ფასად დამორჩილებოდა, ეს რეგიონი, რუსეთის იმპერიას და დამყარებულიყო მშვიდობა!”**

მან ძირფესვიანად შეისწავლა კავკასიელ ხალხთა ცხოვრება და წიგნად დასასტამბად გაამზადა ტრილოგია – **„კავკასია“ ტომთაშორისი საკითხები კავკასიაში“,** სადაც, მოვლენათა თანამედროვის სიზუსტითა და ობიექტურობით გადმოსცემს, კავკასიის ხალხთა ცხოვრებას. რუსეთის იმპერიის მაღალი ჩინის მოხელე, იმ უიშვიათეს, მოუსყიდავ, გამონაკლისთა რიგს მიეკუთვნება, ვისაც კი, ოდესმე კავკასიაში უმოღვაწია. გამომდინარე აქედან, მას მტერი უფრო მეტი უნდა ჰყოლოდა, ვიდრე მოყვარე. ამიტომაც, როცა, ვასილ ველიჩკოს დროზე ადრე მოუხდა თბილისიდან პეტერბურგში დაბრუნება (ესეც უაღრესად საინტერესო ისტორიაა. ალბათ სხვა დროს გავიხსენებთ მას) და უნივესიტეტის ისტორიის კათედრაზე განაგრძო მუშაობა, პარალელურად კავკასიის ისტორიის წერას შეუდგა. მისი ეს საქმიანობა, ყურადღებიდან არ გამოპარვიათ მავანთ და გამუდმებით ჩასაფრებული ჰყავდა ის კავკასიელები, რომლებიც, შეიძლებოდა ღირსეულად ვერ წარმოჩენილიყვნენ ამ თხზულებაში. ცხადია, დიდ ბრიტანეთში მოღვაწე, დიდვაჭარ გულბეკიანს (იმდროისთვის ერთერთ უმდიდრეს ადამიანს პლანეტაზე) და მის გარემოცვას, **„სომეხი ერის საამაყო საქციელი“** ვასილ ველიჩკოსგან არ ჰქონდათ სასწავლი. ამიტომაც დააცხრნენ ისინი ველიჩკოს მოწაფეებს (ველიჩკო მულოდნელად გარდაიცვალა 1903 წლის ბოლოს. ამაზეც მოგვიანებით!) და სტამბას თავს და გაუგონარ თანხად, ხუთ მილიონ ფუნტ სტერლინგად შეიძინეს წიგნის “**კავკასია**” მთლიანი ტირაჟი!

ისიც ცხადია, უზომოდ მდიდარი სომხის ეს აქცია, ჰუმანიტარულ მიზანს არ ემსახურებოდა – **უფასოდ დაერიგებინათ წიგნები, მომავალი თაობებისათვის ჭკუის სასწავლებლად, რომ მათი უდანაშაულო თანამემამულეებისთვის მომავალში მაინც აეცილებინა, გაბოროტებული მტრის რისხვა!**

სამწუხაროდ, ასე არ მოხდა – **ველიჩკოს წიგნის „კავკასია“ ტომთაშორისი საკითხები კავკასიაში“ მთელი ტირაჟი შეძენილ იქნა გასანადგურებლად, რაც აღსრულდა კიდეც!**

ჩვენი დასკვნით – **დიდვაჭარი გულბეკიანი, ერთერთი პირველთაგანია იმ ადამიანთაგან, რომელმაც გაუგონრად მსხვილი მასშტაბით უმტრო სომხებს, რადგან მათ არ მისცა ჭეშმარიტი სიმართლის წაკითხვის საშუალება და გზა არ აღუკვეთა, ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ, თურქეთში მომხდარ ხოცვა ულეტას, რომელსაც სომხები მე-20 საუკუნის ორ გენოციდად ნათლავენ!**

...ხშირად გვესმის – **რატომ იჩემებენ სომხები ქართულ ისტორიულ ძეგლებს საქართველოს შინ და გარეთ?**

ზედმეტად მიამიტი შეკითხვაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ კითხვის დამსმელთა დიდი უმრავლესობის უწიგნურობას – მაშინ ეს გასაკვირი არ არის! მაგრამ, თუ ამ შეკითხვას წიგნთან ნაზიარები ადამიანი სვამს – მაშინ ცუდად არის ჩვენი საქმე, რადგან ეს, უკვე, საკუთარი ისტორიის სიმართლეში ეჭვის შეტანას ნიშნავს!

...100 წლის შემდეგაც კი, სომხები გულმოდგინედ აჯერებენ დანარჩენ მსოფლიოს თავიანთ სიმართლეში თურქების წინაშე და ამისათვის, თურქების მიერ მიტაცებულ, უძველეს ქართულ მიწაზე, ქართულ ისტორიულ ძეგლებს თავისად იჩემებენ, იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი, საკუთარ ისტორიულ მიწაზე ამოხოცეს თურქებმა, რომ – უცხოს თვალში, გაამყარონ სომხების ე.წ. “გენოციდი” თურქეთში!

რატომ არ ერიდებათ სომხებს ქართველების და გარე სამყაროსი, მსგავსი სიყალბის გამო?

მე თუ მკითხავთ, რა აქვთ სომხებს ქართველებთან მოსარიდებელი, როცა ამ უკანასკნელთ, თათრები ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებს ართმევენ და იმისთვის ვერ მოუვლიათ!

“ასეთ მეზობელს, სანამ სხვა წაართმევდეს, შენ უნდა დაასწრო, რადგან, ის მაინც ვერ პატრონობს მას!”

ეს გახლავთ, სომხების საუკუნეებგამოვლილი მორალი, რაშიც ისინი, მათი სამრეკლოდან (და არა ქრისტიანული სამრეკლოდან!) ალალ-მართლები არიან! რადგან მათ, მათი სჯულის კანონი არ კარნახობთ **გაჭირვებულს გვერდში ამოუდექი, ალმართზე ქვას ნუ მიაწევო!**

სწორედ, ასეთი საქციელის გამო მოხდა, მე-19 საუკუნის ბოლოს, გაუგონარი ხოცვა-ულეტა თურქეთში, რომელსაც დაწვრილებით აღწერს ვასილ ველიჩკო და წყალგაუვალი ფაქტებით ამტკიცებს რომ – **ამ ხოცვა-ულეტას, არაფერი აქვს საერთო, რომელიმე ერთი მხარის გენოციდთან!**

ველიჩკოს სიკვდილის შემდეგ, ზუსტად იგივე, ორჯერ განმეორდა მე-20 საუკუნის დასაწყისში, იმავე თურქეთში, სადაც უდანაშაულო მოსახლეობა, ძირითადად ქალები და ბავშვები დაიხოცნენ!

აქედან მოკლე და კონკრეტული დასკვნა – **ისინი, ვინაც სომხებს აქეზებენ და უზნეო საქციელს უქებენ, მათი უშუალო მეზობლების (უწინარეს ქართველების!) მისამართით, სომხების დაუძინებელი მტრები არიან!**

აქვე ხმამაღლა უნდა განვაცხადო, რომ – **წიგნის „ჭეშმარიტება და სომხური სიმართლე“ ავტორები, სომხების მტერთა რიგს არ მიეკუთვნებიან, რადგან სომხების მისამართით გამოთქმული ყოველი მათი სიტყვა, გაფრთხილებაა, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად.**

საფრთხე კი, როგორც არაერთხელ იუწყებოდა გაზეთი “**ილორი**”, დიდია იმისა, რომ – **სომხების მიერ განაწყენებული და თავსლაფდასხმული მეზობლები, ერთ მშვენიერ დღეს, აუჯანყდნენ მას და საკუთარ მიწაწყალზე მოუწყონ ნამდვილი გენოციდი, რაც საქართველოსთვისაც არ ჩაივლის უჯვალოდ და მას ასეული ათასობით სიკვდილს თავდაღწეულთა შეფარება მოუწევს, რადგან, ჩვენს გარდა, სომხებისთვის, გასაჭირის ჟამს კარის გამღები არავინ აღმოჩნდება!**

ეჭვი კიდევ უფრო მძაფრდება, ყოველივე ზემოთთქმულის გაფიქრებისას – **ამ, მოსალოდნელი საფრთხის გამო ხომ არ ამზადებენ გარესამყაროს სომხები გამუდმებით, ასეულობით ქართული ისტორიული ძეგლის და ძირძველი ქართული მიწების სომხურად გამოცხადებით, რომ ისინი, თავსდატეხილი უბედურების ჟამს, სამშობლოდან კი არ გამოქცეულან, არამედ, მტერმოჯარულებმა საკუთარი ქვეყნის წიაღში გადაინაცვლეს?!.**

ხომ ხედებით – **საკუთარ დამარცხებაშერცხვენასაც კი, იმათ გასაძარცვად და დასაპყრობად რომ გამოიყენებენ, ვინაც შეიფარა?!.**

აი ის, რაც არ უთქვამთ “**ჭეშმარიტება და სომხური სიმართლეს**” ავტორებს!

ჩემო ძვირფასო ანნა და კიდევ სხვანო, ანნასავით მოფიქრალო ჩემო თანამემამულენო:

ხომ არ დაგაფიქრათ ზემოთთქმულმა სიტყვებმა?.

არც ის გამიკვირდება, თუ არ დაგაფიქრათ და აი რატომ:

...ამას წინათ, ჩემს ერთ მეგობარ, გერმანელ პროფესორს, საქართველოდან კოლეგები – ახალგაზრდა ქართველი პროფესორები ესტუმრნენ. შემომთავაზა, კვირის ბოლოს შევხვედროდით ერთმანეთს, შენი ნახვა გაუხარდებათო ბიჭებს. მეც სიამოვნებით მივიღე შემოთავაზება და მიუნხენის ცნობილ “**ლუდის ველზე**” ხალისიანად გავლიეთ ის დღე.

რას არ მოიტანს სიტყვა, უცხოეთში შეხვედრილ ქართველებს შორის. მით უმეტეს, ბავარიული ლუდის შემდეგ, საკამათო და სახუმარო არ გამოგვლევია!

მართალი გითხრათ, საკამათო დიდი არაფერი გვქონია, მაგრამ გამომშვიდობების წინ, ჩვენი ახალგაზრდა ქართველი პროფესორის ნათქვამი, მთლად ხუმრობადაც ვერ მივიღე და ვერც სერიოზულად ჩავთვალე – **საქართველოში უნდა შეწყდეს გაზვიადებული ქართული ისტორიის სწავლება, რადგან, იგი, ახალგაზრდობას აჩლუნგებს, ისეთ გრძნობებს უნვითარებს, თითქოს ყველაზე ჭკვიანები და ძლიერები ჩვენი წინაპრები ყოფილან და ჩვენც, მათი შთამომავლებიც, ასეთები ვართ და რახან ვართ, არაფერი უნდა ვაკეთოთ!**

ხელი არ შეშიშლია და ბოლომდე ვუსმინე, მაგრამ ეს ბოლო დასკვნა ნამეტანი **„ბრძნული“** მეჩვენა და ვკითხე – მარტო თქვენ ფიქრობთ ასე, თუ ეს, განათლების სახელმწიფო სისტემის ზოგადი სტრატეგიაა?

– თქვენ თუ იცით, რომ ახალგაზრდა ერები, რომლებსაც დიდი ისტორია არ გააჩნიათ, დღეს მთელი მსოფლიოს წამყვანები არიან? – კითხვაზე პირდაპირ არ მიპასუხა და **„პროფესორულად“** მომიჭრა!

– ალბათ ეს იმიტომ, რომ, მათ წინაპრების საგმირო საქმეებზე ფიქრში დრო არ ეხარჯებათ არა?

დავასწარი პასუხი და ისე გაიბადრა ჩემი ახალგაზრდა ქართველი პროფესორი, თვალწინ ჩემი თანაკურსელი გივი ხავთასი და ენათმეცნიერების ლექტორი, დიდად განსწავლული და ასევე დიდი პედაგოგი, ბატონი ალექსანდრე ჯიშიაშვილი დამიდგა. სიმკაცრითა და ცოდნის მოთხოვნით ცნობილ ბ-ნ ალექსანდრეს, უბადლო იუმორიც ჰქონდა და, როცა მთელი ჯგუფი უცოდინარობის შიშით კრინტს ვერ ძრავდა, ისევ ბატონ ალექსანდრეს გამოვყავდით მდგომარეობიდან – აუცილებლად გივის დაუსვამდა შეკითხვას (გივი მსახიობობდა მაშინ და სპეცგანრიგით ესწრებოდა ლექციებს, აქედან გამომდინარე მისი უცოდინარობა საპატიო იყო!), დაახლოებით ასეთს:

„– ხავთასი, აქვს თუ არა კატლეტს ენა?

– არ ვიცი მასწ, გიორგაძეს კითხეთ, მე წინა ლექციაზე არ ვიყავი!

– ხავთასი, არა, შენ მიპასუხე, შენ იცი და მალავ!

– არა მასწ, არ ვმალავ “მეცკომის” (სასწავლო საგან მეცნიერული კომუნიზმის – რედ.) ლექტორ, კაკო მუშკუდიანს გეფიცებით!

– ტყუილად ნუ იფიცებ პატიოსან კაცს, შენ იცი, რომ კატლეტს ენა აქვს! აბა სხვა გვარად დავსვათ კითხვა – რას გეუბნება ახალშემწყვარი, ოხშივარი რომ ასდის ისეთი კატლეტი, ოფიციანტმა რომ ეს წუთია მოგართვა?

გივის სახე ებადრება და ხმამაღლა შესძახებს: შემჭამეო, მასწ!

– ხო ჰქონია, შე სახედარო, კატლეტს ენა?

– მეც ხომ ვთქვი, მასწ, სწორი პასუხი?“

და, მეც გივი ხავთასივით მივაჩერდი ჩემს ახალგაზრდა ქართველ პროფესორს პასუხის მოლოდინში. იმ წამს, ისეთი აღმოჩენაც გავაკეთე, კინადამ **„ევრიკა“** შევძახე, მაგრამ თავი შევიკავე.

„ – თქვენ ახლოს ხართ, ბატონო დავით ჭეშმარიტებასთან, მაგრამ ბოლომდი ვერ გაიხსენით!“

ცამდე მართალი იყო ბ-ნი პროფესორი, მაგრამ ხომ ვერ ვეტყოდი, რასაც ვფიქრობდი – გივი ხავთასი მშიერი იყო ბ-ნ ალექსანდრეს რომ, ბოლომდე გახსნილი პასუხი გასცა “**კატლეტის ენაზე**”. მე კიდევ, კარგად მოლხენილი გახლდით მიუნხენის **„ლუდის ველზე“**, ჩემმა ახალგაზრდა პროფესორმა **„საკუთარი ქვეყნის ისტორიის (თან სასახელო ისტორიის!) ცოდნის უარყოფით გაგლენაზე“** რომ “**მასტერკლასი**” ჩამიტარა!

აქა ვარ მეც, ჩემო ძვირფასებო!

სწორედ აქ აღმოვაჩინე სასწაული, რომელიც აქამდე არავის მოსვლია აზრად – **გამოდის, რომ, სომხები, კეთილი მიზნით, ჩვენი გადარჩენის სურვილის გამო გვპარავენ ისტორიას?!.**

როგორც იქნა გაგვიხსნა გონება ახალგაზრდა ქართველმა პროფესორმა და მიგვახვედრა – **რატომ დაიწყო მიშა სააკაშვილმა საქართველოს ისტორიის ათვლა 2003 წლიდან!**

ცხადია, ეს ჩემზე უკეთ იცის ჩემმა, ახალგაზრდა, ქართველმა პროფესორმა და მე მიმალავს, რადგან უფრო ხმაურიან დროს ელოდება, რომ – **ქვეყანა შეაზანზაროს მისმა აღმოჩენამ?!.**

მაგრამ, ბევრჯერ ვახსენე ზემოთ, ახალგაზრდა კაცია და დაავიწყდა, რომ მეც ქართველი ვარ:

– მიშა შეურაცხადის თქმის არ იყოს **“ვერ მოგართვი”** ჩემო პროფესორო, ხვალვე მთელ ქვეყანას მოვდებ ამ აღმოჩენას და ჩაგაგდებინებ “**კოვზს ნაცარში**”!

აქ დავამთავროთ ეს იდიოტიზმი და მინდა ვკითხო ყველას – **საიდან მოდის, ამდენი, ქვეყნის დასაქცევად გამოგონილი სისულელე? და ყველაფერი ეს უნივერსიტეტებში ისწავლება, საქართველოში?**

თუ უფიქრდებით რა სისაძაგლესთან გვაქვს საქმე?

ჯერ შეფარვით, შემდგომ სკოლის საკლასო ოთახებში, უნივერსიტეტების აუდიტორიებში და ბოლოს პრეზიდენტის “სამრეკლოდან” გვიკიჟინებენ შეეშვითო წარსულს!

მიუტევე უფალო, ახალგაზრდა ქართველ პროფესორს, გამოუცდელია და ვერ ხედავს – რეაქციონერი სომეხი სააკაშვილი და მისი ჯიში სწორედ იმ დღეს ელოდება, როცა ქართველი “**სწავლულები**” წერილობით იტყვიან უარს უძველეს და უმძიმეს ისტორიაზე, რომლის ტარება, ყველას როდი შეუძლია, და ყველა როდია ღირსი!

დავით მარიამიძე,
ვაალსი, ჰოლანდია

ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲕ ᲡᲐᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲮᲐᲠ!!!

(„ვარდების რევოლუცია“ და სახელმწიფო კანიბალიზმი)

საქართველოში მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესებისა და სახელისუფლებო პროპაგანდისტული საშუალებების მიერ არსებული სინამდვილის გაუკურმართებული ფორმით საზოგადოებისადმი მიწოდების გამო, დღევანდელი გადასახედიდან პრინციპულად ისმება კითხვა: ვინ – ვინ არის! დასაბუთებული პასუხის გაცემა მხოლოდ **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** რვაწლიანი მმართველობის ფორმების წინა პლანზე წამოწევით და მისი ანალიზით ხდება შესაძლებელი. ამ შემთხვევაში, პირველ რიგშია გასათვალისწინებელი მოსახლეობისადმი წინასაარჩევნოდ მიცემული დაპირებები. **მხედველობაში მაქვს „ნაციონალური მოძრაობის ხელშეკრულება საქართველოსთან“ (2003 წელი). ამ რვაპუნქტიანი დოკუმენტის დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ: „ამ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჩვენ თქვენს წინაშე ვიღებთ ვალდებულებას, არჩევნებიდან ერთი წლის თავზე ნაციონალური მოძრაობის დეპუტაციამ დატოვოს პარლამენტი და მოძრაობაც აღარ წამოაყენებს თავის კანდიდატს 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე.“ (იხ. გაზ. „საქართველო შევარდნაძის გარეშე“). ან კიდევ, 2004 წლის საპრეზიდენტო წინასაარჩევნო დაპირება: „ჩემი პრეზიდენტობა იქნება ქართველი ხალხის მმართველობა. საქართველოს პრეზიდენტი იქნება თითოეული ქართული ოჯახის ახლობელი და მეგობარი. მე არასოდეს და არავის მივატოვებ გაჭირვებაში და ჩვენს არცერთ მოქალაქეს არასოდეს არავის დევაჩაგვრინებ.“**

ხალხის წინაშე ოფიციალურად გაცხადებული ეს პასუხისმგებლობა, ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისთვისაა მისაღები. წარსულისა და დღევანდელობის მკაცრმა გამოცდილებამ დაადასტურა: როცა გაცემული დანაპირების შესრულების ჟამი დადგა, მ. სააკაშვილის ხელისუფლება ამ პროცედურას ორივე ფეხით დაკოჭლებული და ზურგშექცეული შეხვდა. შექმნილი რთული მდგომარეობიდან გამოსავლის ერთადერთ საშუალებად, **„ვარდების რევოლუციის“** მიზანმიმართულად გაფეტიშება და ამ ნატყუარი იდეოლოგიის ტყვეობაში საზოგადოების მოქცევა პირველხარისხოვან ამოცანად იქნა მიჩნეული. **„ოქტომბრის რევოლუციის“** მსგავსად, **„ვარდების რევოლუციაც“** საქართველოსთვის **„ახალი ეპოქის დასაწყისად“** გამოცხადეს. ისტორიის ფალსიფიკაციის ამ მავნე **„ჰიპოთეზას“** ფულით მოსყიდული ისტორიკოსების, პოლიტოლოგებისა და ჟურნალისტების დიდი ჯგუფი აედევნა. მათი ძალისხმევით, საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობის სანაგვე ყუთში მოსროლის ფონზე, მ. სააკაშვილისეული **„ისტორიული აღმოჩენის“** ფართო პროპაგანდა განხორციელდა. ეს ნაბიჯი, პრაქტიკულად იმ საფეხურის მომზადებას ითვალისწინებდა, რომელიც **„ახალგაზრდა რეფორმატორებს“** უცხო სახელმწიფოების მხრიდან საქართველოსთან მიმართებაში ჰქონდათ დაკისრებული. ამ მხრივ, პირველი ქმედითი გადაწყვეტილება 2003 წლის 24 ნოემბერს იქნა მიღებული. მხედველობაში მაქვს **„თბილისი მერიოტში“** რუსეთის ერთ-ერთი დიდი ოლიგარქის მიხეილ სურგულაძის, საბჭოთა რუსეთის კაგებეს გენერლის თემურ ალასანიასა და მისი დისშვილის მიხეილ სააკაშვილის ერთობლივი გასაიდუმლოებული შეხვედრის ფაქტი. სწორედ აქ დამტკიცდა პოლიტიკური და იდეოლოგიური კურსის ის სამომავლო პროგრამა, რომელიც **„ვარდოსნებს“** საქართველოში უნდა გაეტარებინა. მასში ქართველი ერის დაშინების, დაჩაგვების და ადვილსამართავად გადაქცევის გზების ძიების აუცილებლობას განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი. ამ ფონზე, **„საიდუმლო სერობის“** მონაწილეებმა, მოსახლეობასთან ურთიერთობის პრიორიტეტულ ფორმად კანიბალიზმით შეზავებული მეთოდები გამოაცხადა. **ამ შემზარავ დოკუმენტს, „ქართველთა ტრიუმვირატმა“ ყოველწლიურად მოქმედი „საშინელებათა 100 დღე“ დაარქვა. ეს გეგმა რამდენიმე საფეხურისაგან შედგებოდა. მოსახლეობის დაშინების მიზნით, ა) ერთ-ერთი მათგანი, მასობრივ ტელედაპატიმრებებს და ქართველი ახალგაზრდების ქუჩაში პერმანენტულად დახვრეტას ითვალისწინებდა; ბ) ამ ფონზე, მართლმადიდებლური ეკლესიების დანგრევა, კერძო საკუთრების მასობრივად ჩამორთმევა და მიტაცება ეტაპობრივად უნდა მომხდარიყო. თემურ ალასანიამ თავის დისშვილს ბარბაროსობისა და კანიბალიზმის ის მეთოდები ასწავლა, რასაც მას ათეული წლების განმავლობაში საბჭოთა რუსეთის კაგებეს ფსიქოლოგები უტენიდნენ თავში. ეს იყო საზოგადოებისადმი დამოკიდებულების კანიბალისტური ფორმები, რომელიც ადამიანებთან მიმართებაში ყოველგვარი სახის სიბრალულსა და შეწყალებას გამორიცხავდა. სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ კანიბალიზმს სამი ძირითადი მოტივი უდევს საფუძვლად: 1) ვალდებულება (იძულება) – ვიღაცის ზემოქმედებით ადამიანი იძულებული ხდება ჩაიდინოს ის, რასაც სჩადის; 2) სასოწარკვეთა (გამოუვალი მდგომარეობა) – როცა ადამიანი სრულ გონებაზე არ არის და კაცთმოძულეობის შიზოფრენიის ელემენტებითაა შეპყრობილი; 3) სურვილი – როცა ადამიანს თავისი ნამოქმედარის შედეგები სიამოვნებას ჰგვრის და მისი გამეორების სწრაფვა უსასრულობაში გადადის.**

მაორის ტომის ბელადთა მსგავსად, კანიბალიზმის სამივე მოტივით მ.სააკაშვილი მაღალ დონეზეა შემკობილი. ამ ავადმყოფური სენით საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებიცაა დაავადებული. თითოეული მათგანი კანიბალიზმში ძალაუფლების განმტკიცების დასაყრდენ საფეხურს ხედავს. აქედან გამომდინარე, მათი მოქმედება ფსიქოპათიური ქცევის ნორმების უმაღლეს საფეხურზე ადის, რის გამოც საჭიროებასა და სურვილს შორის ზღვარი ხშირად იშლება. საქართველოს მოსახლეობისადმი თავსმოხვეული კანიბალისტური იდეოლოგიის შესანიღბად, უცხოური ტერმინოლოგიის – **„ნულოვანი ტოლერანტობის“** საფარქვეშ, კანიბალიზმი პარლამენტის მიერ ქვეყანაში სამართლებრივად იქნა დაკანონებული. ასეთი მკაცრი დასკვნის საფუძველს **„ნულოვანი ტოლერანტობის“** გაშიფვრა იძლევა. უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ტოლერანტობა ლათინური სიტყვაა და **შემწყნარებელს, მომომენს** ნიშნავს. რაც შეეხება ნული-ს, ისიც ლათინურიდან მომდინარეობს და **არავითარს** აღნიშნავს. აქედან გამომდინარე, ნაციონალების **„ნულოვანი ტოლერანტობის“** ცნების ძირითად არსში – არავითარი შემწყნარებლობა, ე.ი. შეუწყნარებლობაა ჩადებული. ქვეყნის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ტოლერანტობის წამოსახამის ქვეშ, შეუწყნარებლობის სამართლებრივად დაკანონებას, საზოგადოება მშვიდად შეხვდა. როგორც ჩანს, მათთვის იმ ეტაპზე გაუცნობიერებელი რჩებოდა, ქვეყნის სახელმწიფოებრივი პოლიტიკური და იდეოლოგიური კურსი კანიბალიზმზე რომ იქნა დაფუძნებული. ამის ოფიციალური აღიარების დადასტურებას, გ.ბოკერიას მიერ ერთ-ერთ ბრიფინგზე (2007 წლის მარტი) გაკეთებული განცხადება წარმოადგენს. **„სამართლებრივი სისტემა,** – ამბობდა იგი, – **ვერ დაელოდება იმას, რომ ერთმა ახალგაზრდამ მეორე მოკლას. ის იმოქმედებს იქამდე, სანამ ეს ახალგაზრდა ჩაიდენს ასეთ დანაშაულს“.** ეს **„ფილოსოფიური“** კანიბალისტური ნააზრევი, ქვეყანაში უსამართლობის დამკვიდრების პირდაპირ მოწოდებას წარმოადგენს. ნაციონალების იდეოლოგი ყოველგვარი შეფარვის გარეშე საჯაროდ აღიარებდა, რომ ნებისმიერი ეჭვმიტანილი, ყოველგვარი გასამართლების გარეშე **„დანაშაულის“** ჩადენამდე იქნებოდა დასჯილი. მისი ასეთი პოზიცია, მ. სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დამკვიდრებულ პოლიტიკურ კურსს ეფუძნებოდა. იგი ვლადიმერ ლენინის ნააზრევიდან იყო ნაქურდალი და ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული. ნაციონალების ყბამონგრეულმა, თვალებგადაბრუცულმა, ცხვირმოუხოცელმა და ტვინნაღრძობმა იდეოლოგებმა ცილი რომ არ დამწამონ, მკითხველ საზოგადოებას ვ. ლენინის ნაწერებიდან რამდენიმე ციტატას შევთავაზებ და თავად განსაჯოს, საქართველოს დღევანდელი ხელისუფალნი **„დიდი ბელადის“** საქმის ღირსეული გამგრძელებელი – ლენინელები არიან თუ არა. 1918 წლის 21 ივნისს ზინოვიევისადმი გაგზავნილ წერილში ვ. ლენინი ხაზგასმით წერდა: **„უნდა წავახალისოთ მასობრივი სანახაობით ტერორი კონტრრევოლუციონერთა წინააღმდეგ, განსაკუთრებით პიტერში.“** (ტ.50. V გამოცემა. გვ.106); **„ზედმეტი იდიოტური გაჭიანურების დაუშვებლად ყველგან დავხვრიტოთ დაუკითხავად შეთქმულები და მერყევნი“.** (გვ.165); **„მთელი ძალა იხმარეთ, რომ დახვრიტოთ ასტრახანელი სპეკულიანტები და მექრთამეები. ამ ნაძირლებს ისე უნდა გავუსწორდეთ, რომ ათეული წლების შემდეგაც ახსოვდეთ.“** (გვ.219); **„საგანგებო ზომები თუ არ იქნება მიღებული, მე პირადად მოვახდენ თავდაცვის საბჭოსა და ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ პირთა არა მხოლოდ დაპატიმრებას, არამედ დახვრეტასაც.“** (216); **„რევტრიბუნალების საჯაროობა უკვე საჭირო აღარ არის... გაძლიერდეს რეპრესიების სისწრაფე და ძალა.“** (გვ.149); **„ხომ არ სძინავს „ნკიუსტს“** (იუსტიციის სახალხო კომისარიატს)? **აქ საჭიროა რიგი საჩვენებელი პროცესებისა, მხეცურ წამებათა გამოყენებით „ნკიუსტს“ ალბათ არ ესმის, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა ითხოვს ახალ მძვინვარე დასჯათა ახალ ხერხებს.“** (გვ.160); 1922 წლის 10 ნოემბერს მოლოტოვისადმი ვ. ლენინის მიერ გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: **„ჩვენ სწორედ ახლა უნდა გავუმართოთ შავრაზმელ სამღვდელოებას გადამწყვეტი და დაუნდობელი ბრძოლა და ჩავახშოთ მათი წინააღმდეგობა ისეთი სისასტიკით, რომ ეს ამბავი არ დაივიწყონ ათეული წლების მანძილზე.“**

ლენინის შრომებიდან მოტანილი ეს ამონაწერები იმის დადასტურებაა, რომ საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიური და პოლიტიკური კურსი, ძალადობაზე, ტერორის გზით საზოგადოებაში **„შიშის სინდრომის“** დამკვიდრებაზე, სადად მოაზროვნე ადამიანების „**ხალხის მტრად“** გამოცხადებაზე და **„კლასობრივი მტრის“** მოტივით მათ განადგურებაზე იყო გათვლილი. ამ ფონზე მიმდინარეობდა ადამიანთა ახალი სისტემური ცნობიერების ჩამოყალიბების ძალადობრივი პროცესი, რომელიც ძირითადად 4 კომპონენტს მოიცავდა: 1) სკოლის კომუნისტური რეფორმა და **„ახალი ადამიანის“** რობოტული აზროვნების პრინციპით აღზრდა; 2) მართლმადიდებლური ეკლესიებისადმი შეტევა– ტერორი; 3) ინტელიგენციის დაშინება და მოსყიდვა; 4) ბრძოლა ყოველგვარი ეროვნულის წინააღმდეგ და საბჭოური პატრიოტიზმის გაფეტიშება. დასახული გეგმის განსახორციელებლად, საზოგადოების შიშისა და ტერორის ქვეშ მოქცევა უპირველეს ამოცანად იყო აღიარებული. ამ მიმართულებით მასაზე ზეწოლის იდეოლოგიური და პოლიტიკური კურსი სახელმწიფოებრივ რანგში იქნა აყვანილი. **ვინც ბოლშევიკური პერიოდის მიმდინარე ისტორიულ პროცესებში სიღრმისეულადაა ჩახედული, დამეთანხმება, რომ მარქსისტულ- ლენინურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული საბჭოთა სისტემა, მოწინააღმდეგეთა დათრგუნვისა და ადამიანთა გაუბედურების მიზნით, ტერორიზმის ფუნდამენტს ეფუძნებოდა. უბედურება და ტერორიზმი („საშინელების 100 დღე“ და „ნულოვანი ტოლერანტობა“) დღევანდელი ხელისუფლების პირველი პირისა და მისი ხელქვეითების უსაყვარლეს ტერმინებად იქცა. თითოეულ მათგანში კანიბალიზმის სენის ავადმყოფური თვისებები იმდენად ღრმადაა ჩამჯდარი, რომ ბოლშევიკების მსგავსად, თავიანთი ვერაგული გეგმის განსახორციელებლად საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების სიცოცხლე ჩირის ფასადაც არ უღირს. ამის უდაო დადასტურებას, დ. უზნაძის ქუჩაზე პოლიციელების მიერ დახვრეტილი რატი რეხვიაშვილის მიმართ, მ. სააკაშვილის მიერ 16 სექტემბერს ტელევიზიით გაკეთებული განცხადება წარმოადგენს. „ეს ნაძირალა, ეს ყაჩაღი, ბანდიტი და მკვლელი უნდა ყოფილიყო ლიკვიდირებული. ასეთი ნაძირლები არ იმსახურებენ სიცოცხლეს.“ ამ უპასუხისმგებლო განცხადების ავტორი ქვეყნის პრეზიდენტია. ძიების შედეგად მოპოვებული დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ პოლიციელების მიერ მოკლული რ. რეხვიაშვილი იმ მომენტისათვის ძებნაში არ იმყოფებოდა. მისი დანაშაულებრივი ქმედება გამოძიებისა და სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ დადასტურებული არ ყოფილა. თუმცა ეს ფაქტი გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, რადგან: ა) აღნიშნული „ოპერაცია“ „საშინელების 100 დღის“ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და საზოგადოებაზე იდეოლოგიური ზემოქმედებისათვის იყო გათვლილი; ბ) მკვლელობის დამკვეთები და ორგანიზატორები, იმავე მ. სააკაშვილის მიერ ყველაზე განათლებულ ადამიანთა ნუსხაში იქნა შეტანილი. ამ შემთხვევაში მ. სააკაშვილმა მის მიერ გაკეთებული განცხადების ფასი შესანიშნავად იცოდა. იგი საზოგადოების თვალში კანიბალიზმის რიტუალების დამდგმელი ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსანთა საქმიანობის გაიდიალებას ახდენდა. ამის აუცილებლობას იმაშიაც ხედავდა, რომ სააკოვმერაბოვ-ახალაიების მიერ ერთობლივად დადგმული სპექტაკლების მამხილებელი და ნაციონალების პოლიტიკურ-კანიბალისტური კრიმინალური მიმდინარეობისადმი იდეურად დაპირისპირებული, უშიშარი და მოუსყიდველი ადამიანები პოლიტიკური ასპარეზიდან უნდა გამქრალიყო.** ამ სამუშაოს **„უმტკივნეულოდ“** შესრულება, ძალოვანი სტრუქტურების პასუხისმგებელ პირთა პრეროგატივად იქნა დასახული. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, მ. სააკაშვილი თავის ხელქვეითებს მომდევნო დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად წამახალისებელ ბიძგს აძლევდა. ამ შემთხვევაში იგი ალენ დალესის შეგონებით მოქმედებდა. **„ჩვენ ყველანი პირადად მხარს დავუჭერთ და შევაქებთ... ძალადობის, სადიზმის კულტს. ერთი სიტყვით ყველაფერს ამორალურს.“** მიწაზე მფორთხავი **„ნაციონალების მთავარსარდალი“**, კაცთმოძულეობის იდეოლოგიის მამამთავრის ალენ დალესის მითითების პირნათლად შემსრულებელი რომ არის, იქედანაც ჩანს, რომ პარლამენტის 2011 წლის თებერვლის სხდომაზე, **„სიკვდილის ბრიგადების“** საქმიანობას მაღალი შეფასება მისცა და პოლიციელების მიერ განხორციელებულ მკვლელობებს მიესალმა. ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან ქვეყანაში დამკვიდრებული კანიბალიზმის დონემდე დაყვანილი სისასტიკისა და განუკითხაობის შესახებ, ქვეყნის სახალხო დამცველი სოზარ სუბარი 2008 წლის მარტში გაზ. **„ასავალ-დასავალისადმი“** მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა: **„სამწუხარო ფაქტია, რომ არ ხდება იმ საქმის ძიება, როცა პოლიციის თანამშრომლები აწამებენ ეჭიმს მხოლოდ იმის გამო, რომ ის თავის პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა.“** ამ შემთხვევაში საქმე ეხება სასჯელაღსრულების სისტემის მეშვიდე საპყრობილის ყოფილ უფროსს, მეგის ქარდავას, რომელიც სოზარ სუბარის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ადამიანთა უსასტიკესი მწამებელი“ და რაც მთავარია, ბაჩო ახალაიას კადრი იყო. კანიბალიზმის ავადმყოფური ცნობიერებით დატვირთული მეგის ქარდავა, იმ ეტაპზე სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის თენგიზ გუნავას მოადგილედ მუშაობდა და ადვილი წარმოსადგენია, ახალაიების კლანის ზემოქმედების ქვეშ მყოფი კანიბალი პოლიციელი, დასახელებულ რეგიონში რა სამართლებრივი ნორმების გამტარებელი იქნებოდა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲣᲤᲡᲘᲡᲙᲘᲠᲔᲚᲘ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ქართველ სპორტსმენთა ჯგუფის მიმართვა საზოგადოებისადმი

ქართველ სპორტსმენთა ნაწილმა საზოგადოებისადმი კონკრეტული მიმართვა გაავრცელა, რომელიც ხელისუფლების მხრიდან ქართველ სპორტსმენებზე ყოვლად დაუშვებელ ზეწოლას ეხება.

„სპორტსმენებზე ზეწოლის უამრავი ფაქტი დაგროვდა, მაგრამ ჩვენ ვერიდებოდით ამ თემაზე საუბარს ოლიმპიადის წინ, ხელისუფლების მხრიდან სპორტსმენებს პრობლემები რომ არ შეჰქმნოდათ. ოლიმპიურ ნაკრებსა და სპორტულ სამყაროში სწორედ ის სიტუაციაა, როგორიც – მთელ საქართველოში. სპორტსმენებზე ზეწოლაა. სპორტსმენები სპორტულ მოღვაწეობაში ხელის შეშლის შიშით საკუთარი პოზიციის ხმამაღლა დაფიქსირებას ერიდებიან. ოლიმპიური ნაკრების საქართველოში დაბრუნებისთანავე შევიკრიბებით და ღიად ვისაუბრებთ ყველა ფაქტზე, რომელთაც ხელისუფლება თავისი ზონდერებით ჩვენ წინააღმდეგ ახორციელებს. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ყველა სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელი ხელისუფლების მაღალჩინოსანია. სამინისტრო მოუწოდებს სპორტსმენებს, გამიჯნონ სპორტი და აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა ერთმანეთისგან. ჩვენ ვართ სპორტსმენები და არა აქტიური პოლიტიკური მოღვაწეები, მაგრამ გვაქვს მოქალაქეობრივი პოზიცია! სამინისტრომ სწორედ ეს მიიჩნია ჩვენს დანაშაულად და ამიტომ განახორციელა ზეწოლა ჩვენზე, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ სპორტსმენებზე. ხელისუფლება თავად ურევს ერთმანეთში სპორტსა და პოლიტიკას. ამას აკეთებდნენ მაშინ, როდესაც ზვიადაურის სურათები ჩამოგლიჯეს სპორტდარბაზების კედლებიდან, ახმეტაში ზვიადაურის სახელობის დარბაზს სახელი შეუცვალეს; როდესაც ძვლების დამტვრევითა და დენზე შეერთებით ემუქრებოდნენ ჩვენს მეგობრებს“, – ნათქვამია მიმართვაში.



მიმართვას ხელს აწერენ 2012 წლის ევროპის ჩემიონი სამბოში **ნოდარ მეტრეველი**; ხუთგზის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი სამბოში **უშანგი კუზანაშვილი**, ძიუდოში საქართველოს ჩემპიონი **ამბაკო ავალიანი**; ძიუდოში საქართველოს ნაკრების წევრი **ბეთქილ შუკვანი**.

მიმართვა ჟურნალისტებს და ქართულ საზოგადოებას უშანგი კუზანაშვილმა გააცნო.

როგორ ერთობოდნენ ოლიმპიადის მონაწილეები ლონდონში

მსოფლიო სპორტული ფორუმის დამთავრებისთანავე ინტერნეტში ლონდონის ოლიმპიადის მონაწილეთა სკანდალური ფოტოები გავრცელდა. ფოტოებზე კარგად ჩანს, თუ როგორ აღნიშნავენ გამარჯვების შედეგად მოპოვებულ მედლებს სპორტსმენები. საერთოდ, ჯერ კიდევ ძველ ელინებსა და რომაელებს სწამდათ, რომ ფიზიკურად ძლიერი ადამიანი სულიერადაც ძლიერი და სამაგალითო უნდა იყოს, და სავსებით სამართლიანად მიაჩნდათ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სპორტსმენები ეროვნულ გმირებად. აღარაფერს ვამბობ იმდროინდელ ოლიმპიადებში გამარჯვებულებზე, რომელთა სახელებზე ხშირად ფულსაც კი სჭრიდნენ ხოლმე. მაგრამ, როგორც ჩანს, თანამედროვე ახალგაზრდებს ელინებსა და რომაელებისაგან დიდად განსხვავებული აზრი გააჩნიათ საკუთარ ფიზიკურ უპირატესობაზე.

ლონდონის ოლიმპიური თამაშების მონაწილეები ხშირად ადგილობრივ ბარებს, ღამის კლუბებსა და გასართობ ცენტრებს სტუმრობდნენ, თვრებოდნენ და პაპარაცებისთვის **“პოზირებდნენ”**.

ოლიმპიადაზე ჩასულ ფოტოგრაფებს გამორჩეულად დაამახსოვრა თავი 21 წლის ჰოლანდიელმა ველოსიპედისტმა გის ვან ჰავკმა. მან რბოლაში მე-12 ადგილი დაიკავა და ეს ამბავი ღამის კლუბში აღნიშნა. არა მგონია, რომ სპორტში ამგვარი **“წარმატება”** განსაკუთრებული მოვლენა იყოს და ამგვარ პომპეზურად აღნიშვნას იმსახურებდეს. თუმცა თვით ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაც უკვე ფრიად საპატიო საქმეა და ამ ახალგაზრდის ემოციურ საქციელსაც ვერ **“დავწიხლავთ”**, თუმცა, ის კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებულსაც კი მეტი თავშეკავება მართებს, არამც თუ ათეულს მიღმა მოხვედრილ სპორტსმენს. ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ფოტოებზე კარგად ჩანს, თუ როგორ მიჰყავთ მეგობრებს წვეულების შემდეგ გადამთვრალი და თითქმის გოინებადაკარგული სპორტსმენი ავტომობილამდე. ინტერნეტსაიტზე გამოფენილი იყო სხვა, ბევრად უფრო **“გულახდილი”**, უფრო სწორად, უხამსი ფოტოები, რომლებიც ოლიმპიურ თამაშობებში მონაწილე ზოგიერთი სპორტსმენის უაღრესად დაბალ კულტურაზე მიანიშნებს, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ მათი გამოქვეყნებით შეურაცხყოფა არ მიგვეყენებინა გაზეთ **“ილორის”** მკითხველებისათვის.





იუმორი

კაცი ამშვიდებს ახლადშერთულ ცოლს:

– მართალია, ოქროს მთებს გპირდებოდი, მაგრამ სარეცხ მანქანაზე არაფერი მითქვამს...

* * *

– რატომ ეყრებით ქმარს?

– ძალიან ცნობისმოყვარე და ეჭვიანია.

– რაში გამოიხატება?

– დამინახავს თუ არა ვინმესთან ლოგინში, დაიწყებს: ვინაა? რას აკეთებს შენს ლოგინში ჩემი დირექტორი? და ა.შ.

* * *

– ჭიჭიკია, ვინ ჩაგილურჯა თვალი?

– ჩემმა ძროხამ.

– ეგ როგორ?

– წველის დროს კუდის ქნევა იცის ხოლმე, და რომ არ ექნია, აგური დავკიდე კუდზე...

* * *

ექიმი ეუბნება პაციენტის მეუღლეს:

– იცით, თქვენს ქმარს ერთი კვირის სიცოცხლე-და დარჩა.

– არა უშავს რა, ოცი წელი გავუძელი და ერთ კვირასაც გავუძლებ...

* * *

– რატომ ზიხარ? – ეკითხება პატიმარი ახლად მიყვანილს.

– არ მიშვებენ და, რა უნდა ვქნა?

* * *

– მაგარი სიდედრი მყავს, ცეცხლია, ცეცხლი,– ეუბნება ერთი ძმაკაცი მეორეს.

– ჩემი კი ნაკვერჩხალს უფრო ჰგავს. შეაფურთხებ თუ არა, მაშინვე შიშინს იწყებს...

ერთი ხმა

ჩვენ ყველანი ერთი დედამიწის შვილები ვართ. დაგვბადა გამჩენმა პატარა, მშვენიერ სამშობლოში, რომელსაც ჩვენებურად დღეს საქართველო ჰქვია, ჩვენ ვართ ახალი საუკუნის დასაწყისის მკვიდრები. დღეს ჩვენი უმეტესობა ემიგრანტია წინა საუკუნიდან. ვიცხოვრეთ და მოვედით დღევანდლამდე – ვატარეთ და გადმოვიტანეთ იმ დროის ავიც და კარგიც...

დაბადებიდან მოუცია გამჩენს საჩუქრად არჩევანის უფლება და ჩვენ კი მთელი წინა ცხოვრება მოვუწყვეთ ჩვენ თავს არადანის განაჩენი.

ისევ ვაბრალოთ სხვას, თუ მივხვდეთ იქნებ, რომ ის არადანი ჩვენი გონიერი არჩევანი იყო?

დღეს ვიყენებთ ღვთისგან ბოძებულ უფლებას და ვირჩევთ, თუ როგორი უნდა იყოს სამშობლო, ანუ ძალიან რბილად რომ ვთქვათ, გამოგვაქვს მისთვის და ჩვენთვის განაჩენი!

უფალო შეგვიწყალენ და შეგვეწიენ!

მე და შენ სხვადასხვანაირად ვფიქრობთ, ვხედავთ მომავალს – ეს ძალიან არსებითია, მაგრამ დამიჯერე, ეს ერთადერთია, რაც განგვასხვავებს! თურმე დიდი ხანია შეგვყვარებია სამშობლო, გვიოცნებია თვითოეულს თავისებურად ნამდვილ, ღირსეულ მომავალზე. თურმე თავისუფლები ვყოფილვართ და ამიტომ დღეს ვირჩევთ ხვალინდელ საქართველოს. და კიდევ ერთი: არც ერთ ჩვენგანს არ სურს მომავალთაგან, ან უკვე მოსულთაგან და ან უკვე იქ, წინაპრებთან შეხვედრისას, მოისმინოს მძიმე კითხვა ამ დღისთვის: რატომ?

მე და შენ უკვე გადავწყვიტეთ- ჩვენი არჩევანი შედგა! მაგრამ... ჩვენს გვერდზე დგას მესამე! აი ის, მოყვასი, თავი თვისივით რომ უნდა გვიყვარდეს თურმე. ის ფიქრობს, მას თავისი არჩევანი აქვს მოსაძებნი. გვახსოვს, რა ძნელი იყო ჩვენთვის?!

აი იმ მესამეს, მოყვასს, აქვს ხელთ ის ერთი ხმა – ზუსტად ის ერთი ხმა, რომელიც გადაწყვეტს ჩვენს საერთო მომავალს! მაშ რითი დავეხმაროთ მას და საკუთარ თავს? მე მგონი ერთით: ვაჩვენოთ, რომ ჩვენ – მე, შენ და ის უკვე დღეს იმ საქართველოს შვილები შეგვიძლია ვიყოთ! თუნდაც ერთი თვისებით მაინც, რომელიც სრულიად აუცილებელი იქნება ხვალ: თითქმის სიყვარულამდე მისული პატივისცემით ერთმანეთის პიროვნული თავისუფლებისადმი!

და კიდევ! მოდი ჩვენ ორმა, რომლებმაც უკვე ზუსტად ვიცით – რაც და რატომაც, ვურჩიოთ ამ ჩვენ მესამეს ის, რასაც ჩვენ თავს ვურჩევდით: შეხვდეს საკუთარ თავს სარკის წინ. ჩახედოს ღვთის საოცარ ქმნილებას, საკუთარ თვალებს, შიგნით დაინახოს მოთმინებით მომლოდინე ყველა თავისიანი – აქ ცოცხალი თუ იქ ცოცხალი. ჩაეკითხოს მათ, საკუთარ თავს, ყოველივეს გამჩენს (თუ მას სცნობს, სთხოვოს შეწევნა!) და იდუმალი ღამის გავლის შემდგომ წამოიმართოს, მხნედ მიადგეს იმ საოცარ ყუთს და დარწმუნებით ჩაუშვას ის ერთი ხმა, რომელიც გადაწყვეტს ყველა ჩვენთაგანის ბედს!

მე და შენ კი დიდი მოთმინებით, მოწიწებით შევხვდებით ამ წამს. ვიტყვით: იყავ ნებაი შენი! ის ერთი ხმა გადაწყვეტს ყოველივეს და ჩვენ კი გვეცოდინება, რომ მესამე, ანუ მოყვასი, თვითოეული ჩვენთაგანია!

შევძლებთ ამ ყოველივეს?

ალბათ!

რამეთუ საქართველო ერთია – არჩევანი კი ჩვენია!

ანსამბლი „შინ“-ი

რედაქციისაგან – გერმანიაში მოღვაწე ქართულმა ანსამბლმა “შინ”-მა კონცერტი ჩაატარა ზუგდიდში ჯერ კიდევ 2011 წლის აგვისტოში. ახლა კი, ანსამბლი კვლავ ჩადის ზუგდიდში, კონცერტის ჩასატარებლად 24 აგვისტოს, რომელიც ისევე ხალხმრავალი იქნება, როგორც შარშან.

ამრიგად, ანსამბლ “შინ”-ის ღონისძიება, რომელიც საქართველოს გაერთიანების იმედს ეძღვნება, სწორედ სამეგრელოდან იწყება, რადგან სამეგრელოა საქართველოს ერთიანობის ბურჯი!

ISSN 1987-8966 “ILORI”

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სოფხიშვილი, ანზორ შონია, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge